ილ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ლია გოქსაძე

ასპექტის სოგიერთი სემანტიკური და პრაგმატიკული მახასიათებელი

(ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე)

10.02.07 – ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება

ხელმძღვანელი: დოც. ნ. დარასელია

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

თბილისი
2006

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3

თავი I
ასპექტის კატეგორიის სემანტიკური მახასიათებლები თანამედროვე ინგლისურში 9

თავი II
ასპექტის კატეგორიის სემანტიკური მახასიათებლები თანამედროვე ქართულში 54

თავი III
ასპექტის კატეგორიის სემანტიკური მახასიათებლები თანამედროვე რუსულში 84

თავი IV
ასპექტის ზოგიერთი პრაგმატიკული თავისებურება 99

დასკვნა 123

ბიბლიოგრაფია 129

საილუსტრაციო მასალა 136

შესავალი

ასპექტის კატეგორიის განსაზღვრება აზრთა სხვადასხვაობასთანაა დაკავშირებული. ბ. კომრის განმარტებით, ასპექტი სიტუაციის შინაგანი შემადგენლობის განსხვავებულ ხედვას წარმოადგენს. მიეთითნეთ, რომ ასპექტი ეგოცენტრული კატეგორიაა. იგი მოსაუბრის სუბიექტურ ხედვას გამოხატავს. ასპექტის კატეგორიის არსი მის სახელწოდებაშიც ძევს. შდრ. ინგლისური – aspect, ლათინური – aspectus, specere – to look – ხედვა. საყურადღებოა, რომ რუსული ტერმინი "вид" შესაძლებელია ორგვარად ითარგმნოს – სახე, სახეობა და ხედვა, ხედი.

ე. პადუჩევას განსაზღვრებით, დრო ორიენტირებულია საუბრის მომენტზე, ასპექტი კი დამკვირვებელზე. ამ თვალსაზრისს იზიარებს ბ. კომრის შემდეგი განსაზღვრებაც: "Aspect is a situation internal time and tense is a situation external time" (Comrie 1985). ანუ გრამატიკული დრო სიტუაციის დროით განზომილებას ობიექტურად ასახავს "გარედან" მაშინ, როდესაც ასპექტი სიტუაციას დროით სივრცეში წარმოგვიდგენს ინდივიდის პოზიციიდან. რ. ჰარისის მოსაზრებით, ასპექტი მიუთითებს სიტუაციის/მოვლენის შინაგან შემადგენლობაზე, თუ როგორაა ლოკალიზებული ზმნის მიერ გამოხატული მოქმედება დროით-სივრცულ კონტინუუმში.

მიმაჩნია, რომ ასპექტი დისკურსის კატეგორიაა, იგი გამოხატავს მიმართებას ენობრივ სტრუქტურასა და კონტექსტს შორის. კონტექსტი კი ყოველთვის სუბიექტის არსებობას გულისხმობს. ცალკეული ექსტრალინგვისტური სიტუაციის ვერბალიზაციისას ინდივიდმა სიტუაცია შეიძლება მიკროსკოპული სკრუპულოზურობით გადმოსცეს და არჩევანი განგრძობითობაზე შეაჩეროს, ან მოქმედება "ახლო ხედით" წარმოაჩინოს.

ასპექტი სუბიექტური მოდალობის ერთ-ერთ სახეობად შეიძლება განვიხილოთ. როგორც ფ. პალმერი აღნიშნავს, მოდალობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოსაუბრის სუბიექტური მიმართების და თვალსაზრისის გრამატიკალიზაცია (Palmer 1990). სწორედ ასეთი გრამატიკული კატეგორიაა ასპექტი.

ტერმინი სუბიექტური მოდალობა მოიცავს მრავალ ენობრივ მოვლენას. უპირველეს ყოვლისა, ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ იმ ენობრივ ელემენტებს, რომლთა საშუალებით მოსაუბრე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. ასპექტის შემთხვევაში მისი კომუნიკაციური გამიზნულობიდან გამომდინარე მოსაუბრე ირჩევს იმ ფორმას, რომელიც მოცემულ სიტუაციაში ყველაზე სრულყოფილად გადმოსცემს აღნიშნული მოქმედების მისეულ ხედვას. ამ შემთხვევაში მოსაუბრის დამოკიდებულება გამონათქვამისადმი არაექსპლიციტურია.

რომან იაკობსონი დეიქტიკურ და მოდალურ ელემენტებს ერთ კატეგორიად აერთიანებს. ენა მოსაუბრეს აძლევს საშუალებას მოახდინოს რეფერენცია ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის, ცნების, გადმოსცეს მოსაურის ინტენცია. დეიქტიკური სიტყვები ხელს უწყობენ ობიექტებისა თუ მოვლენების იდენტიფიკაციას, დროსა და სივრცეში. აღნიშნული იდენტიფიკაცია ხდება მათი კავშირის დადგენით სამეტყველო სიტუაციასთან. მიგვაჩნია, რომ ასპექტიც დეიქტური კატეგორიაა, ვინაიდან იგი ინდივიდის პოზიციაზე მიუთითებს.

დეიქტიკური გრამატიკული კატეგორიები თავიანთი მნიშვნელობით გამოხატავენ მიმართებას სამეტყველო სიტუაციასთან. როგორც ცნობილია, დეიქტიკური ელემენტები ორიენტირებულია მოსაუბერზე. "ახლა" გამოხატავს მეტყველების მომენტს ანუ მოსაუბრის დროს. აქედან გამომდინადრე, დროის კატეგორია, ისევე,

როგორც ასპექტის მოსაუბრე'სია ორიენტირებული, იმ სიტუაცია'ზე, რომელშიც მოსაუბრეა. "აქ" ანუ ადგილი, სადაც მოსაუბრე იმყოფება. დეიქტუკური ელემენტი შესაძლებელია მოიცავდეს არა მხოლოდ მოსაუბრეს, არამედ მსმენელს და მთლიანობაში აღებულ კომუნიკაციურ სიტუაციას.

ასპექტის დეიქტურობას მიუწმობს აგრეთვე გერმანიკულ ენებში პერფექტის განვითარების სამი ეტაპი. სამივე ქვემომოყვანილ ეტაპზე ასპექტური მნიშვნელობა საუბრის მომენტთან მიმართებაში იცვლება.

1. მდგომარეობა საუბრის მომენტში, დასრულებული წარსული მოქმედების საფუძველზე. (I have the book written)
2. მოქმედება წინ უსწრებს საუბრის დროს. (I have just written a book)
3. მოქმედება წარსულში: I have written a book

როგორც ეხედავთ, მდგომარეობის მნიშვნელობიდან პერფექტი მოქმედების მნიშვნელობაში გადადის. მოქმედება წარსულში იქნა დასრულებული. ბოლოს ვიღებთ მნიშვნელობას, სადაც პერფექტი მხოლოდ წარსულში მომხდარ მოქმედებას გამოხატავს.

აღნიშნული სქემა შესაძლებელია უნივერსალურად მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში ამოსავალი წერტილია

1. მდგომარეობა მეტყველების მომენტში
2. მდგომარეობა, რომელიც წინ უსწრებს მეტყველების დროს
3. მოქმედება წარსულში.

აღნიშნული მნიშვნელობების არსი მათ მეტყველების დროსთან მიმართებაში მდგომარეობს. მეტყველების დრო წარმოადგენს ერთგვარ საწყის კოორდინატს და მასთან კავშირში განისაზღვრება აღნიშნული მნიშვნელობები. პირველი – დამთხვევა საუბრის დროსთან. მეორე – წარსულთან დაკავშირებული, თუმცა აწმყოსკენ მიმართული. მესამე – მოწყვეტილი საუბრის დროს.

როგორც ცნობილია, ასპექტი ზმნის ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი კატეგორიაა. აღსანიშნავია, რომ ასპექტი როგორც გრამატიკული კატეგორია შესაძლოა არ დასტურდებოდეს ყველა ენაში, თუმცა უდაოა ის ფაქტი, რომ ასპექტის კატეგორია მრავალი სტრუქტურულად განსხვავებული ენისთვისაა დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში ასპექტი ლექსიკურ-სემანტიკური საშუალებებითაა გამოხატული.

როგორც ცნობილია, ასპექტის კლასიკურ ნიმუშებად ასახელებენ ერთი მხრივ ძველ ბერძნულს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება პრეზენსი, აორისტი და იმპერფექტი, მეორე მხრივ – სლავურ ენებს, სადაც გამოიყოფა სრული ასპექტი (პერფექტივი) და უსრული (იმპერფექტივი). აღსანიშნავია, რომ მოყვანილი ტიპები სხვადასხვა სახით გვხვდება სხვადასხვა ენაში. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვის საშუალებები სხვადასხვა ენაში განსხვავებულია. აღნიშნულ კატეგორიაში გაერთიანებული ენობრივი ელემენტები სხვადასხვა ენაში გამოყოფილია შინაარსობრივი, ფუნქციურ-სემანტიკური მსგავსების საფუძველზე. ერთ-ერთ უნივერსალურ და კონკრეტულ განსაზღვრებას ასპექტის კატეგორიის მახასიათებლებთან დაკავშირებით ჯ. ჰოლტის განსაზღვრებაა, რომლის თანახმადაც ასპექტის კატეგორიასთან ყველგან და ყოველთვის დაკავშირებულია ზმნის უნარი – სხვადასხვა სახით წარმოგვიდგინოს მოქმედების მიმდინარეობის პროცესი. ხოლო ცალკეულ ენებში ასპექტის რაობა შეიძლება დაზუსტდეს იმის მიხედვით, თუ რა უნარი გააჩნია ამა თუ იმ ენის ზმნას მოქმედების მიმდინარეობის გადმოსაცემად.

როგორც ცნობილია, სტოელების დროიდან გამოყოფდნენ მარტივ და რთულ გრამატიკულ დროებს. ტრადიციული დაყოფა აბსოლუტური და რელატიური დროებისა გულისხმობდა ცვალებადი

დეიქტიკური ცენტრის არსებობას. ხდომილება – event time (E) შესაძლებელია გამოიხატიოს მეტყველების დროსთან მიმართებში – Speech time (S). (ინგლისური აწმყო/წარსული მარტივი და განგრძობითი ფორმები), ან გარკვეულ ჰიპოთეტურ, რეფერენციულ დროსთან მიმართებაში – Reference time (R) (როგორც ინგლისური პერფექტული დროების შემთხვევაში). გრამატიკული დრო გამოხატავს კავშირს ხდომილებასა და მეტყველების დროს შორის დროის ხაზზე. მოსაუბრე ირჩევს ზმნის ფორმას იმის მიხედვით, თუ რა სახის ფოკუსს მოითხოვს მოცემული დისკურსი. ხდომილება შესაძლებელია ემთხვეოდეს საუბრის დროს ან ხდებოდეს რეფერენციულ დროსთან მიმართებაში. ასპექტი შესაძლებელია, დავახასიათოთ, როგორც მოსაუბრის ფსიქოლოგიური თუ წარმოსახვითი არჩევანის გამოხატულება. განსხვავებული ასპექტური ფორმები განსხვავებული კუთხით ხედვას გამოხატავენ. თ. სმიტი გრამატიკულ დროს გამოხატავს სივრცობრივი მეტაფორის სახით დროის ხაზზე.

. . . . . .

მისი ანალიზი მოქმედებათა ონთოლოგიას შეიცავს, სადაც წერტილების საშუალებით გადმოცემულია ცალკეული ფაზების აღქმა – შუაგულის დასაწყისისა და დასასრულის. მთლიანობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ხედი მიკროსკოპის საშუალებით დროის ხაზზე.

როგორც ცნობილია, ყოველი ენა ასახავს ერის აზროვნებასა და კულტურაში მიმდინარე ცვლილებებს. ზმნა, როგორც ექსტრალინგვისტური სამყაროს ყველაზე სრულად ამსახველი

მეტყველების ნაწილი, სხვადასხვა ენაში განსხვავებული ხერხებით გადმოსცემს მას. ტიპოლოგიურად განსხვავებულ ქართულსა და რუსულ ენებში ასპექტის კატეგორია აფიქსების საშუალებითაა გამოხატული. ანუ გვაქვს ასპექტის კატეგორიის გამომხატველი ფორმალური მარკერი. მინიმალური ასპექტური წყვილები გამოხატაენ ასპექტურ განსხვავებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმ ენებშიც კი, სადაც ასპექტური მნიშვნელობა ზმნის ფორმაში მორფემების საშუალებითაა მოცემული, მნიშვნელოვანია კონტექსტი. მხოლოდ დისკურსის დონეზეა შესაძლებელი ზმნის ასპექტური სემანტიკის დადგენა.

თავი I

ასპექტის კატეგორიის სემანტიკური მახასიათებლები თანამედროვე ინგლისურში

თანამედროვე ინგლისურში ასპექტის როგორც გრამატიკული კატეგორიის არსებობა ერთ-ერთ ყველაზე სადაო საკითხადაა მიჩნეული. როგორც ცნობილია, სინთეზურ ენებში – ქართულსა და რუსულში ასპექტი როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური კატეგორიაა. ზმნის გრამატიკულ ასპექტს ზმნისწინი გამოხატავს, ლექსიკური ასპექტური მნიშვნელობა კი ზმნის სემანტიკაში დევს.

ზმნის ასპექტური ფორმების ჩანასახი ჯერ კიდევ ძველ ინგლისურში გვხვდება. ინგლისურ ასპექტოლოგიაში მიიჩნეოდა, რომ ზმნის ასპექტური კონტრასტი პრეფიქსი e- ს საშუალებით გამოიხატებოდა. ზმნები, რომლებიც აღნიშნულ პრეფიქსს დაირთავდნენ სრული ასპექტის გამომხატველნი იყვნენ, ზმნა აღნიშნული პრეფიქსის გარეშე კი უსრული ასპექტის გამომხატველი იყო. მაგ. *feohtan* (ჩხუბი)– *efeohtan* (მოპოვება). *lician* (მოწონება) – *elician* (მოწონება, მოქმედების ფოკუსში საწყისი ეტაპია, ინქოატიყის მნიშვნელობის გამომხატველი). თუმცა კვლევებმა ცხადყო, რომ პრეფიქსი – e არ შეიძლება სრული ასპექტის მარკერად მივიჩნიოთ, ვინაიდან პრეფიქსი ძველ ინგლისურში ზმნის ასპექტური ხასიათის გარდა, მის სემანტიკასაც ცვლიდა და პრეფიქსის დამატებით განსხვავებულ ასპექტურ მნიშვნელობას ვიღებთ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ უპრეფიქსო ზმნები სრული მნიშვნელობის გამომხატველიც შეიძლება იყოს. ამრიგად, პრეფიქსი e- უფრო სიტყვათწარმოების ელემენტად უნდა მივიჩნიოთ, ერთგვარ დერივაციულ პრეფიქსად, რომელსაც ზოგადი, ხშირად ბუნდოვანი მნიშვნელობა აქვს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრეფიქსი

გარკვეულწილად არის ასპექტური ხასიათის გამომხატველი. ამასთანავე ძველ ინგლისურ ტექსტებში ასპექტის გამომხატველი სხვა საშუალებებიც მოიპოვება. ესენია ზმნური ფრაზები, რომლებიც შეიცავენ სიტყვებს *habban, beon weorthan* (have, be, become). აღნიშნული ზმნები მიმღეობასთან ერთად იხმარებოდა. ფრაზები პირველ მიმღეობასთან განგრძობით მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავდნენ. ფრაზები მეორე მიმღეობასთან, გამოხატავდნენ მდგომარეობას, რომელიც წარსულში დასრულებული მოქმედების შედეგი იყო.

მაგ.: *There were some of those learned men sitting*

(They had finished that term/they had the term finished)

აღნიშნული ოპოზიციური ფორმები არ ვრცელდებოდა ყველა ზმნაზე და ამრიგად არ იქნებოდა მართებული მათი კატეგორიის განსაზღვრის კრიტერიუმად გამოყენება.

საშუალო ინგლისურში ასპქტის განვითარება დაკავშირებული იყო განგრძობითი ფორმების რაოდენობის ზრდასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველ ინგლისურში ასპექტი არ წარმოადგენდა მკვეთრად გამოკვეთილ გრამატიკულ კატეგორიას. მეთხუთმეტე/მეთექვსმეტე საუკუნეების ნაწერებში სტრუქტურა – ***be+ პირველი მიმღეობა*** ხშირად გვხვდება სინონიმური ფრაზის – ***be+ წინდებული*** პარალელურად. მეთერამეტე საუკუნეში განგრძობითმა ასპექტურმა ფორმებმა დღევანდელი მნიშვნელობა მიიღო – კონკრეტული მოქმედება, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთზე იწლება. ანუ გამოხატავდა შეზღუდული განგრძობითობის მქონე კონკრეტულ პროცესს. სწორედ ამ ეტაპზე განგრძობითმა და არაგანგრძობითმა ფორმებმა განაპირობეს ასპექტის კატეგორიის ჩამოყალიბება. ამიტომ მიიჩნევა რომ ასპექტის კატეგორიის განვითარების საფუძველი ანალიზური ფორმების აღმოცენებას უკავშირდება.

როგორც ცნობილია, ინგლისურში ასპექტის კატეგორია მჭიდრო კავშირშია დროის გრამატიკულ კატეგორიასთან. რადგანაც თანამედროვე ინგლისური ანალიზური ენაა, მასში ასპექტის კატეგორია მორფოლოგიურად არაა გამოხატული. ინგლისური ენათა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელშიც აქცენტი დროზე კეთდება და არა ასპექტზე. ამრიგად, ინგლისური უფრო დროის ენაა ვიდრე ასპექტის ('English is a tense not an aspect language') (G. Leech 1984). ამის გამო დროით-ასპექტურ ფორმებს როგორც მთლიანობას ისე განიხილავენ. რ. კეერკის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში დროისა და ასპექტის გამიჯვნა უბრალოდ ტერმინოლოგიურადაა მოსახერხებელი.

ინგლისურ ასპექტოლოგიაში მიღებულია შემდეგნაირი დაყოფა:



როგორც ცნობილია, პერფექტული ასპექტი გამოხატავს დასრულებული მოქმედების მნიშვნელობას. განგრძობითი კი წარმოადგენს მოქმედების პროცესს.

წინამდებარე ნაშრომში გამოვიყენეთ ტერმინი "ნულოვანი ასპექტი", ვინაიდან ასპექტური მნიშვნელობის არარსებობას თავისი სემანტიკა და პრაგმატიკა აქვს. ამრიგად, მივიჩნევთ, რომ ინგლისურში ასპექტის სამი ტიპი გამოიყოფა:

პერფექტივი	იმპერფექტივი	ნულოვანი
Perfective	**Imperfective**	**Zero**

რ. კეერკი გამოყოფს შემდეგ სამ დროით-ასპექტურ კომპონენტს:

1. აწმყო პერფექტივი (მარტივი) (Present Perfective, simple) *He has examined.*

წარსული პერფექტივი (მარტივი) (Past Perfective, simple) *he had examined.*

2. აწმყო განგრძობითი (Present Progressive) *He is examining.*

წარსული განგრძობითი (past progressive) *He was examining.*

3. აწმყო პერფექტივი, განგრძობითი (Present Perfective Progressive) *He has been examining.*

წასული პერფექტივი განგრძობითი (Past Perfective Progressive) *He had been examining.*

ბ. კომრი მიიჩნევს, რომ ინგლისურში ასპექტური ფორმების შერჩევისას სუბიექტი მოქმედებას "შორი" ან "ახლო ხედით" წარმოადგენს. განგრძობით ასპექტურ ფორმას იგი მიკროსკოპის საშუალებით სიტუაციის ხედვას ადარებს.

ინტერესს იწვევს ა. სმირნიცკის მოსაზრება ინგლისურში ასპექტის კატეგორიასთან დაკავშირებით. იგი მიიჩნევს, რომ განსხვავება განგრძობითსა და არაგანგრძობით ასპექტურ ფორმებს შორის მდგომარეობს იმაში თუ მოქმედება რა კუთხითაა დანახული, რაზეა აქცენტი გაკეთებული. მარტივი, არაგანგრძობითი ფორმა მხოლოდ წარსულში მომხდარი სიტუაციის კონსტატაციას ახდენს (He sat), მაშინ როდესაც განგრძობით ფორმაში (He was sitting) მოსაუბრე არა მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს, არამედ მოქმედებას მისი მიმდინარეობის პროცესში გვიხატავს. ა. სმირნიცკის მისაზრებით, განგრძობითი ფორმა უფრო დიდი ხანგრძლივობის მქონე მოქმედების შტაბეჭდილებას ახდენს, თუმცა

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ეფექტი მხოლოდ ფსიქოლოგიურია და რეალურად განგრძობითის ფორმა მარტივის მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს გამოხატავს. სმირნიცკი გამოყოფს ორ ასპექტურ ტიპს (Смирницкий А. И. 1959):

განგრძობითსა და ზოგადს длительный вид/общий вид

განგრძობითი ასპექტი ამ შემთხვევაში რუსული და ქართული უსრული ასპექტის მსგავსია. ზოგად ასპექტს კი ქართულსა და რუსულში შესაძლებელია როგორც სრული, ასევე უსრული ასპექტი მიესადაგებოდეს, ვინაიდან ზოგადი ასპექტი მრავალგზის და ერთგზის მოქმედებებს გულისხმობს. ზოგადი ასპექტი მოიცავს მარტივ დროებს, მარტივი დროები კი როგორც ცნობილია, შესაძლებელია სრული ან უსრული ასპექტის გამომხატველი იყოს.

ა. სმირნიცკი მიიჩნევს, რომ სრული ასპექტი ინგლისურში შესრულებული მოქმედების კონსტატაციას ახდენს, თუმცა რუსულისგან განსხვავებთი, არ ამახვილებს ყურადღებას მოქმედების მთლიანობაზე.

ი. ივანოვა et. al. მიიჩნევენ, რომ ინგლისურში ასპექტური მნიშვნელობა დამოკიდებული გრამატიკული მნიშვნელობაა. მათი მოსაზრებით, ზმნის ასპექტის კატეგორია არ წარმოადგენს გრამატიკულ კატეგორიას, ვინაიდან მას არ აქვს ფორმალურად გამოკვეთილი გრამატიკული მარკერი. თუმცა ინგლისურში დროითი ოპოზიციების არსებობა ასპექტის კატეგორიის საწყისზე მიუთითებს. ინგლისურ დროით-ასპექტურ სისტემაში წამყვანი კატეგორია დროის კატეგორიაა. ასპექტის კატეგორია ინგლისურში დამოკიდებულ კატეგორიას წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში დროით ასპექტური ფორმების სემანტიკის გამოსავლენად გამოვიყენე ჰ. რაიხენბახის სქემა.

ჰ. რაიჰენბახს ასპექტოლოგიაში შემოჰყავს "დამკვირვებლის ფიგურის" ცნება. იგი შეეცადა შეემუშავებინა უნივერსალური სქემა, რომელიც სამი ძირითადი ელემენტისგან შედგებოდა (S – speech time) – მეტყველების დრო, (E-eventuality) – ხდომილება, (R- reference time) – რეფერენციული დრო, ანუ დრო, რომლის შესახებაც ხდება საუბარი. რაიხენბახის თვალსაზრისით, გრამატიკული დროები განისაზღვრება ორი ტიპის მიმართების მეშვეობით:

1. მიმართება რეფერნციულ დროსა და საუბრის დროს (S) შორის
2. მიმართება ხდომილებასა (E) და რეფერენციულ დროს შორის.

R. S. E.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰ. რაიჰენბახმა თავისი სქემა მხოლოდ ინგლისური ენის მასალაზე ააგო. ამასთანაც რაიჰენბახისეული ანალიზი მხოლოდ ერთ სქემას გულისხმობს თითოეული დროით-ასპექტური ფორმისთვის.

ჰ. რაიჰენბახის სქემის საფუძველზე განვიხილე ინგლისური ენის დროით-ასპექტური ფორმების სემანტიკა, როგორც წერით, ასევე სპირმეტყველებით დისკურსში. ერთი და იგივე დროის ფორმის ასპექტური სემანტიკა მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის კონტექსტუალური ცვალებადობის შედეგად.

ანალიზს ინგლისური აწმყო დროებით მარტივი, განგრძობითი და სრულით დავიწყებთ.

როგორც ცნობილია, მარტივი აწმყო დროის ფორმები უსრული ასპექტის გამომხატველი ფორმებია. აღნიშნული ფორმების

კონტექსტუალური მნიშვნელობა სხვადასხვა ასპექტური ტიპების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ მარტივი აწმყო დრო მორფოლოგიურად არამარკირებულია. იგი უფრო ხშირად გვხვდება ვიდრე წარსული დრო და მეტი მნიშვნელობის გამომხატველია. განხილული მაგალითებიდან ზმნურ ფორმათა 50% სწორედ აწმყოს ფორმაში გვხვდება და მრავალფეროვანი მნიშვნელობებით გამოირჩევა. აწმყო დროის ასპექტური ფორმით შეიძლება გამოხატოს მოქმედება წარსულსა და მომავალში, აგრეთვე მდგომარეობა აწმყოში. მარტივი აწმყო წარმოადგენს დროის ფორმას, რომელმაც დროის ნებისმიერი მონაკვეთი შეიძლება მოიცვას (all-inclusive time reference). აწმყოს საპირისპიროდ, წარსული დრო ძირითადად წარსულში მომხდარ მოქმედებებსა და მოვლენებს გამოხატავს.

მარტივი აწმყო დროის სემანტიკა მრავალფეროვან ასპექტურ მნიშვნელობებს ამჟღავნებს. კვლევამ დაგვანახა, რომ განსხვავებულ კონტექსტში აწმყო დროის ფორმამ განსხვავებული ასპექტური მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს. კერძოდ, მარტივი აწმყოს ფორმით შესაძლებელია გადმოიცეს:

ა. ზოგადი ჭეშმარიტება (ნულოვანი ასპექტი)

The English love tea.

ბ. ჰაბიტუალური მოქმედება (უსრული ასპექტი)

We frequently go to watch evening performances.

We visit him on Sundays.

გ. ისტორიული აწმყო (სრული ასპექტი)

Then the waiter comes and says...

დ. მომენტური აწმყო/ პერფორმატივები (სრული ასპექტი)

I hereby declare you Mayor of Casterbridge.

ე. მომავლის მნიშვნელობის მქონე აწმყო (სრული ასპექტის)

The train leaves at 8.30.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე

მარტივი აწმყოს ერთ-ერთი ფუნქცია ზოგადი ჭეშმარიტების გამომხატველია. სემანტიკურად აღნიშნული მნშვნელობა აბსტრაქტულია. ჯ. ლიჩის მოსაზრებით, მოქმედება ერთგვარ ატემპორალურ მთლიანობას გამოხატავს. იგი მიიჩნევს, რომ მარტივი აწმყოს ფორმაში ზმნას ასპექტური მახასიათებელი არ მოეპოვება. ვფიქრობთ შესაძლებელია ამ შემთხვევაში ზმნა ნულოვანი ასპექტის გამომხატველ ფორმად მივიჩნიოთ.

Nearly seven million people live in London.

Water boils at 100 degrees C.

დროის ხაზზე მოცემული ფორმა ათვლის წერტილს და საუბრის დროს აწმყოში გულისხმობს, ხოლო ხდომილების ლოკალიზება შეუძლებელია, ვინაიდან ზმნას მოცემულ კონტექსტში ატემპორალური მნიშვნელობა აქვს.



ასპექტური თვალსაზრისით ინტერესს იწვევს მარტივი აწმყოს ფუნქცია, რომელიც მრვალგზის, ჰაბიტუალურ მოქმედებას გამოხატავს. აღსანიშნავია, რომ ინგლისურში გზისობა არ არის ცალკე გამოყოფილი აპექტური ტიპი, არამედ უსრული ასპექტის ერთ-ერთ ქვეტიპად მოიაზრება.

*მაგ.: After tea, Mr. and Mrs. Weston, and Mr. Elton, **sit down** with Mr. Woodhouse to cards. The remaining five are left to their own powers, and Emma always **doubts** their getting on well, for Mr nightly it **seems** little disposed for conversation (J. Austin 'Emma').*

როგორც ვხედავთ, მოცმული ასპექტური ფორმის სემანტიკა კონტექსტის საშუალებით ვლინდება. ზემომოყვანილ ტექსტის მონაკვეთში გზისობის ასპექტური მნიშვნელობა დროის გარემოების საშუალებით მიიღწევა.

თუ აღნიშნული ასპექტური მნიშვნელობის ლოკალიზებას დროის ხაზზე მოვახდენთ, მივიღებთ საუბრის მომენტსა და ათვლის წერტილს აწმყოში, ხოლო ხდომილება არაზღვრულია და დროის წრფის მთელ პერიოდს მოიცავს.



მარტივ აწმყო დროსთან მომართებაში ინტერესს იწვევს ე.წ. 'მომენტური' (instantaneous) მნიშვნელობა ინგლისურში. იგი ერთმანეთს უპირისპირებს აწმყო განგრძობითსა და აწმყო მარტივს. რ. კეერკის მოსაზრებით, ორივე შემთხვევაში მოცემულია მოქმედება, რომელიც აწმყოს გარკვეულ პერიოდზე ვრცელდება და საუბრის დროის სინქრონულია. უნდა აღინიშნოს, რომ მომენტური მნიშვნელობის წარმოქმნის მექანიზმი უნივერსალურია და ყველა ენაში მოიპოვება.

მაგ.:

- *I **welcome** you and bless you with these words.....*
- ***გეპატიჟებით** კონცერტზე.*
- ***Приветствуем***

სამივე ენაში დროით-ასპექტური ფორმები ასოცირდება გარკვეულ რეგისტრთან და უანრთან.

ჯ. ლიჩი გამოყოფს სამ კონტექსტს რომელშიც 'მომენტურ' აწმყოს ვხვედებით.

1. პირდაპირი რეპორტაჟის კონტექსტი.
2. ავტოკომენტარის კონტექსტი.
3. პერფორმატივები.

აღსანიშნავია, რომ მოყვანილი მნიშვნელობები დისკურსის დონეზე ვლინდება. ზმნის ასპექტური მნიშვნელობის განსაზღვრა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ცნობილია საკომუნიკაციო აქტის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები.

მარტივი აწმყო ინგლისურში ხშირად გამოიყენება ტელე რეპორტაჟებში. ამ შემთხვევაში, მოსაუბრე თითქოს სინქრონულად ახდენს მოვლენების კონსტატაციას, თუმცა რეალურად იგი უკვე შესრულებულ მოქედებებს ახმოვანებს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტივი აწმყოს გამოყენება ტელე რეპორტაჟებში ეკონომიურობის პრინციპს ემსახურება. განვიხილოთ კომენტარი ცნობილი ილუზიონისტის დ. კოპერფილდის გამოსვლაზე:

მაგ.: *The spectator **shuffles** the cards to their content and then **removes** two seemingly random prediction cards from the deck; the nine of clubs and the queen of hearts. The deck is given back to the spectator who **places** the prediction cards face up anywhere in the deck he likes... only to find that right next to the nine of clubs is the nine of spades and right next to the queen of hearts is the queen of diamonds. (www.conjuring cabaret.com).*

ასპექტური თვალსაზრისით მაგალითში მოყვანილი ზმნები სრული ასპექტისაა. საუბარი ნარატიულ რეჟიმში მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ ზმნის ფორმა აწმყო დროშია.

იგივე ზმნები განსხვავებულ ლინგვისტურ კონტექსტში დროის გარემოების მეშვეობით განსხვავებულ ასპექტურ სემანტიკას აელენენ. შდრ.

ა. *The magician **shuffles** the cards every time he starts the trick.*

*ბ. He always **places** the hat top down.*

მოცემულ მაგალითებში ზმნა მრავალგზის მოქმედებას გამოხატავს და უსრული ასპექტისაა.

მარტივ აწმყოს მიმართავს აგრეთვე მოსაუბრე ავტოკომენტარისას, ცდის ან ექსპერიმენტის დემონსტრირებისას:

მაგ: *I **drop** the two balls together, they **separate** just a little bit. The bottom one **hits** the ground first, and **rebounds**. As it is on the way up, it **hits** the top ball, which is still on its way down. So you have a head-on collision, between balls of very different masses. When this happens, a lot of the energy of the first ball **gets transferred** to the second ball, and – watch out! The top ball, the small one, will end up bouncing very high indeed! (www.conjuringcabaret.com)*

პერფორმატივების შემთხვევაში საუბარი მოქმედების სინქრონულია, იწყება და სრულდება საუბრის მომენტში. პერფორმატივები ერთგვარ რიტუალიზირებულ გამოთქმებად შეიძლება მივიჩნიოთ. მარტივი აწმყოს ხმარება ერთგვარ დრამატულ ელფერს ჰმატებს გამონათქვამს.

- *We **conclude** the ceremony with the breaking of the glass.*
- *In the name of God, I, (bride/groom) **take** you, (bride/groom) to be my wife/husband.*

პერფორმატივების სემანტიკიდან გამომდინარე, მოქმედება საუბრის თანხვედრია. სიტუაცია რიტუალიზირებულია და მას მოსაუბრის არავერბალური ქმედება ახლავს თან. ზოგადი აწმყოს მნიშვნელობისგან განსხვავებით, აღნიშნული ზმნა, მოცემულ დისკურსში განსხვავებულ ასპექტურ სემანტიკას ავლენს. ასპექტი სრულია და მოქმედება განსაზღვრული, კონკრეტული.

მარტივი აწმყო შესაძლებელია გამოხატავდეს მოქმედებას, რომელიც საუბრის მომენტის სინქრონულია.

- *Here **comes** your mother.*
- *Off we **go**.*

როგორც ცნობილია, პერფორმატიევები წარმოადგენენ გამონათქვამთა კლასს, რომელთაც განსაკუთრებული სინტაქსური და პრაგმატიკული მახასიათებლები აქვთ. როგორც ცნობილია, განასხვავებენ ექსპლიციტურ და იმპლიციტურ პერფორმატიევებს. ჯ. ოსტინი პერფორმატიევების შემდეგ პარადიგმას წარმოადგენს:

1. პერფორმატიევები –

- კილო - თხრობითი
- დრო - მარტივი აწმყო
- ზმნა პირველ პირში.

თუ გამონათქვამს აღნიშნული მახასიათებლები სრულად არ მოეპოვება, იგი პერფორმატულ თვისებას კარგავს. განვიხილოთ ქვემომოყვანილი მაგალითები:

1.

ა) *I **bet** you five pounds it'll rain tomorrow.*

ბ) *I **am betting** you five ponds it'll rain tomorrow.*

გ) *I **betted you** five ponds it'll rain tomorrow.*

დ) *He **bets** you five ponds it'll rain tomorrow.*

მოყვანილი მაგალითებიდან მხოლოდ 1ა) შეიძლება მივიჩნიოთ პერფორმატიევად. განგრძობითი ასპექტი, ისევე როგორც წარსული დროის ფორმა, სრული ასპექტის გამომხატველი, (წინადადებაში 1 დ), განსხვავებულ სემანტიკურ დატვირთვას ანიჭებს წინადადებას. ორივე შემთხვევაში მოსაუბრე თითქოს აფრთხილებს მსმენელს, ინფორმაციას აწვდის მას და არ გამოხატავს გამონათქვამის პარალელურად მიმდინარე მოქმედებას.

ოსტინი მიიჩნევს, რომ პერფორმატიევების ზემომოყვანილი პარადიგმა არასრულია, ვინაიდან ანალოგიური მახასიათებლები აქვს

ზმნას დემონსტრირების, ავტოკომენტარის კონტექსტში.

მაგ.: *Now I **beat** the eggs till fluffy.*

აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ პერფორმატული მახასიათებლები მხოლოდ გარკვეული სემანტიკის მქონე ზმნებს მოეპოვებათ გარკვეულ სინტაქსურ გარემოცვაში. პერფორმატულობის მახასიათებლის განსაზღვრის ერთ-ერთ კრიტერიუმად ოსტინი ზმნიზედას *hereby* მიიჩნევს. თუ ზმნა მას მოცემულ კონტექსტში შეითავსებს, შესაძლებელია პერფორმატულად იქნას მიჩნეული.

მაგ.: 2.

ა) I hereby declare you Mayor of Casterbridge.

ბ) ?I hereby beat the eggs till fluffy.

გ) ?I hereby jog ten miles on Sundays.

წინადადებაში 2. ა) ზმნა ***declare*** თავისი სემანტიკიდან გამომდინარე პერფორმატული მნიშვნელობის გამომხატველია. წინადადებებში 2.ბ),გ) კი პერფორმატული მნიშვნელობა არ მიიღწევა ზმნების *beat/jog* სემანტიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პერფორმატული ზმნა შესაძლებელია არაპერფორმატული მნიშვნელობით შეგვხვდეს, ამიტომ მხოლოდ ზმნის სემანტიკით ვერ განსვსაზღვრავთ პერფორმატულ მნიშვნელობას.

მაგ.:

*ა) I **bet** you five pounds it'll rain tomorrow.*

*ბ) I **am betting** you five pounds it'll rain tomorrow.*

ზმნის სემანტიკისა და დროის ფორმების გარდა პერფორმატულ მნიშვნელობას ზმნის კილოც გამოხატავს.

მაგ.: 3

*ა) Shut it! / I **order** you to shut it.*

*ბ) I'll be there without fail/ I **promise** I'll be there*

მოყვანილ წინადადებებში თხრობითი კილო, ბრძანებითის საპირისპიროდ, პერფორმატულ მნიშვნელობას ანიჭებს ზმნას.

სქემაზე ზემომოყვანილ ზმნათა დროით-ასპექტური სემანტიკა შემდეგნაირად გამოისახება.



როგორც სქემიდან ჩანს, ხდომილება, წინ უსწრებს საუბრის მომენტს, ხოლო ათვლის წერტილი საუბრის დროის თანხვედრია.

თუ მოცემულ სქემას წინამორბედ სქემებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ცვალებადობამ დისკურსში წრფეზე გამოყოფილი წერტილების ცვალებადობა გამოიწვია. ამ შემთხვევაში ათვლის წერტილი და ხდომილების მომენტი წარსულშია, ზმნა სრული ასპექტისაა. საუბრის დრო აწმყოშია.

ასპექტური თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ე.წ. ისტორიული აწმყო. ისტორიული აწმყო გულისხმობს წარსული მოქმედების აწმყო დროით გადმოცემას. აღნიშნული ფუნქცია ძირითადად ნარატიული რეჟიმისთვისაა დამახასიათებელი. ისტორიული აწმყო თავისი სემანტიკით ხაზს უსვამს ზმნის მიერ გამოხატული მოქმედებების სიცხადეს, რომ ხდომილება მოსაუბრის თვალწინ ხდება, რაც ემფატურ ელფერს ანიჭებს ტექსტს. მარტივ აწმყოს ნარატივში წარსული დროის მნიშვნელობა აქვს და სრულ ასპექტს გამოხატავს. მაგ.:

My school days! The silent gliding on of my existence- the unseen, unfelt progress of my life-from childhood up to youth...

It is a summer evening, down in a green hollow, at the corner of a wall. I ***meet*** *the butcher by appointment. I am attended by a select body of our boys; The preliminaries are adjusted, and the butcher and myself* ***stand*** *face to face. In a*

*moment the butcher **lights** ten thousand candles out of my eyebrow. (Charles Dickens.; David Copperfield. Chapter XVIII)*

როგორც ცნობილია, მხატვრულ ლიტერატურაში დრო პირობითია: ავტორი თავად ირჩევს ათვლის წერტილს, რომლის გარშემოც ვითარდება მოვლენები. მაგალითში ზმნები meet/lights/stand ათვლის რეტროსპექტულ წერტილს გულისხმობს და დასრულებული ხასიათი აქვს. სქემაზე ისტორიული აწმყოს ათვლის წერტილი და ხდომილება წარსულშია. იგი არ ემთხვევა საუბრის მომენტს აწმყოში.



(მთხრობელის დრო)

აწმყო დროის ფორმების ამგვარი ფუნქციები ხშირად გვხვდება როგორც წერით, ასევე ზეპირმეტყველებით დისკურსში. ისტორიული აწმყოს ხმარებისას მოყვანილ მაგალითში მოსაუბრე თითქოს ცდილობს ბავშვობის მოგონებები და მასთან დაკავშირებული ემოციები გააცოცხლოს.

ხშირად ისტორიული აწმყო გვხვდება წიგნისა თუ ფილმის რეცენზიის ჟანრში.

მაგ.:

ნაწყვეტი ფილმის რეცენზიიდან:

- *The film **follows** the young king as he **leads** his forces on a bloody empirical conquest across the known world, taking large parts of Asia and the Middle East to amass a giant empire, all by the time he turned 25. Anthony Hopkins **co-stars** as Ptolemy I along with Rosario Dawson as Roxane, Angelina Jolie as Olympias, Jared Leto as Hephaestion, Val Kilmer as King Philip II, and Jonathan Rhys-Meyers as Cassander. ~ Matthew Tobey, All Movie Guide.(BBC TV Guide)*

- *This celebrated novel **tells** the story of Catherine Sloper, the docile and affectionate daughter of a well-to-do physician who **appears** destined for a lifetime of spinsterhood with only the companionship of her sardonic father and fatuous aunt... (BBC Book Guide)*

აღსანიშნავია, რომ· წიგნისა და ფილმის რეცენზიებში ისტორიულ აწმყოს ხშირად ვხვდებით სიუჟეტის გადმოცემისას. უსრული ასპექტის ფორმები დისკურსის მოცემულ ტიპებში დასრულებული მნიშვნელობის გამომხატველია და შინაარსობრივად წარსული ასპექტური ფორმების ეკვივალენტურია.

დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ისტორიული აწმყო ხშირად გვხვდება საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში, ტელე-რადიო რეპორტაჟებში.

მაგ.:

*სტატიის სათაური -Suicide car bomber **kills** 8 in Baghdad*

*ნაწყვეტი ლიდიდან - BAGHDAD, Iraq (CNN) – A suicide car bomb **exploded early** Monday morning outside the Green Zone, the area where the seat of Iraq's interim government and the U.S. Embassy are situated, killing eight people and wounding 15 others.(www.cnn.com)*

*სტატიის სათაური - First fall in core US inflation for 21 years **eases** pressure to lift rates*

*ნაწყვეტი სტატიიდან - Strong industrial production and housing market data **bolstered** optimism over the US economy yesterday as the first fall in core inflation for 20 yearssuggested The Federal reserve was under no pressure to raise interest rates. (www.cnn.com)*

აღსანიშნავია, რომ მარტივი აწმყოს ხმარება საგაზეთო სტატიებში უფრო ეკონომიურია. გაზეთში დროით-სივცობრივი შე'სღუდვების გამო ანალიზური ფორმების ხმარება არაეკონომიურია.

მოყვანილ მაგალითებში ზმნები წარსულში მომხდარი მოქმედების კონსტატაციას ახდენენ. რეფერენციული დრო და ხდომილება წარსულშია, საუბრის დრო - აწმყოში. ზმნა სრული ასპექტის გამომხატველია.



ინგლისურში საგაზეთო სტატიების სათაურებში მარტივი აწმყო, განგრძობითის პარალელურად, გეხვდება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სტატიაში ტემპორალური მოქმედებაა ნაჩვენები. მაგ.:

*სტატიის სათაური - Thais **drop** origami 'peace bombs'.*

*ნაწყვეტი სტატიიდან- Millions of paper birds **are being** dropped on Thailand's Muslim south in a peace bid after a surge of violence. (www.bbc.uk)*

მოყვანილ სათაურში არაგანგრძობითი ასპექტური ფორმით გამოხატულია ტემპორალური მოქმედება, რომელსაც დიალოგურ რეჟიმში აწმყო განგრძობითი შეცვლიდა. ამ შემთხვევაში კონტექსტი, ისევე, როგორც ზმნის ფორმა, გვიჩვენებს, რომ ზმნა მოყვანილ სათაურში უსრული ასპექტისაა. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ასპექტური მნიშვნელობის დადგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მას დისკურსის კუთხით განვიხილავთ.

დროის ხაზზე ზმნა 'drop' ათვლის წერტილს და ხდომილებას აწმყოში გულისხმობს. საუბრის დრო, აწმყოშია.



R. S. E

მარტივი აწმყო აგრეთვე გეხვდება საგაზეთო სტატიებში აწმყო სრული დროის ნაცვლად.

მაგ.

სტატიის სათაური - *Canada **orders** a sweeping review of public spending*

*ნაწყვეტი ლიდიდან - Paul Martin, Canada's new prime minister, **has ordered** an immediate freeze on big capital projects and on the size of the public service as part of a sweeping review of government spending.*

*ნაწყვეტი სტატიიდან - In one of its first policy announcements, Mr Martin's cabinet **said** it would put 'all government spending under the microscope...*

(www.bbc.uk)

როგორც უკვე აღინიშნა, მარტივი აწმყო საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში იხმარება არა მხოლოდ წარსულში მომხდარი მოვლენის გადმოსაცემად, არამედ მომავლის მნიშვნელობითაც.

სტატიის სათაური - *Bush **nominates** health secretary.*

*ნაწყვეტი სტატიიდან - President Bush **will be nominating** EPA Administrator replace Tommy Thompson as Health and Human Services secretary. (www.bbc.uk)*

აღსანიშნავია, რომ საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში წარსული და მომავლის მნიშვნელობით ხმარებული აწმყო დროის ფორმები, სრული ასპექტისაა. დროის ხაზზე მოქმედება ხდომილებასა და რეფერენციულ დროს მომავალში გულისხმობს, საუბრის დრო, აწმყოშია.

S. R. E.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს რომ ხშირ შემთხვევაში სტატიის დრო ემთხვევა მისი სათაურის დროს.

სტატიის სათაური - *Car chiefs **failed** to read deal papers*

*ნაწყვეტი სტატიიდან - The chairman, chief executives and biggest shareholders of Chrysler and Daimler – Benz **did not bother** to read the deal documents before they **agreed** on the world's biggest industrial merger, court testimony over the past two weeks has revealed. (www.cnn.com)*

მარტივი აწმყო დროის ფორმა გვხვდება აგრეთვე გაზეთებისა და ჟურნალების ილუსტრაციების წარწერებში. მარტივი აწმყოს გამოყენებით ჟურნალისტი თითქოს აცოცხლებს სურათებსა თუ ილუსტრაციებში აღბეჭდილ კადრებს.

მაგ.:

- *Woman **holds** a photo of Heidar Aliev in Baku yesterday. (The Independent)*
- *The Freer in Washington **recreates** the rose pink 1884 display, which includes 'shelling peas'.(Evening Standard)*
- *Genetech workers in San Francisco **mark** the discovery of DNA with double helix.*

მარტივ აწმყოს ხშირად მიმართავს ინგლისურენოვანი ტელე-რადიო ჟურნალისტი სპორტული თამაშების კომენტირებისას. ამასთანავე განგრძობითი დროისგან განსხვავებით, მარტივი ფორმის ხმარება ამ შემთხვევაში დროის ეკონომიასაც ემსახურება.

მაგ.: *Dawson **feeds** and **gets** ball away to backs. Barkley **sets** Cueto away on the wing but pass is judged to be forwards. Scrum Ireland, good pressure by England, Foley **picks** and **goes**, Ireland **kick** into touch and final whistle goes. Ireland **remain** on course for the Grand Slam. FULL-TIME*
*O'Gara **clears** to touch. Byrne **throws** in at lineout near halfway line. Easterby **wins** it, maul set up, Ireland **drive on**, inching towards the England half. England **turn** it over and **get** put in at scrum. (CNN sports)*

აწმყოს ფორმის მიუხედავად, ზმნები *gets sets picks goes*, სრულ ასპექტს გამოხატავენ. ამ შემთხვევაში საუბრის ხდომილება უსწრებს საუბრის დროს.



მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილი ზმნები თითქოს ერთი შეხედვით აწმყოს ფორმაშია, და სრულ ასპექტს გამოხატავენ, რეალურად მათ მხოლოდ ფორმა აქვთ აწმყოში, შინაარსობრივად, კი წარსულის მნიშველობის გამომხატველი არიან. ამით აიხსნება აწმყო დროის ფორმისა და სრული ასპექტის თანაარსებობა.

აღსანიშნავია, რომ მარტივი აწმყო აგრეთვე ხშირად გვხვდება სასცენო რემარკებში. მარტივი აწმყოს ხმარებისას მოქმედება თითქოს უფრო თვალნათელი ხდება და აღნიშნული ხერხი მკითხველისთვის სცენის ვიზუალიზაციის საშუალებაა.

მაგ.:

Mrs. Erlynne: Oh you're on the brink of ruin, you are on the brink of hideous precipice... you must come with me and drive straight home.

Lady Windermere throws off her cloak and flings it on the sofa...

Lord Windermere: Silence! I'm here to save you, if I can. But I fear it is too late! There! points to the curtain across the wind...

Mrs. Erlynne: To bid good-bye my dear daughter, of course.

(Lord Windermere bites his under lip in anger. Mrs Erlynne looks at him, and her voice and manner become serious. In her accent as she talks, there is a note of deep tragedy. For a moment she reveals herself.) (O.Wild. LadyWindermere's fan)

როგორც ვხედავთ, მარტივი აწმყო დრო ზემომოყვანილ მაგალითში ფუნქციურად ტელე-რადიო კომენტარისა და ავტოკომენტარის მსგავსია. თუმცა აღსანიშნავია, რომ

კომენტარებისგან განსხვავებით, სასცენო რემარკებში ათვლის წეტილი წარსულშია და არა აწმყოში. ისტორიული აწმყოს მსგავსად, ამ შემთხვევაში საუბრის დრო არ ემთხვევა მოქმედების დროს. ასპექტური სემანტიკის თვალსაზრისით, აღნიშნული ფუნქცია სრულია.

დროის ხაზზე ზემრმოყვანილი მოქმედება ასე გამოიხატება: საუბრის დრო აწმყოშია, რეფერნციული დრო და ხდომილება წარსულში:



დაკვირვებამ ცხადყო, რომ მარტივი აწმყო ხშირად გვხვდება სამეცნიერო დისკურსში. განხილული სამეცნიერო ტექსტებიდან 90% სწორედ მარტივ აწმყოს მაგალითებს შეიცავს. ამ შემთხვევაში მოქმედების ფოკუსი სცილდება აწმყო დროის ფარგლებს. მოქმედება უნივერსალურია – წარულს, აწმყოსა და მომავალს მოიცავს.

მაგ.:

- *Fault tree analysis **reveals** the logical connection existing between an undesired events in a technical system…….*
- *The paper **predicts** the announcement will bolster his party's standings in opinion polls.*

მოყვანილ მაგალითში აწმყო დრო გამოხატავს მოქმედებას, რომელიც გულისხმობს, რომ პროპოზიცია ჭეშმარიტია, მიუხედავად დროისა. აღსანიშნავია, რომ ამის პარალელურად არაოფიციალურ რეგისტრში მარტივი წარსული დროის ფორმა შეგვხვდებოდა, რაც უფრო ბუნებრიეია. აწმყო კი მარკირებული ფორმაა და მოქმედების ხაზგასმის მიზნით იხმარება.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მარტივი აწმყო ინგლისურში მომაელის მნიშვნელობითაც გვხვდება გარკვეულ კონტექსტში.

როგორც წესი, მარტივი აწმყოს ფორმებს განრიგით დაგეგმილ მოქმედებებზე საუბრისას ვიყენებთ.

მაგ.:

- *The bus to Oxford **leaves** at 7.30.*
- *Programmes **start** at 10. .*

მარტივი აწმყოს ეს ფორმა ათვლის წერტილსა და ხდომილებას მომავალში გულისხმობს, ხოლო საუბრის მომენტი აწმყოშია. ასპექტური თვალსაზრისით, აღნიშნული ფუნქცია სრულ ასპექტს გამოხატავს.



მარტივი აწმყოს მომავლის მნიშვნელობით ხმარება ხშირად გრამატიკულ ფაქტორებზეა დაფუძნებული. მომავალი დროის მნიშვნელობით მარტივი აწმყო გვხვდება შემდეგ გრამატიკულ კონტექსტებში: მომავალი დროის გარემოების კონტექსტში, პირობით წინადადებაში ან დროის გარემოების დამოკიდებულ წინადადებაში.

მაგ.:

1. *If I **refuse** to do what he says this time, who knows where it will end.*
2. *Next year a new era **begins.***

აღსანიშნავია, რომ პირობით და დროის გარემოების დამოკიდებულ წინადადებაში მიუხედავად აწმყოს ფორმისა, ჰიპოთეტური ხდომილება და რეფერენციული დრო მომავალშია, ასპექტი სრულია.

აღსანიშნავია, რომ მარტივი აწმყოსა და განგრძობითის დაპირისპირებას ხშირად ვხედებით განსხვავებულ რეგისტრში. ქვემომოყვანილი მაგალითი ხშირად გვხვდება ინგლისურენოვან წერილში და ერთგვარ კლიშედაც არის ქცეული.

- *I look forward to hearing from you.*
- *I am looking forward to hearing from you.*

მოყვანილ მაგალითში მარტივი ფორმის საპირისპიროდ განგრძობითი აწმყოს ფორმა ნაკლებ ოფიციალურია.

მარტივი და აწმყო დროის ფორმათა კონტრასტი ხშირად მოსაუბრის სუბიექტური დამოკიდებულების (attitudinal present) გამომხატველი შეიძლება იყოს.

მაგ.:

Well, the English can't stand a man who is always saying he is in the right, but they are very fond of a man who admits that he has been in the wrong. It is one of the best things in them. However, in your case, Robert, a confession would not do. The money, if you will allow me to say so, is awkward. Besides, if you did make a clean breast of the whole affair, you would never be able to talk morality again... (O. Wild. An Ideal Husband).

მოყვანილ მაგალითში განგრძობითი ფორმა მარტივისგან განსხვავებით, სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველია. მარტივი ფორმა მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს, განგრძობითი – გაღიზიანების გამომხატველია.

წარსული განგრძობითი ფორმა აგრეთვე შესაძლებელია სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატულებადაც იქცეს და ადრესანტის ერთგვარი გაღიზიანება გამოხატოს მოქმედების მიმართ. განვიხილოთ მაგალითი წერილიდან:

მაგ.: *When I was a kid I hated languages at school. I wasn't interested in learning so I never did homework. I was always making fuss in class and was*

always hanging around before the exams. Maybe it wasn't my fault but I really didin't get on with my teacher. We were always arguing. She seemed to think I was a stupid young boy just because I didn't know past participle... (Cutting Edge Upper-intermediate)

ამ შემთხვევაში განგრძობითი ფორმა სუბიექტური ხასიათისაა. მწერალი ნეგატიური კუთხით აღწერს მისი, როგორც მოსწავლის საქციელს და მის სუბიექტურ დამოკიდებულებას განგრძობითი ასპექტის საშუალებით გადმოსცემს.

უნდა აღინიშნოს, რომ შესატყვისი მარტივი ფორმა, ნეიტრალურია.

როგორც ცნობილია, ინგლისურში გვხვდება ზმნათა სემანტიკური კლასი, რომელიც მხოლოდ მარტივ დროებში გვხვდება. მათ სტატიკური მნიშვნელობა აქვთ და ერთ, შეუწყვეტელ მოქმედების ვითარებაზე მიუთითებენ.

ასეთი ზმნებია:

1. ქონა/ყოლის/არსებობის გამომხატველი ზმნები: *be, contain, depend, have.*
2. მენტალური მდგომარეობის გამომხატველი *believe, know, realize, think*
3. დამოკიდებლობისა და ემოციის: *disagree, dislike, like, want, wish.*
4. აღქმის: *feel, hear, see, smell, taste*
5. გრძნობის გამომხატველი ზმნები: *ache, feel, sick, hurt, itch.*

to swim.

ზოგიერთი ზმნა განგრძობით ფორმაში განსხვავებულ სემანტიკას იძენს. აღსანიშნავია სემანტიკა ზმნისა think. როგორც ცნობილია, სტატიკური ზმნები ინლისურში განგრძობით ფორმაში არ იხმარება. ზმნას think ინგლისურში განგრძობით ფორმაში განსხვავებული დატვირთვა აქვს.

I am thinking of going. (დინამიკური)

I think it's mine. (სტატიკური)

ზოგ შემთხვევაში ვხედებით სემანტიკურ შეზღუდვებს ჰაბიტუალური მნიშვნელობის გამოხატვასთან დაკავშირებით.

მაგ.: *The picture **is hanging**. The picture **used to hang**.* The picture **would hang.***

*The child **is sleeping** tranquilly. Th child **used to sleep** tranquilly. The child **would sleep** tranquilly.**

ინტერესს იწვევს სტატიკური აწმყო (the state at present), აღნიშნული ფორმა გამოიყენება სტატიკურ ზმნასთან და გამოხატავს ერთჯერად, შეუწყვეტელ საქმეთა ვითარებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში, აწმყოსა და მომავალში. იგი მოცავს როგორც ზოგად, ასევე აბსტრაქტულ აწმყოს.

მაგ.: *Two and three **make** five. British isles **have** a temperate climate.*

აღნიშნულმა საქმეთა ვითარებამ შესაძლებელია გამოხატოს მდგომარეობა/მოქმედება შედარებით შეზღუდული დროის მონაკვეთში. მაგ.: *Margaret **is** tall. I **live** in Toronto.*

ზმნათა ლექსიკური კლასიფიკაცია მათი მოქმედების რაგვარობის კრიტერიუმის მიხედვით თავდაპირველად შემოთავაზებულ იქნა ზ. ვენდლერის მიერ. მანვე შემოიტანა ენათმეცნიერებაში აქციონზარტის ცნება. 'Aktionsart' მეცხრამეტე საუკუნის დერივატივია ტერმინისა 'Zeitart'.

აქციონზარტი ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების ფორმას, ხასიათს შეისწავლის. მისი აზრით, ზმნები, ისევე, როგორც სხვა პრედიკაციული ელემენტები, შესაძლებელია გავაერთიანოთ შინაგანი ტემპორალური თვისებების მიხედვით. ვენდლერი გამოყოფს ოთხ ძორითად კლასს:

1. **მდგომარეობა** (states)
2. **დასრულებული მოქმედება** (accomlishements)
3. **მიღწევა** (achievements)
4. **ქმედება** (activities)

1. **მდგომარეობა**: be sick, be tall, be dead, love
2. **დასრულებული მოქმედება** : melt, freeze, dry, recover form illness, learn.
3. **მიღწევა**: pop explode, collapse, shatter (intransitive)
4. **ქმედება**: march, walk, roll (intransitive), swim, rain.

1. **მდგომარეობა** არადინამიური, ტემპორალურად არაზღერული საქმეთა ვითარება.
2. **დასრულებული მოქმედება**, თავის მხრივ, დროში განფენილია და საბოლოო სასრულ წერტილზე მიუთითებენ.
3. **მიღწევა** მყის, ცვალებად მოქმედებას გულისხმობენ და შეიცავენ შინაგან ტემპორალურ მომენტს.
4. **ქმედება** დინამიური და არაზღერულია.

რ. ვან ვალინი ვენდლერის მიერ გამოყოფილ ყოველ მოცემულ აქციონსარტის ტიპს მის მიერ შემუშავებულ საქმეთა ვითარების 4 ძირითად კლასს უკავშირებს:

სიტუაციური ტიპები	**საქმეთა ვითარება**
situation (სიტუაცია)	state (მდგომარეობა)
event (მოვლენა)	achievement (მიღწევა)
process (პროცესი)	accomplishment(დასრულებული მოქმედება)
action (მოქმედება)	activity (ქმედება)

ნიშანდობლივია, რომ განსხვავება საქმეთა ვითარებაში აქციონზარტის ტიპებს შორის განსხვავებაშიც ვლინდება. სიტუაციები გამოიხატება მდგომარეობის ზმნებით. პროცესები დასრულებული მოქმედებებით. განსხვავდება აგრეთვე საქმეთა ვითარების თვისებები ზმნის თვისებებისგან. აქციონზარტი მიუთითებს ლინგვისტური პრედიკატის და არა საქმეთა ვითარების თვისებებზე.

მიგვაჩნია, რომ მკვეთრი განსხვავებაა ზმნის საწყის, ლექსიკურ მნიშვნელობასა და დისკურსში, კონკრეტულ წინადადებაში მოცემული ზმნის მნიშვნელობას შორის. აქედან გამომდინარე, ზმნებს აქვთ ძირითადი აქციონზარტის ტიპი (მოცემული ლექსიკონში) და აქციონზარტი, რომელიც ზმნას კერძოდ მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს. მაშასადამე, კონტექსტიდან გამომდინარე ზმნას შესაძლებელია ჰქონდეს არაერთი აქციონზარტის ინტერპრეტაცია.

მდგომარეობებსა და ქმედებებს არ გააჩნიათ შინაგანი ტემპორალური წერტილი. მაგალითად, წინადადებაში John is tall არავითარი მინიშნება არ არის მოქმედების დასრულებაზე, ზღვრულობაზე. მაშასადამე, ზმნა ატელიკურია. ისევე, როგორც წინადადებაში: John is running in the park. The earth is rotating. ამის საპირისპიროდ, ზმნა – dry ატელიკურია და სასრულ მდგომარეობას გულისხმობს. მიღწევებიც დასრულებული მოქმედების მსგავსად ტელიკურია. **პუნქტუალურობის** კრიტერიუმი განასხვავებს შინაგანი განგრძობითობის შემცველ ტელიკურ მოქმედებებს მათგან, რომლებიც აღნიშნული მახასიათებლით არ ხასიათდებიან. მაგალითად, ზმნები melt, pop შეიცავენ მდგომარეობის ცვალებადობას. The ice melted, The balloon popped. განსხვავება მოცემულ ორ წინადადებას შორის ზმნით გამოხატული მოქმედების

ხანგრძლიობაში მდგომარეობს. პირველი დროის ერცელ მონაკვეთს მოიცავს, მეორე მყისი, წამიერი მოქმედებაა. პირველ შემთხვევაში გვაქვს თვისება – პუნქტუალური, მეორე შემთხვევაში + პუნქტუალური. ვენდლერი გამოყოფს **მიღწევებსა** და **მდგომარეობებს**. ამ შემთხვევაში იგი მიიჩნევს, რომ მიღწევები მოქმედებებია მოცემულ, კონკრეტულ მომენტში, მაშინ, როდესაც მდგომარეობანი დროის ხანგრძილივ მონაკვეთზე ერცელდება.

At what time did you reach the top? At noon sharp. მოცემული წინადადება გამართული და ლოგიკურია, მაშინ, როდესაც წინადადება

At what time did you love her მიუღებელია.

How long did you love her? For theree years.

რ. კეერკი at. el. გამოყოფს განგრძობითი დროების შემდეგ სამ კომპონენტს:

(ა) მოქმედება გამოხატავს განგრძობითობას (He is singing)

(ბ) მოქმედება გამოხატავს შეზღუდულ განგრძობითობას (I am watering his plants while he is away)

(გ) მოქმედება არ არის დასრულებული (He has been learning French for five years).

პირველ ორ შემთხვევაში გვაქვს დროებითობის მნიშვნელობა, მესამე მნიშვნელობა სრული განგრძობითი დროით გამოხატული კი დროის უფრო ერცელ, დაუსრულებელ მოქმედებაზე მუთითებს.

აღსანიშნავია, რომ განგრძობითი ფორმების ხმარება უფრო იშვიათია, ვიდრე არაგანგრძობითისა. ჩემს მიერ განხილული მაგალითებიდან 70% ხმნებისა არაგანგრძობით (მარტივ) ფორმებში გვხვდება. ამასთანავე, განგრძობით ფორმათა დიდი რაოდენობა არაოფიციალურ საუბრებში გვხვდება, წერილობით დისკურსში.

აწმყო განგრძობითი დროის სემანტიკა ინგლისურში შემდეგ ფუნქციებს მოიცავს:

1. მოქმედება საუბრის დროის სინქრონულია.

2. მოქმედება დროის ხანმოკლე პერიოდზე ვრცელდება

3. მოქმედება მომავალზეა ორიენტირებული.

4. სუბიექტური მიმართების გამომხატველ ფორმებში (attitudinal present tense).

აწმყო განგრძობითის ძირითადი ფუნქციაა საუბრის თანხვედრი მოქმედება. მოქმედება კონრეტულია, დროის ხანმოკლე პერიოდს მოიცავს. იგი თითქოს მთლიანი სიტუაციის ერთ-ერთ სეგმენტს წარმოადგენს.

მაგ.: *Operators **are sending** high-definition programmes straight to the viewer, by passing the need for a special broadcast receiver.*

მოყვანილ მაგალითში საუბრის დრო, ხდომილება და რეფერენციული დრო აწმყოშია, ასპექტი უსრული.



დროის უფრო ვრცელ მონაკვეთს მოიცავს ტემპორალური, დროებითი მოქმედების გამომხატველი განგრძობითი დრო.

მაგ.: *A team of mountaineering medics **is launching** an expedition to Mount Everest to learn how the human body copes with high altitudes. The results could lead to new treatments for critically ill patients, as BBC News medical producer Rachael Buchanan found out.(www.bbc.co.uk)*

მოქმედება უსრულ, განგრძობით ასპექტს გამოხატავს, საუბრის და ხდომილების დრო აწმყოშია.



აწმყო განგრძობითს მიმართავს მოსაუბრე მომავლის გეგმებზე საუბრისას.

ამ შემთხვევაში ფრაზას to be going to მსგავსი მნიშვნელობა აქვს.

მაგ.: *Next year companies **are starting** to play out and more services will come online. Google **is intending** to broaden its fields of services which will not be good news for its rival 'search' monster hotmail. (www.cnn.com)*

ზემომოყვანილი მოქმედება ათვლის წერტილსა და ხდომილებას მომავალში გულისმობს, საუბრის დრო – აწმყოშია.



პერფექტული ასპექტი ინგლისურში ხშირ შემთხვევაში სრული ფორმებით გადმოიცემა – აწმყო და წარსული სრულით. აწმყო სრული ორ ძირითად ფუნქციას მოიცავს:

1. დასრულებული მოქმედება, შედეგი აწმყოშია
2. დასრულებული მოქმედება შედეგი წარსულშია.

თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ამგვარი დაყოფა ვერ ასახავს სრულად პერფექტული დროების სემანტიკას. კვალევამ დაგვანახა, რომ პერფექტული დროები ხშირ შემთხვევაში არ გამოხატავენ სრულ, ტელიკურ მნიშვნელობას.

ა. სმირნიცკი მიიჩნევს, რომ პერფექტი წარმოადგენს შედგენილ სისტემას, რომელიც განსხვავებულ ფორმებსა და ფუნქციებს

მოიცავს. ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ პერფექტული მნიშვნელობის გამოსახატავად მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ გრამატიკული, არამედ ლექსიკური კონტექსტუალური ფაქტორებიც. ყველა არსებულ პერფექტულ სტრუქტურაში გამოხატულია დასრულებულობის, შესრულებული მოქმედების მნიშვნელობა. მიმღეობა მეორე (past participle) გამოხატული მოქმედების წარსულ დროსთან კავშირს უსვამს ხაზს. აღსანიშნავია აგრეთვე განსხვავება მარტივ აწმყოს მიერ გამოხატული მნიშვნელობისა და აწმყო სრული დროის სემანტიკას შორის. პერფექტის შემთხვევაში გვაქვს პროცესი, რომელიც დასრულდა გარკვეულ რეფერენციულ დროსთან მიმართებაში და მოქმედება სახესაა, მაშინ, როდესაც მარტივი წარსულის შემთხვევაში მოქმედება საუბრის დრომდე დასრულდა. მსგავსი დაპირისპირება ვლინდება მომავალი სრული და მარტივი წარსული დროების შეპირისპირებისას.

მაგ.: *I **will have read.***

*I **read.***

ზოგადად რომ ვთქვათ, ორივე მაგალითში გვაქვს წარსულის მნიშვნელობა, თუმცა პირველ შემთხვევაში გვაქვს წარსული დრო გარკვეულ წერტილთან მიმართებაში მომავალში, მეორე შემთხვავაში საუბრის დროსთან მიმართებაში.

ბ. ილიში მიიჩნევს, რომ აწმყო პერფექტული ფორმა რეზულტატური ასპექტის გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებაა.

ჯ. ლიჩი გამოყოფს აწმყო სრულის ოთხ განსხვავებულ ფუნქციას:

(1) დაუსრულებელი მოქმედება, რომლის სუბიექტი და შედეგი სახესაა.:

მაგ.: *Hip-hop culture **has existed** for a number of years in the States, going back to the early 70s, in terms of graffiti, break-dancing, and people rapping over other records. (www.bbc.co.uk)*

მოყვანილი წინადადება სემანტიკურად დაუსრულებელი მოქმედების გამომხატველია. მოქმედება განგრძობითია და შესაძლებელია მომავალშიც გაგრძელდეს.

(2) ანალოგიური ასპექტური მნიშვნელობა აქვს ზმნას, როდესაც იგი წარსულსა და აწმყოში არსებულ ჩვევას გამოხატავს.

მაგ.: *Television **has broadcast** 30-minute documentaries in which famous celebrities promote the case for the top 10 candidates for years.*

(3) სრული ასპექტის გამომხატველია მოქმედება, რომელიც წარსულის განუსაზღვრელ მომენტში მოხდარ მოქმედებას გამოხატავს.

მაგ.: *Around the globe, from Chicago to Cork, St Patrick's Day **has produced** parades and parties, music and dance, costumes and celebrations.* (www.cnn..com)

ზემომოყვანილი ფუნქცია მოქმედებას ერთგვარი მთლიანობის სახით გამოხატავს. ამ შემთხვევაში აწმყო სრულის ფორმა პერფექტული მნიშვნელობისაა.

(4) პერფექტული ასპექტის გამომხატველია აგრეთვე შედეგობრივი წარსული. მაგ.:

სტატიის სათაური - *The Pentagon **has confirmed** that five US citizens are being held in Iraq.*

*ლიდი - The detainees **have not been charged**, and **have not had access to** a lawyer. A Pentagon spokesman declined to release their names. However, one was identified by his family as Cyrus Kar, an Iranian-US film-maker and US navy veteran. (www.cnn.com)*

მოცემული ფუნქციები ათვლის წერტილსა და საუბრის მომენტს აწმყოში გულისხმობს, ხდომილებას – წარსულში. აწმყო სრულის მოცემული ფორმები სრული ასპექტის გამომხატველია. მოქმედება წარმოდგენილია როგორც გარკვეული ზღვრული მთლიანობა, რომელიც საწყისს, შუაგულსა და დასასრულს შეიცავს.



ზემომოყვანილ ფუნქციებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კონტექსტმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა თუ რომელი მნიშვნელობაა გამოხატული მოცემულ წინადადებაში. ერთი და იგივე დროით-ასპექტურმა ფორმამ სხვადასხვა წინადადებაში შესაძლებელია განსხვავებული მნიშვნელობა მიიღოს.

წარსული სრული დროის ფუნქციები იდენტურია აწმყო სრულისა. წარსული სრული დროის ფორმაც ორ ძირითად ფუნქციას მოიცავს:

1. მოქმედება დასრულებულია, შედეგი გვაქვს წარსულის მოცემულ მომენტში.

მაგ.:

He was there - at least a few yards further in the park; leant against an old ash tree, his hat off, and his hair soaked with the dew that ***had gathered*** *on the budded branches, and fell pattering round him. He had been standing a long time in that position, for I saw a pair of ouzels passing and repassing and repassing scarcely three feet from him. (E. Bronte, Wuthering Heights)*

2. მდგომარეობა გარკვეულ მომენტამდე წარსულში ეიღებთ მნშვნელობას, რომელიც წარსულის გარკვეულ მომენტში იწყება და რეფერენციული დროის მიღმა ვრცელდება. მაგ.:

Developing out of the South Bronx, rap music ***had been*** *established for a*

number of years previous to 1979.

ასპექტური თვალსაზრისით, მოცემული მოქმედება დასრულებული ხასიათისაა, სრული ასპექტის გამომხატველი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისური აწმყო სრული დრო არ არის სრული ასპექტის იდენტური. სრული დროები ყველა შემთხვევაში არ შეიძლება დახასიათდეს, როგორც ტელიკური ან რეზულტატური. ე. გელდერენი მიიჩნევს, რომ წინადადებები

a. I've read.

b. I've gone.

შინაარსობრივად აწმყოსთან დაკავშირებულ წარსულში მომხდარ მოქმედებებს გამოხატავენ, რეზულტატურობა არ არის აუცილებელი მახასიათებელი.

აღსანიშნავია, რომ რიგი ზმნებისა განსაკუთრებით ხშირად გვხვდება პერფექტულ ასპექტთან. ასეთებია: been, gone, come, made, taken, done left, had. აღნიშნული ზმნები გვხვდება როგორც საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში, ასევე სასაუბრო ინგლისურსა და მხატვრულ ლიტერატურაში. ამასთანავე გამოვყავით ზმნები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება პერფექტულ ასპექტთან მხატვრულ ლტერატურაში: say, see, become, begin, bring, find, give get, happen hear, know,tell turn.

კველვამ დაგვანახა, რომ გარკვეული დროის ფორმები გარკვეულ რეგისტრთან ასოცირდება. მარტივი დროის ფორმები ხშირად გამოიყენება როგორც ოფიციალურ, ასევე არაოფიციალურ რეგისტრში. განხილული მაგალითებიდან 80% მარტივი/არაგანგრძობითი დროით-ასპექტური ფომებია, არაოფიციალურ საუბარში განხილულ ზმნათა 85% მარტივი ფომებია, 5% პერფექტული ასპექტური ფორმები, ხოლო, 10% განგრძობით ასპექტურ ფორმაში გვხვდება. საგაზეთო და

საჟურნალო სტატიებში პერფექტული ასპექტი უფრო ხშირად გვხვდება. განხილული მაგალითებიდან 20% ზმნებისა პერფექტულ ასპექტურ მნიშვნელობას გამოხატავს. განგრძობითი ასპექტი კი, მხატვრულ ლიტერატურაში უფრო ხშირად გვხვდება (15%) ვიდრე პრესაში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აკადემიურ ნაწერში იშვიათია განგრძობითი ფორმების ხმარება (2%), მაშინ როდესაც პერფექტულ ფორმებს უფრო ხშირად ვხვდებით.

ინტერესს იწვევს აგრეთვე წარსული და აწმყო სრული დროების დაპირისპირება. განხილული მაგალითებიდან საუბარში 85% აწმყო სრული დროით-ასპექტური ფორმებია, 15% წარსული. მხატვრულ ლიტერატურაში ნარატივის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი რაოდენობით გვხვდება წარსული სრული დროით-ასპექტური ფორმები (60%), ხოლო აწმყო სრული დროის ფორმები იშვიათად გვხვდება (40%). საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში და სამეცნიერო ენაში დიდი სიხშირით გვხვდება აწმყო სრული დროის ფორმები როგორც სტატიებში, ასევე ლიდსა და სათაურებში.

ინტერესს იწვევს წარსული დროების სემანტიკა. მარტივი წარსული, ისევე როგორც მარტივი აწმყო, ასპექტურ მნიშვნელობათა სიუხვით ხასიათდება. ჰაბიტუალური ასპექტი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც დროის ხანგრძლივ პერიოდზე ერცელდება და სიტუაციას, რომელიც ხშირად მეორდება. ჰაბიტუალური ასპექტის მაგალითია წარსულში ინგლისური სტრუქტურა used to... რაც ქართულში "ხოლმე" ნაწილაკით გადმოიცემა.

მაგ.: *Deutsche's management team* ***used to spark*** *controversy in its attempts to improve the company's performance, announcing job cuts at a time when Germany's unemployment rate was at its highest since the 1930s. (www.cnn.com)*

მოცემულ წინადადებაში ზმნა უსრული ასპექტის გამომხატველია და მრავალგზის მოქმედებაზე მიუთებს.

სქემაზე ზემომოყვანილი ფუნქცია შემდეგნაირად გამოიხატება:



აღსანიშნავია, რომ ჰაბიტუალური ასპექტი არ უნდა იქნას გაიგივებული იტერატიულ ასპექტთან, რომელიც მხოლოდ რამდენიმე განმეორებად მოქმედებას გამოხატავს.

მაგ.: *He **coughed** over and over again, then recited his poem.*

როგორც ვხედავთ, დროის წრფეზე საუბრის მომენტი წარსულშია, ხდომილება და რეფერენციალური დრო კი წარსულში.

აღსანიშნავია, რომ მარტივი წარსულის მრავალგზის მოქმედების გამომხატველი ფუნქცია ასპექტური თვალსაზრისით იდენტურია აწმყო დროის მრავალგზის მოქმედების სემანტიკისა. მარტივ წარსულს ამ შემთხვევაში ერთგვარი აბსტრაქტული მნშვნელობა აქვს, თუმცა აწმყოსგან განსხვავებით, მისი სემანტიკური ველი მხოლოდ წარსულ დროს მოიცავს.

მარტივი წარსული დროის შემდეგ ფუნქციას ერთგზის მოქმედება წარმოადგენს.

მაგ.:

*He **walked** into the parlour, and **sat down**. Mr. Linton **summoned** me, and with great difficulty, and after resorting to many means, we **managed** to restore her sensation. She **sighed,** and **moaned,** and **knew** nobody. Edgar, in his anxiety for her, **forgot** her hated friend...*

I went to, at the earliest opportunity, and besought him to depart, affirming that Catherine was better, and he should hear from me in the morning, how she passed the time. (E. Bronte, Wuthering Heights)

ჰ.რაიჰენბახის სქემაზე ზემომოყვანილი მოქმედება შემდეგნაირად გამოისახება.

ათვლის წერტილი წარსულშია, ვინაიდან მოსაუბრის ხედვა მოქმედებისა რეტროსპექტულია. ასპექტური თვალსაზრისით მოცემული მოქმედება სრულია.



იმ შემთხვავაში, როდესაც ზმნას ობიექტი არ ახლავს, იგი უსრული ასპექტის გამომხატველია. გარდაუვალი ზმნების შემთხვევაში ზმნის ასპექტური მნიშვნელობა გაურკვეველია. ხშირ შემთხვევაში დასრულებული მნიშვნელობა, მოქმედების მიზანი ექსპლიციტურად უნდა იქნას გამოხატული. მაგალითად ფრაზა He went შესაძლებელია უსრული ასპექტის მნიშვნელობის გამოხატულებად მივიჩნიოთ. მაშინ როდესაც ფრაზა I went there მოქმედების სასრულ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას და სემანტიკურად შესაძლებელია პერფექტივად მივიჩნიოთ. ამასთანავე დროის გარემოებამ შესაძლებელია ზმნას ტელიკური მნიშვნელობა შესძინოს. მაგ:

I went/ I went in an hour.

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილ წინადადებაში დროის გარემოება ტელიკურობის მნიშვნლობას ანიჭებს ფრაზას. თუმცა ზოგ შემთხვევაში პერფექტულობა შესაძლებელია წინდებულის საშუალებით იქნას გამოხატული.

მაგ.: *Librarian: We **received it in** for you.*

ზემომოყვანილ წინადადებაში ზმნა ერთგზის მოქმედებას გადმოსცემს. და ასპექტი სრულია. დროის ხაზზე მოცემული

მოქმედება ათვლის რეტროსპექტულ წერტილს გულისხმობს, საუბრის მომენტი კი აწმყოშია.



უსრული ასპექტის თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს წარსული განგრძობითი დრო. ამ შემთხვევაში მოქმედება არაზღვრულია და მთლიანის გარკვეულ ნაწილს, განვითარების ეტაპს წარმოადგენს.

მაგ.:

*"The Riga council **was fearing** the loss of right-wing votes, would give the go-ahead for the march by the former SS men," the paper adds.(www.bbc.co.uk)*

მოცემული მოქმედება ათვლის წერტილს და ხდომილებას წარსულში გულისხმობს, ხოლო საუბრის მომენტი აწმყოშია.

წარსული განგრძობითის ფორმა ხშირად გეხვდება მოქმედებათა ფონის აღსაწერად. ქვემომოყვანილ მაგალითში განგრძობით მოქმედებას მარტივი აწმყოს ფორმით გამოხატული მოქმედება კვეთს.

მაგ.: *My master kept his room – I took possession of the lonely parlour, converting it into a nursery; and there I **was sitting**, with the moaning doll of a chills laid on my knee and I **was rocking** it to and fro, and **watching**, meanwhile, the still driving flakes build up the uncutained windows when the door **opened**, and some person **entered**, out of the breath and laughing (E. Bronte, Wuthering Heights)*

დროის ხაზზე წარსული განგრძობითის აღნიშნული მოქმედება შემდეგნაირად გამოიხატება – ათვლის დრო და ხდომილების დრო წარსულშია, ხოლო საუბრის მომენტი – აწმყოში.



წარსული განგრძობითის ფორმა ოფიციალურ რეგისტრში შესაძლებელია თავაზიანობის მარკერადაც იქნას გამოყენებული. განგრძობით და არაგანგრძობით ფორმებს ამ შემთხვევაში განსხვავებული ემოციური დატვირთვა აქვთ.

მაგ.: *I **was wondering** if you could give me a lift.*

*I **wondered** if you could give me a lift.*

მოცემულ კონტექსტში ათვლის წერტილი წარსულიდან მომავალში გადაინაცვლებს.

აღსანიშნავია, რომ მოცემული წინადადებები შინაარსობრივად იდენტურია, თუმცა ისინი განსხვავებულ ასპექტურ სემანტიკასა და პრაგმატიკას გულისხმობენ.



წარსული და აწმყო განგრძობითი ფორმების დროით ასპექტურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სასაუბრო ინგლისურში აწმყო განგრძობითი ფორმები უფრო ხშირია – 70%, წარსული განგრძობითი ფორმების მაგალითები უფრო იშვიათი – 30%. მხატვრულ ლიტერატურაში ფართოდ მიმართავენ წარსულ

განგრძობით დროით-ასპექტურ ფორმებს, როგორც ფონის, სურათის აღწერის საშუალებას – 60%. მხატვრულ ლიტერატურაში, ძირითადად დიალოგებში, ეხვდებით აწმყო განგრძობით დროს – 40%. საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში უფრო ხშირია აწმყო განგრძობითი ფორმები70%. აკადემიურ ნაწერში მცირე რაოდენობით გეხვდება განგრძობითი ასპექტური ფორმები, თუმცა ამ შემთხვევაშიც არის განსხვავება. აწმყო განგრძობითი ფორმების ხმარება უფრო ხშირია (80%) წარსულ ფორმებთან შედარებით (20%).

მომავალი დროის ფორმებში გეხვდება შემდეგი ასპექტური მახასიათებლები:

გზისობა, შედეგობითობა, განგრძობითობა.

მარტივი მომავალი დროის სემანტიკა სრული ასპექტისაა და კონკრეტულ, ზღვრულ მოქმედებას გამოხატავს.

მაგ.: *I **will leave** tomorrow.*

დროს წრფეზე ხდომილება და ათვლის წერტილი მომავალშია, ხოლო საუბრის დრო აწმყოში.



მარტივი მომაელის საპირისპიროდ, განგრძობითი მომაელის ფორმა უსრული ასპექტის გამომხატველია. მოსაუბრე გადმოსცემს პროცესს მომავლის კონკრეტულ მომენტში.

მაგ.: *The country **will be observing** a day of mourning with several memorial services and its citizens will stop for a five-minute silence.*

მომავალი განგრძობითი აგრეთვე გეხვდება თხოვნის, გამომხატველ წინადადებებში.

მაგ.: ***Will** you **be using** the printer today?*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეკითხვის დასმისას მომავალი განგრძობითი დროის ხმარებით ადრესანტი ხაზგასმულად თავაზიანია, მაშინ, როდესაც მარტივი დროის გამოყენება ადრესანტის მხრიდან ზეწოლაზე მიუთითებს.

*1. **Will you have** dinner with us tomorrow?*

*2. **Will you be having** dinner with us tomorrow?*

მოყვანილ მაგალითებში გვაქვს განგრძობით და არაგანგრძობით ასპექტურ ფორმათა კონტრასტი.

მომავალი განგრძობითის ფორმა ხშირად ჰაბიტუალური მნიშვნელობითაც გვხვდება. წინადადებაში – *I **will be visiting** my parents in London* ზმნა მრავალგზის, ჰაბიტუალურ ასპექტურ მნიშვნელობას აელენს. ამ შემთხვევაში რეფერენციალური დრო აწმყოსა და წარსულზე ვრცელდება.



მომავალი დროის კონტექსტში შედეგობითობა მომავალი სრული დროის ფორმით გადმოიცემა.

*მაგ.: The ceremony **will have been** conclueded by the time.*

მოცემულ მოქმედებაში ათვლის წერტილი პროსპექტულია, შედეგი მოქმედების ფოკუსშია.



მომავალი სრული დროით-ასპექტური ფორმა წარსული და აწმყო სრული დროით-ასპექტური ფორმების მსგავსად, რეფერენციულ დროს გულისხმობს ფოკუსში. მოსაუბრე მოქმედებას რეფერენციულ დროსთან კავშირში ხედავს, როგორც დასრულებულს და მოლიანს.

აგრეთვე ინტერესს იწვევს ე.წ. მომავალი წარსულში (future in the past). აღნიშნული ფუნქცია გამოხატავს სუბიექტის პროსპექტულ ხედვას წარსულში და ხშირად გვხვდება ზმნებთან think, hope, believe, wonder.

მაგ.:

'I didn't think <u>you would act</u> so hard about it.' said Elisabeth, making the intensity with which Lucetta was altering the question whether this or that would suit best.

It was finally decided by Miss Templeman that she <u>would be</u> the cherry coloured person at all hazards. The dress was pronounced to be a fit and Lutecca walked with it into the front room, Elisabeth following her.(T. Hardy. The Mayof of Casterbridge)

ასპექტური თვალსაზრისით მოყვანილი სტრუქტურები სრულია და შინაარსობრივად მარტივი მომავალი დროის იდენტურია. დროის ხაზზე აღნიშნული მოქმედება ათვლის წერტილს წარსულში გულისხმობს, თუმცა ხდომილება წინ უსწრებს მას.

E. R. S.

მაშასადამე, ინგლისურში ასპექტის კვლევისას უნდა აღინიშნოს დისკურსის გადამწყვეტი როლი. როგორც ვნახეთ, ცვალებადობამ კონტექსტში შესაძლებელია ასპექტური მნიშვნელობების ცვლილება გამოიწვიოს. მხოლოდ დისკურსის დონეზეა შესაძლებელი დროის ფორმების ფუნქციათა განსაზღვრა. ამასთანავე სხვადასხვა კონტექსტში იცვლება დროის ხაზზე ერთი და იგივე დროით-ასპექტური ფორმის ლოკალიზება; როგორც მაგალითად მარტივი აწმყოს შემთხვევაში – ერთი და იგივე ფორმამ განსხვავებულ

სიტუაციაში განსხვავებული მოქმედება გამოხატა. ამასთანავე იცვლება თვით მოქმედების ხასიათი, რომელიც არა მხოლოდ ზმნის სემანტიკის, არამედ კონტექსტისა და დისკურსის დონეზეც ვლინდება. კვლევამ დაგვანახა, რომ ერთი და იგივე ზმნამ სხვადასხვა კონტექსტში შესაძლებელია განსხვავებული სემანტიკა გამოხატოს. ზ. ვენდლერის ზმნათა კასიფიკაციის ანალიზისას ვნახეთ, რომ ერთი და იგივე ზმნა შესაძლებელია რამდენიმე კლასში გერთიანდეს, იმის მიხედვით თუ რა ლინგვისტურ გარემოცვაშია იგი.

როგორც აღვნიშნეთ, რაიჰენბახის ანალიზი მხოლოდ ერთ სქემას მოიცავს თითოეული დროით-ასპექტური ფორმისთვის. ანალიზმა ცხადყო, კონტექსტუალურმა ცვალებადობამ, შესაძლებელია ხდომილებისა და ათვლის მომენტის ლოკაციის ცვალებადობა გამოიწვიოს, რაც ასპექტური განსხვავების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. ამის თვალნათელი მაგალითია მარტივი აწმყო დრო, რომელიც თუმცა თავისი პირველადი მნიშვნელობით ათვლის წერტილს აწმყოში გულისხმობს, ნარატულ რეჟიმში მისი გამოყენებისას, ე.წ. ისტორიული აწმყოს შემთხვევაში, ხდომილებისა და ათვლის მომენტი წარსულშია. ამასთანავე წარსული განგრძობითი რაიჰენბახის სქემაზე ათვლის რეტროსპექტულ წერტილს გულისხმობს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ წარსული განგრძობითი თავაზიანობის მარკერად გვეელინება, ათვლის წერტილი მომავალშია. აწმყო განგრძობითის შემთხვევაშიც ათვლის წერტილი მომავალშია თუ იგი წარსულში დაგეგმილ, მომავალში განსახორციელებელ მოქმედებებზე მიუთითებს.

როგორც კვლევამ დაგვანახა, ყოველი დროით-ასპექტური ფორმა მისი სემანტიკიდან გამომდინარე, გამოხატავს გარკვეული სახის მოქმედებას. მაგალითად, მარტივი დროები – ერთგვარ

გრძლივობას, რთული დროები – რეზულტატურობას, განგრძობითი დროები – მოქმედების მიმდინარეობას, პროცესს.

საბოლოოდ, თანამედროვე ინგლისური დროით ასპექტური სემანტიკის ზოგადი სემანტიკური ანალიზი შემდეგნაირად გამოიხატება:

	მოსაუბრის ხედვა (ფსიქოლოგიური ლოკაცია)	მოქმედების/მდგომარეობის სახე
მარტივი	ათვლის წერტილი და ხდომილება თანხვედრია	მონოლითური მთლიანობა
განგრძობითი	ათვლის წერტილი ხდომილების საზღვრებშია …… ……	მოლეკულური, ჯაჭვური
მარტივი სრული	ათვლის წერტილი ძირითად ფოკუსშია	რეზულტატური, შედეგობრივი
სრული განგრძობითი	ათვლის წერტილი ძირითად ფოკუსშია	რეზულტატური ახლო წარსული

სქემა 1

ზმნის დროით-ასპექტური სემანტიკა ინგლისურში



თავი II

ასპექტის კატეგორიის სემანტიკური მახასიათებლები თანამედროვე ქართულში

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულში ასპექტი მკაფიოდ გამოკვეთილი გრამატიკული კატეგორიაა და იგი მჭიდრო კავშირშია ზმნის დროის კატეგორიასთან. ცნობილია, რომ ისტორიულად ასპექტის კატეგორია წინ უსწრებს დროის კატეგორიას. ენის განვითარების ადრინდელ ეტაპზე ზმნის უღლება არა დროებს, არამედ ასპექტებს განასხვავებდა. მხოლოდ შემდგომ ეტაპზე განვითარდა ასპექტის კატეგორია. ქართულში ასპექტი განაგრძობს დროის კატეგორიასთან თანაარსებობას. აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, ადრეულ ქართულ ასპექტოლოგიაში ასპექტის ორ ტიპს განასხვავებენ: **განგრძობითი** (დიურატიული) და **მომენტობრივი** (წერტილობრივი). განგრძობით ასპექტს გადმოსცემდა **პერმანსივი** (ხოლმეობითი) მომენტობრივ ასპექტს – **აორისტი** (ნამყო ძირითადი).

როგორც ცნობილია, ზმნისწინი თავდაპირველად მხოლოდ მიმართულების გამომხატველ ენობრივ ერთეულს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში კი მან ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილების როლიც მიიღო. დამატებითი ფუნქცია, რაც ზმნისწინმა მოიპოვა, ასპექტის გამოხატვის ფუნქციაა. კერძოდ სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქცია. ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ თავდაპირველად ზმნისწინს სრული ასპექტის წარმოების უნარი მხოლოდ გარკვეული ტიპის ზმნებთან უნდა ჰქონოდა, შემდგომში ზმნისწინის ფუნქციათა არეალი გაფართოვდა და ახლა მას ასპექტურობის განმასხვავებელი უნარიც შესწევს. ამრიგად, ძველ ქართულში ზმნისწინი არ წარმოადგენდა მოქმედების რაგვარობის გამომხატველ საშუალებას. ზმნისწინი არ გამოხატავდა სრულ ასპექტს, და არც მრავალგზისობას, როგორც ეს თანამედროვე ქართულშია.

ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში ასპექტის სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს.

ა. შანიძე გამოყოფს

სრულ და უსრულ ასპექტს.

ა. შანიძე ასპექტს წარმოქმნის კატეგორიად მიიჩნევს. იგი გზისობას და ასპექტს ცალკე კატეგორიებად გამოყოფს. მისი მოსაზრებით, განსხვავებული ასპექტური ფორმები განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეულებია. მაგალითად, ზმნები **ზის/იჯდა** მსგავსი ასპექტური და ლექსიკური სემანტიკის გამომხატველია, მაშინ, როდესაც მათი ასპექტური ოპოზიტი **'დაჯდა'** განსხვავებულ მოქმედებაზე მიუთითებს. სრული ასპექტის შემთხვევაში ფოკუსშია მოქმედების დასასრული, უსრულის მაგალითში – მოქმედების მიმდინარეობა. ა. ბონდარკო მიიჩნევს, რომ ასპექტურ წყვილთა ლექსიკური იგივეობა არ არის აუცილებელი. 'Лексическое тождество глаголов не распространяется на всю их семантику, оно не означает полного совпадения всех смысловых оттенков вариаций основного значения, которые возникают в результате лексико грамматического, а не грамматического процесса видообразования. Полного лексико семантического тождества глаголы видовых пар не имеют. '(Бондарко1979) მაშასადამე, აღნიშნული მოსაზრების თანახმად, მცირედი ლექსიკური განსხვავება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ასპექტური წყვილები სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებად მივიჩნიოთ.

გ. მაჭავარიანის ასპექტის კატეგორიის სამი ოპოზიცია შემოაქვს.

სრული უსრული

წყვეტილი-უწყვეტელი

ერთგზის-მრავალგზის

როგორც კლასიფიკაციიდან ჩანს, გ. მაჭავარიანი გზისობას ასპექტის კატეგორიაში აერთიანებს.

ქართულშიც ისევე როგორც ინგლისურში შემდეგი ასპექტური კლასიფიკაცია შევიმუშავეთ:

პერფექტული (სრული) იმპერფექტული (უსრული) ნულოვანი

ნულოვანი ასპექტი აღნიშნულ კლასიფიკაციაში ე.წ. უსაპექტო ზმნებს აერთიანებს.

ასპექტურ ნიშნად განიხილავენ აგრეთვე **წყვეტილობას** და აღნიშნულ მახასიათებელს ასპექტური წყვილების გავრცელებულ დაყოფას – **განგრძობითი/არაგანგრძობითი,** უკავშირებენ. ასპექტური წყვილების განგრძობით და არაგანგრძობით ფორმებად გამოყოფა ევროპულ ასპექტოლოგიაში გვხვდება.

ა. არაბული ასპექტის კატეგორიაში მხოლოდ სრული-უსრულის ოპოზიციას განიხილავს. მისი მოსაზრებით, კატეგორიაში მხოლოდ ერთი მნიშვნელობის მიხედვით დაპირისპირებული ფორმები ერთიანდება. აქედან გამომდინარე, იგი ***გზისობას*** და ***წყვეტილობას*** ცალკე კატეგორიებად მიიჩნევს. ამასთანავე, ასპექტის კატეგორია სრულობა-უსრულობის გამომხატველ მწკრივთა პარადიგმაში მეტ-ნაკლებად უცვლელ კატეგორიას წარმოადგენს, ხოლო გზისობა ასპექტის კატეგორიისგან განსხვავებით, ცვალებადი კატეგორიაა. ა. არაბული ასპექტის კატეგორიაში აერთიანებს შედეგობითობას. გ. გოგოლაშვილი შედეგბითობას ცალკე კატეგორიად გამოყოფს.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულში ყოველ მწკრივს თავისი დამახასიათებელი ასპექტური სემანტიკა აქვს. ზმნის ფორმა გვიჩვენებს არა მხოლოდ დროს, მოქმედების მიმართებას საუბრის მომენტთან, არამედ მოქმედების სახესაც; დასრულებულია მოქმედება, თუ დაუსრულებელი, მრავალგზისი, ერთგზისი თუ რეგულარულად მიმდინარე. ამრიგად, ქართულში ასპექტი ახასიათებს ზმნას მოცემულ მწრივში და იგი ზმნის ფუძეში ფორმალურ-გრამატიკულად გამოხატული კატეგორიაა. საინტერესოა თუ როგორ შეიძლება ქართული დროით-ასპექტური ფორმების ჰ. რაიხენბახის სქემაზე გამოხატვა, განსაზღვრა თუ რა მიმართებაშია ქართულში არსებული დროით-ასპექტური ფორმები მეტყველების, ხდომილებისა და ათვლის წერტილთან, რა თვისებები განსაზღვრავენ მოქმედების ხასიათს, რა

ფაქტორები განაპირობებენ მოსაუბრის არჩევანს იხმაროს ზმნა ამა თუ იმ დროით-ასპექტურ ფორმაში.

ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოიყოფა აწმყოს მწკრივის შემდეგი ფუნქციები:

1. ე.წ. მუდმივი ბუნებრივი მოვლენების გამომხატველი აწმყო.

(იგივე ფუნქცის მქონეა, რაც ინგლისური 'unrestrictive'). მოქმედება არ განისაზღვრება კონკრეტული მომენტით. იგი თავისი სემანტიკით ატემპორალურია და უსრული ასპექტის გამომხატველი. დროის ხაზზე ზემოაღნიშნული მოქმედების ლოკალიზება აწმყოსა და მომავალზე გარკვეულ მთლიანობას ქმნის, რომელსაც კონკრეტული ხდომილების წერტილი არ გააჩნია. მაგ.:

- *სათაფლიას მღვიმე **მდებარეობს** ქუთაისის ჩრდილო დასავლეთით ექვსი კილომეტრით დაშორებულ სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე, რომელსაც 500 ჰექტარი უკავია.*
- *ხელოვნება **ეკუთვნის** ხალხს.*

აღნიშნული ფუნქცია დამახასიათებელია როგორც ქართული, ასევე ინგლისური და რუსული ენებისათვის. სამივე ენაში მოყვანილი ასპექტური ფუნქცია მსგავს ლექსიკურ არეალს მოიცავს.

- *Искусство **принадлежит** народу.*
- *Art **belongs** to people.*

ჰ. რაიჰენბახის სქემაზე აწმყოს ზემომოყვანილი ფუნქცია შემდეგნაირად გამოისახება: საუბრის მომენტი აწმყოშია და ათვლის წერტილსაც აწმყო დროში გულისხმობს. ვინაიდან ხდომილება არაზღვრულია, იგი დრიოს მთელ მონაკვეთს მოიცავს. აქედან გამომდინარე, ასპექტი ნულოვანია.



აწმყოს მწკრივი აგრეთვე გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წარსულის გარკვეულ მონაკვეთში დაიწყო, არ დამთავრებულა და შესაძლებელია მომავალშიც გაგრძელდეს. აწმყოს ეს ფუნქცია იგივე მნიშვნელობისაა, რაც ინგლისური აწმყო მარტივი სრული ან აწმყო სრული განგრძობითი.

მაგ.:

- *საქართველოში მეაბრეშუმეობა უხსოვარი დროიდან **არსებობს.***
- *ნახევარი საუკუნეა რაც იგი **უზის** მაგიდას, მშობლიური ისტორიის გაცოცხლებაზე ფიქრობს.*

ზემომოყვანილ მაგალითებში ზმნები: ***არსებობს, უზის, ფიქრობს*** უსრული ასპექტისაა. მოქმედება წარსულში დაწყებულ დაუსრულებელ გრძლიობას გამოხატავს. აღსანიშნავია აგრეთვე კონტექსტის მნიშვნელობა ქართული ზმნის ასპექტური ფუნქციის დადგენისთვის. ზემომოყვანილმა ზმნებმა განსხვავებულ კონტექსტში შესაძლებელია განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა მიიღონ.

მაგ.:

*მარინე წიგნებს **უზის*** (ახლანდელი დრო, მოქმედება ემთხვევა საუბრის დროს – უსრული ასპექტი)

თუმცა ზმნიზედის დამატებით მოქმედებამ მრავალგ'ზის, განმეორებითი მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს: "მარინე ხშირად უზის წიგნებს"

ზმნები ქვემომოყვანილ მაგალითებში მრავალგზის მოქმედებებს გამოხატავენ, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრავალგზის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში დროის გარემოებით მიიღწევა.

მაგ.:

- *ყოველ დილით მზის ამოსვლამდე ბარებით ხელში აქ თაეს **იყრიან** მიწის მუშები, **ურიგდებიან** და **მიჰყავთ** სამუშაოდ. (გ. როგაქიძე.)*

- *ყოველწლიურად ჩვენს სკოლას 70-80 ახალგაზრდა **ამთავრებს**.*

მრავალგზისობის გამომხატველი ზმნები ათვლის წერილს და საუბრის დროს ასე უკავშირდებიან:



როგორც ვხედავთ, ათვლის წერილი და ხდომილება ამ შემთხვევაში აწმყოშია, ვინაიდან დრო, რომელზეც მუეუთითებთ აწმყოშია.

მრავალგზის მოქმედების გამომხატველი აღწერილობითი ფორმები გვხვდება ჩვეულებითი ფაქტების აღწერისას, საყოველთაოდ ცნობილი და მიმდინარე მოვლენების დახასიათებისას. მაგ.:

- *დაელექტროებული სხეულები ერთმანეთზე **ზემოქმედებენ:** ან **მიიზიდებიან**, ან **განიზიდებიან**...*
- *თქვენ უკვე იცით, რომ ჰაერი გათბობით **ფართოვდება** და გაციებისას **იკუმშება**...*
- *კოსმოსური ორბიტალური სადგურები დედამიწის ირგვლივ **მოძრაობენ**...*

რადგანაც მთვარე დედამიწის ირგვლივ ბრუნავს, მზის სხივებით მისი მხოლოდ ნაწილია განათებული. (ბუნება. V-VII კლ).

პერმანსიეი ანუ ხოლმეობითი ხშირად გვხვდება აწმყოსა და ნამყოში. აღსანიშნავია, რომ ქართულში, ისევე როგორც რუსულსა და ინგლისურში, მომაელის ფორმებს ხოლმეობითის გამოხატვის უნარი შესწევთ.

როგორც ცნობილია, ხოლმეობითის გამოხატვა გენეტიკურად დაკავშირებულია ასპექტის წარმოებასა და მნიშვნელობასთან.

აწმყოს ძირითადი ფუნქციაა გამოხატოს განგრძობითი, ხასობრიეი, დურატიული მოქმედება. ამ ფუნქციასთან მჭიდრო

კავშირშია მეორე · ფუნქცია, განმეორებითი იმის მიხედვით დინამიკურია თუ არა ზმნა, შეუძლია მას განმეორებითის მნიშვნელობა გამოხატოს. ა. შანიძე მიიჩნევს, რომ "ნამყო მრავალგზის, განსაზღვრული დრო არ არის: იგი გამოხატავს მოქმედებას არა რომელსამე დროში განსაზღვრულს (ნამყოსა, აწმყოსა თუ მყოფადში), არამედ ისეთს, რომელიც ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად დამახასიათებელია მოქმედი პირისათვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალგზის აწმყოს ფორმები ქართული 'სმნის უძველესი ფორმაციის დროისა უნდა იყოს'

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ერთმანეთს უპირისპირდებოდა წყვეტილის ფორმა, რომელიც ე- სუფუქსიან ფორმას წარმოადგენდა და განგრძობითი ფორმა, რომელიც ი- სუფიქსიან ფორმას წარმოადგენდა. ეს ორი ნაკვეთი გამოხატავდა არა მხოლოდ მოქმედების მიმდინარეობას გარკვეულ დროში, არამედ საუბრის მომენტთან მოქმედების გრამატიკულ მიმართებასაც. სწორედ აღნიშნული ორი ასპექტური მნიშვნელობა (წყვეტილობა და პერმანსიეი/ხოლმეობითი) გამოხატავდა დროის მომდინარეობასა და მოქმედების გრამატიკულ კავშირს საუბრის მომენტთან. მოგვიანებით ასპექტური უღელილება დროთა ცელაში შეცვალა განვითარებულმა დროის კატეგორიამ.

ძველ ქართულში ერთგზისა და მრავალგზის ასპექტური დაპირისპირება გვხვდება სინთეზურად, ანუ თვით ზმნის ფორმაში გამოიხატული. ახალ ქართულში კი ანალიზურად, 'ხოლმე' ნაწილაკის საშუალებით.

მაგ.: *წერნ – წერენ ხოლმე (აწმყო მრავალგზის).*

წერედ – წერდნენ ხოლმე. (ნამყო მრავალგზის)

თანდათანობით გადავარდა უწყვეტელისა და წყვეტილის ხოლმეობითი ფორმები და მათი ადგილი დაიკავა ფორმამ: წყვეტილი + ხოლმე=ხოლმეობითი.

მაგ.: *წერდა ხოლმე.* (უწყვეტელი ერთგზის + ხოლმე). ამრიგად, თანამედროვე ქართულში გვაქვს ახალი აღწერილობითი, ანალიზური ფორმა ხოლმეობითის გამოსახატავად. ხოლმეობითის წარმოების ამგვარი საშუალება იმდენად მოქნილი აღმოჩნდა, რომ ანალიზურად ხოლმეობითის გამოხატვა შესაძლებელი გახდა თითქმის ყველა ნაკვეთში 'ხოლმეს' საშუალებით.' 'ხოლმეს' დართვით სრულ ასპექტიან ფორმასაც შესაძლებელია ხოლმეობითის მნიშვნელობა მიეცეს.

ასპექტის წარმოების თვალსაზრისით მსგავსი სურათია რუსულშიც. როგორც ცნობილია, ზოგიერთი ფუძისგან უსრული ასპექტური ფორმა არ იწარმოება, ამიტომ გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებას აღწერა წარმოადგენს. დროის ფორმებს ემატება ნაწილაკი бывало და აძლევს გამონათქვამს მრავალგზის, ჩვეულებით მნიშვნელობას.

მაგ.: *В молодости бывало он охотился на волков.*

"ხოლმე" ნაწილაკი აგრეთვე ხშირად გვხვდება სტატიკურ ზმნებთან როგორც აწმყოში, ასევე წარსულში. მაგ.:

ზაზა <u>გრძნობდა ხოლმე</u> რომ ხასიათის მიდრეკილებას უმოწმებდა, 'ნათელ ზრახვებს' უყნოსავდა მცდელი ეჭვირი. ისიც ფერადოვნად ახვევდა და აცხრაფეხებდა სიტყვას. (ლ. გოთუა)

"ხოლმე" ნაწილაკის გამოყენება უფრო დიდი სიხშირით დინამიკურ ზმნებში გვხვდება. მათ ხოლმეობითის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალება ადრე დაკარგეს. მაგ.:

<u>წავიდოდნენ ხოლმე</u> სირაჯები და სამჩაფიანი ღვინო 'ჭაშნიკად' მიჰქონდათ და ამოსაღებად რომ მიდიოდნენ, ერთი ჩეთვერი ჩაი და ერთი პატარა შაქარი 'ფეშქაშად' <u>მოჰქონდათ ხოლმე. უყურებდნენ ხოლმე</u> ღვინის ამოწყვას და მერე კარგად მოილხენდნენ. (რ. ერისთავი)

ფუნქციურად *"ხოლმეს"* მნიშვნელობა მწკრივებში ერთმანეთისგან არ განსხვავდება – ყველა შემთხვევაში ხოლმეობით ან **ჩვეულებით** მოქმედებას აღნიშნავს.

აღსანიშნავია, რომ "ხოლმე" ნაწილაკის მსგავსი მნიშვნელობის მქონეა ზმნები, რომლებიც თავიანთი სემანტიკით მრავალგზის მნიშვნელობის გამომხატველი არიან.

მაგ.:

ვარლამი დიდ ზომიერებას <u>იჩენდა</u> პირად ცხოვრებაში და ხასიათის ამ თვისებას, რაც ბევრი სხვა მწერლისათვის უცხო ხილი იყო, საზოგადოებას ჯეროვნად <u>აფასებდა</u>. (რ. ჯაფარიძე).

"ხოლმე" ნაწილაკი ამ შემთხვევაში აღნიშნული ფორმების პირობით კილოსთან აღრევის თავიდან ასაცილებლადაც შეიძლება გამოვიყენოთ. თუმცა, განსხვავებას პირობით წინადადებასა და ხოლმეობითს შორის წინადადების აგებულება გვიჩვენებს.

მაგ.:

თუ ამ წინადადების პირველ ნაწილში ვინმე ოდესმე ეჭვს <u>შეიტანდა</u>, მეორე ნაწილი უჭოჭმანო სიმართლე იყო. (რ. ჯაფარიძე)

მოყვანილი წინადადება პირობითია და კონტექსტის საშუალებით ვადგენთ თუ რომელ მწკრივს მიეკუთვნება მოყვანილი ზმნა და რა ასპექტური ხასიათი აქვს მას.

ნამყო უწყვეტელი ხშირად გვხვდება ხოლმეობითი ზმნისწინით. აღსანიშნავია, რომ ზმნისწინი ამ შემთხვევაში არ ანიჭებს ზმნას სრული ასპექტის ფუნქციას და მხოლოდ მიმართულების გამომხატველია.

მაგ.:

ზამთარში <u>მოინადირებდა ხოლმე</u> და ერთად შეექცეოდნენ ნადავლს

(დ. კლდიაშვილი)

'ხოლმე' ნაწილაკით გამოხატული მრავალგზის მოქმედება დროის ხაზზე შემდეგნაირად გამოიხატება.



როგორც სქემიდან ჩანს, მოქმედების ათვლის წერტილი და ხდომილება წარსულშია, საუბრის მომენტი აწმყოში, ასპექტი უსრული.

თუმცა შესაძლებელია განმეორებითი მოქმედება დროის გარემოების გარეშეც გამოიხატოს. მაგ.:

- <u>ავიდოდა-ჩავიდოდა</u>, აბუმბული რქიანიო,
  <u>აჰყვებოდა, ჩაჰყვებოდა</u> ძველი ბუსუსიანიო.
  (ნართი და თითის ტარი)
- დღე <u>ქრება,</u> ღამე <u>ინთება.</u>
  (ლამფა)
- <u>მიდის-მოდის,</u> იქვე რჩება
  (კარი)

3. აწმყოს მწკრივში ზმნა მომავლის მნიშვნელობითაც შეიძლება შეგვხვდეს. მაგ:

- *მომიტანე საჭმელი და <u>ვჭამ.</u>*
- *დილით სანადიროდ <u>მივდივარ.</u>*

მოყვანილ მაგალითებში აწმყოს მწკრივის ფორმით გამოხატული ერთგ'სის მოქმედებები გვაქვს. ასპექტური თვალსაზრისით აღნიშნული ფუნქცია სრული ასპექტისაა. მოქმედება ნაჩვენებია როგორც ერთგვარი მთლიანობა. მოსაუბრე მოქმედების შედეგზე აკეთებს აქცენტს.

ზემომოყვანილი ფუნქცია ათვლის პროსპექტულ წერტილს გულისხმობს, ხდომლება მომავალშია.



4. აწმყოს მწკრივში ზმნა შესაბამის კონტექსტში დურატიულ მნიშვნელობასაც გამოხატავს. მისი ეკვივალენტია ინგლისური აწმყო განგრძობითი (present continuous).

მაგ.:

გუგუნებს *ალი მხიარულ ბუხრის,*

მაფიქრებს *ალი და* ***ვწვავ*** *წერილებს,*

კიდევ ***ედება*** *გედები მწუხრის გედებს ცეცხლისკენ*

გადაღერილებს.

სხვა მხარეები უხსოვარ ხნიდან

მაწვალებს, მათრობს *და* ***მეფერება.***

(გ.ტაბიძე)

დურატიული ზმნა მოყვანილ მაგალითში უსრული ასპექტის გამომხატველია. მოსაუბრე მოქმედების შინაგან მიმდინარეობაზე აკეთებს აქცენტს, ხოლო შედეგი ნაკლებ მნიშვნელოვანია.

დროის ხაზზე გვაქვს საუბრის დროის, ხდომილებისა და ათვლის წერტილის თანხვედრა.



აწმყოს მწკრივი აგრეთვე გამოიყენება თხრობისას, ნარატივში. ნარატიულ რეჟიმში, დიალოგურისგან განსხვავებით, დროით ასპექტური ფორმა განისაზღვრება არა მეტყველების მომენტთან, არამედ ტექსტის დროის მომენტთან მიმართებაში. ნარატიული აწმყოს მაგალითები უხვად მოიპოვება ქართულ პროზაში.

მაგ.:

აგად ვიყავი და ერთ დღეს მოვკედი კიდეც, მოვკედი და ჩემი სული ზეცაშია. ***მივდივარ*** *თვალუწვდენელი მინდვრით. მინდორია ისეთი,*

*რომ აბრეშუმივით ბალახი მუხლებამდეა. **ისმის** ყოველმხრიდან ტკბილი გალობა, ყოველი ფეხის გადადგმაზე სუფრა, სუფრა, ზედ **აწყვია** რა **გინდა** სულო და გულო. (დ. კლდიაშვილი.)*

ნარატული აწმყოს მაგალითები ხშირია აგრეთვე ქართულ ხალხურ ზღაპრებში:

- ***მოდის** მონადირე, **მოაქვს** ყუთი, იფიქრა – იქნებ იმათ მომატყუილეს და ცარიელი ყუთი მომცესო. ვნახავ რა არის შიგაო. იქნება ისეთი რამე ძევს, მომკლასო. გახსნა. ამოვიდა და ამოვიდა დუქან-ბაზარი და სასახლეები. გაიჭიმა უზარმაზარი ქალაქი, გაჩაღდა ეაჭრობა. **გარბიან** და **გამორბიან** ეაჭრები. ერთი ხუმრობა და ამბებია. მონადირე დგას და **შესცქერის**. უნდა დაკეტოს, მაგრამ ვერა **კეტავს**. **იცემს** გულში ხელს, **იბრდღვნის** თმას. ამ დროს **ჩამოიგლიტს** ერთი დეეი... ('ზღაპარი უხეიროსი').*

- *მეორე დილით ვაჟი **ხედავს**, რომ მამა დანას **ლესავს** და ჰკითხა. (ხალხური ზღაპრები)*

მოვლენების სწრაფი ცვალებადობა და დროის ეკონომიის პრინციპი განაპირობებს აწმყოს ხმარებას ტელევიზიით გადმოცემულ სპორტულ რეპორტაჟებში.

მაგ.:

*თამაშის 86-ე წუთია და "ლიეერპული" მოწინააღმდეგეს 2-1 **უგებს**, მაგრამ ეს ჯგუფიდან გასასვლელად საკმარისი არ **არის**. ბურთი მარცხენა ფრთიდან მაღალი ტრაექტორიით საჯარიმოს მისადგომებთან **ეშვება**, საიდანაც მერსისაიდული გუნდის ფეხბურთელი მას კარიდან დაახლოებით 25 მეტრის მანძილზე **აბრუნებს**, "ლიეერპულის" დიდი კაპიტანი სტივ ჯერარდი კი წარმოუდგენელი დარტყმით კარის დაბალ კუთხეში **ათავსებს** და "ენფილდი" "**ფეთქდება**". (www.civi.ge)*

პროზაში გამოყენებული ნარატული აწმყო ხდომილებასა და თვლის წერტილს წარსულში გულისხმობს, ხოლო საუბრის დრო აქ ნაწარმოების ან მეთვალყურის დროა. მიუხედავად იმისა, რომ

მოყვანილ მაგალითში ზმნა აწმყოშია, იგი მაინც სრულ ასპექტს გამოხატავს, ვინაიდან თხრობისას წარსულში მომხდარი ფაქტების კონსტატაცია ხდება.



(მთხრობელის დრო)

ტელერეპორტაჟების შემთხვევაში კომენტატორი მის თვალწინ მიმდინარე მოვლენებს აღწერს. საუბრის მომენტი აწმყოშია, ხდომილების მომენტი და ათვლის წერტილი – წარსულში.



აწმყოს ფორმა ხშირად გამოიყენება საგაზეთო სტატიების სათაურებში.

მაგალითად.: (სტატიის სათაური) ღვინის ფალსიფიკაციის შემოწმების ახალი მეთოდი ***ინერგება*** *(ნაწყვეტი სტატიიდან) 2005 წლის იანვრიდან ღვინის ფალსიფიკაციის შემოწმების ახალი მეთოდი* ***დაინერგა.*** *ამის შესახებ დღეს სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა სასტუმრო "თბილისი მარიოტში" ღვინის მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე* ***განაცხადა.***

მოყვანილ მაგალითში აწმყოს მწკრივის ფორმა ემფატურობას ჰმატებს სათაურს და უფრო შთამბეჭდავს ხდის მას. სემანტიკურად აწმყო დროის ფორმა ამ შემთხვევაში წარსულის სინონიმურია, თუმცა პრაგმატიკული თვალსაზრისით, განსხვავებული დატვირთვა აქვს.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა კონტექსტში აწმყოს მწკრივის ფორმას სხვადასხვა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს, ანუ ერთი და იგივე

ზმნამ შესაძლებელია გამოხატოს როგორც კონკრეტული, განგრძობითი მოქმედება, ასევე მრავალგზის ან შეუზღუდავი.

1. წარსულ ფორმათა შორის აღსანიშნავია ნამყო უწყვეტელი, რომელიც წარსულში მომხდარ მოქმედებებზე მიუთითებს.

ა) წარსულში მრავალგზის მოქმედებაზე

მაგ.:

- *აქ მათ* ***ხვდებოდა*** *მასპინძელი, რომელმაც მათი აყოლა* ***იცოდა,*** *რომელთანაც თავისუფლად, უდარდელად* ***მასხარაობდნენ, ოხუნჯობდნენ, ენამახვილობდნენ*** *და სიამოვნებით* ***ატარებდნენ*** *დროს ამ ენამახვილიან და ხალისიან მოხუცებულთან. (დ. კლდიაშვილი)*

- *ქუთაისში 1859 წლიდან* ***იმართებოდა*** *სცენის მოყვარულთა წარმოდგენები.*

ზმნები "ოხუნჯობდნენ" "ენამახვილობდნენ" "მასხარაობდნენ" – უსრულ ასპექტს გამოხატავენ. დროის ხაზზე მათ მიერ გადმოცემული მოქმედება ათვლის წერტილსა და ხდომილების მომენტს წარსულში გულისხმობენ.

2) განგრძობითი მნიშვნელობის მოქმედება წარსულში.

მაგ.:

- ***მოჰქონდათ*** *წინათ პასტორალები,*

ბალთა მნათობით გადამთოვრება,

როგორ ***ოხრავდნენ*** *მათზე ქალები, რა მშვიდი იყო მათი ცხოვრება.*

დრო იყო: ომის აუსახველი.

დღეებს იმედი ესაკიდება,

რა მძლავრად ***ქუხდა*** *მათი სახელი,*

რა დიდი იყო მათი დიდება. (წიწამურში რომ მოჰკლეს ილია. გ. ტაბიძე)

- პეტრია მოწიწებით ითხოვდა იმედს სიხარულისა, რათა მას მიეღო მსხვერპლად მისი შემუსვრილი სული. (ე. ნინოშვილი)
- ახლა იგი **უამბობდა** სათინოს თავის სათქმელს. წერილად **უთხრობდა** თავისი დაღუპული ძმის ვაჟკაცობასა და სიყვარულზე. ხელით **ანიშნებდა**. ხელშეძრულადვე **ეხებოდა** ჭრაქის შუქზე მბზინავ ხმალ-ხანჯალს... ჭირისუფლის გულშეძრულ გუმანით **ხვდებოდა** სათინო ყველაფერს. (ლევან გოთუა. გმირთა ვარამი).

დროის ხაზზე ზემომოყვანილი მოქმედება ასე გამოიხატება:



როგორც სქემიდან ჩანს, მოქმედება ათვლის წერტილს გულისხმობს გრძლივი ხდომილების ფარგლებში, საუბრის მომენტს აწმყოში. ზმნა გამოხატავს რა წარსულში გრძლივ, დაუსრულებელ მოქმედებას, ასპექტი უსრულია.

აწმყოს კავშირებითი მომავალ ან ახლანდელ დროზე მიუთითებს. ზმნა აწმყოს კავშირებითში უსრულ ასპექტს გამოხატავს.

მაგ.:

- ***ნეტავი*** *ფაფა* ***მაჭამა*** *და ქვაბი არ* ***გამარეცხინა.*** *(ანდაზა)*
- ***ნეტავი*** *ჩვენ თხას ტყუპი* ***მოეგოსო.*** *(ანდაზა)*

აღნიშნულ მაგალითში ზმნა ათვლის წერტილს მომავალში გულისხმობს.

მყოფადის მწკრივის დრო მომავალია. ზმნა მყოფადის მწკრივში უსრულია. მყოფადის წრეში ზმნა გამოხატავს მოქმედებას, როგორც ერთგვარ მთლიანობას, რომელსაც გააჩნია დასაწყისი, შუაგული და დასასრული. მყოფადის მწკრივში სრული ასპექტის გამომხატველი ფორმალური მარკერი ზმნისწინია.

მაგ.:

- *მე დავიწყებ ყველა სიკვდილს: პირველს, მეორეს*
უკანასკნელი არ მოსულა ეროსის შხამი,
გზა მიჰყვებოდა მიმოფანტეას უმეტეორესს,
რომ თან წაელო საუკუნის მრავალი წამი. (ქალის ქანდაკება, გ. ტაბიძე)

- *ამ დღეს თბილისიდან მოსული მატარებელი გააქანებს*
ფოთისკენ სხვათა შორის ირემია წარბას დამ ის ორ ამხანაგს. ისინი ჩასხდებიან მესამე კლასის ეაგონში, რომელიც სულ უკან არის მოქცეული. იქ მგზავრები ცოტანი არიან. (გ წერეთელი)

ზმნები ზემომოყვანილ მაგალითში ხდომილებისა და ათვლის წერტილს მომავალში გულისხმობენ.



მყოფადის ასპექტური ფორმები აგრეთვე გეხვდება წარსულში მომხდარი მოვლენების გადმოსაცემად. ისტორიული აწმყოს მსგავსად, აღნიშნული ფუნქცია ხშირია ნარატულ რეჟიმში. ზღაპრებსა და მოთხრობებში. მაგ.:

ამ დროს დევებთან დატოვებული ბურთი სისხლის წვეთას დაიწყებს. 'უხეიროს უჭირსო' –თქვეს დევებმა. მაშინვე წავიდნენ უხეიროს საძებნელად, მოსდევენ მის ნავალზე გაშლილ ვარდს და მოვლენ ამ კოშკთან. გადავლენ და ნახავენ. რომ მკვდარი უხეირო ყელთაქვე ჩაკიდებულია ქვევრში. შემოიკრეს თავ-პირში, მაგრამ ტირილით რას არგებდნენ? ბოლოს თქვეს: უნდა შევიტყოთ, ის თმები სად არის, ვის ხელშიაო.... ('ზღაპარი უხეიროსი')

დროის ხაზზე აღნიშნული მოქმედება ათვლის წერტილს წარსულში გულისხმობს საუბრის დროს აწმყოში, ხდომილება წარსულშია, ასპექტი სრული.



პირველი ხოლმეობითი გამოხატავს მრავალგზისობას წარსულში, თუმცა მრავალგზისობა აღნიშნულ მწკრივს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ კილო თხრობითია და საუბარია ჰაბიტუალურ მოქმედებაზე.

- *დილით გაეიღვიძებდი თუ არა, <u>აფდგებოდი</u>, პირს <u>დაგიბანდი</u>, საჩქაროდ <u>ჩაგიცვამდი</u>. (დ. კლდიაშვილი)*
- *ცა <u>ფდრიკე</u> და ეარსკვლავი <u>გკრიფე</u>.*

- *ჩემ პატარა საყდარს <u>ვუარე, ვუარე</u>, კარი ვერსად ვუპოვნე.*

პირველი ხოლმეობითი გამოხატავს რა წარსულში მრავალგზის მოქმედებას, გულისხმობს ათვლის რეტროსპექტულ წერტილს, ხდომილება დროის ხაზზე რამდენიმე ადგილზეა ლოკალიზებული, ასპექტი უსრულია.



პირველი ხოლემობითი გადმოსცემს არა მხოლოდ მრავალგზისობას, არამედ ერთგზის შედეგობრივ მოქმედებას.
მაგ.:

- *რომ მცოდნოდა, ადრე <u>გავიგვიძებდი</u>.*

პირველი ხოლმეობითის ეს ფუნქცია მიუთითებს მეტყველების დროზე აწმყოში, ხოლო ათვლის წერტილზე – წარსულში. ვინაიდან ზემომოყვანილი წინადადება ჰიპოთეტურია, ანუ მოსაუბრის მიერ წარმოდგენილ არარსებულ სიტუაციას გამოხატავს, ხდომილების მომენტის განსაზღვრა დროის ხაზზე შეუძლებელია.



მყოფადის კავშირებითი სრული ასპექტის გამომხატველია.

მაგ. :

*ღმერთს ყვარებიხარ, შვილო, სწორედ ყვარებიხარ და შენთვის კაი ნდომებია, ამისთანა კეთილები რომ შეგაძინა!.. <u>ნეტავი</u> დედას იმისთანა შვილი <u>**ყავდეს**</u> ვინმე მაგის მსგავსი. (დ.კლდიაშვილი)*

ვფიქრობთ დროის ხაზზე ათელის წერილი მომავალშია, საუბრის დრო კი აწმყოში. ზემომყვანილი მაგალითების კილო კავშირებითია და მოსაუბრის მოქმედებისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს. პირველი ხოლმეობითის შედეგობრივი ფუნქციისგან განსხვავებით, აქ მოქმედება მომავლისკენაა მიმართული და მისი განხორციელების ალბათობა არსებობს. ამიტომ დროის ხაზზე ხდომილება მომავალშია.



ნამყო წყვეტილი მიუთითებს მოქმედებაზე წარსულში. ა. შანიძის აზრით, "ეს მწკრივი ცენტრალურია წარსულ დროიან მწკრივებს შორის. მასთან ხდება სხვადასხვა სახის შეპირისპირება თითქმის ყველა მწკრივისა, რომლებიც წარსულის ელემენტებთან ერთად თხრობით კილოს შეიცავენ: მრავალგ'ისთან ერთგ'ისა (წავიდეს/წავიდა), უნახავთან ნახული (წასულა/წავიდა), უწინარესთან შემდგომი, უსრულ სახესთან სრულის (ააშენებდა/ააშენა)".

წყვეტილი მოქმედების გზისობას გადმოგვცემს. მაგ.:

- *აპოლონიუს როდოსელი <u>**დაიბადა**</u> და <u>**აღიზარდა**</u> ალექსანდრიაში.*

- *მზემ წამოიწია. გაისმა წაბლისერში ზარის ხმა. (დ. კლდიაშვილი)*
- *პლატონი გაშრა. (დ. კლდიაშვილი)*
- *ანუსიამ ღრმად ამოისუნთქა და სიმწრის ნიშნად გააქნია თავი. (დ. კლდიაშვილი)*

აღნიშნულ მაგალითებში ზმნით გადმოცემული მოქმედება ერთჯერადია, რაც დროის ხაზზე ხდომილების კონკრეტულ მონაკვეთს გულისხმობს წარსულში. ათვლის წერტილი რეტროსპექტულია, ხოლო საუბრის მომენტი აწმყოშია.

მეორე სერიის მეორე მწკრივია – ბრძანებითი. ინგლისურისგან განსხვავებით, სადაც ბრძანებით კილოში ზმნა უასპექტოა, ქართულში სრული და უსრული ასპექტური ოპოზიცია გვაქვს.

მაგ.: *წერე! / დაწერე!*

აშენე! / ააშენე!

ე. პადუჩევა გამოყოფს მნიშვნელობებს, რომლებიც საერთო აქვთ ბრძანებით და თხრობით კილოს:

1) **აქტუალური განგრძობითი**

მაგ.:

ილაპარაკეთ, გისმენთ

აქტუალური განგრძობითი მნიშვნელობა იმპერატივში შესაბამის კონტექსს მოითხოვს.

2) **მრავალგზის**

დილაობით გაალე ფანჯარა!

პირველ შემთხვევაში ზმნა უსრული ასპექტისაა, რადგან იგი დაუსრულებელ პროცესს გამოხატავს. მეორე მნიშვნელობა სრულ

ასპექტს გულისხმობს, რადგან მომავალში მრავალგზის მოქმედებაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია ბრძანებითი კილოსათვის დამახასიათებელი სამი კომპონენტი:

კომპონენტი I – ყურადღება საწყის ფაზაზეა გამახვილებული: *'ბრძანეთ! 'გისმენთ!'* (დაიწყეთ საუბარი).

კომპონენტი II: *ბრძანეთ! ბრძანეთ*! ბრძანება ამ შემთხვევაში სწრაფ რეაგირებას მოითხოვს.

კომპონენტი III – მოქმედება სიტუაციითაა განპირობებული: *'აარჩიეთ!'* (მაღაზიის გამყიდველი ამბობს). *'დალიეთ ჩაი!'* - სრული ასპექტი. *'დაჯექი, დაწერე!'* – უსრული.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თანხმობის, თხოვნის შემთხვევაში მოსაუბრე სრული ასპექტის ფორმას ხმარობს –

"შეიძლება წავიდე?'

ამასთანავე სრული ასპექტის ფორმა იხმარება მოთხოვნის, ბრძანების შემთხვევაშიც, რაც ფსიქოლოგიური ფაქტორითაა განპირობებული. ქვემომოყვანილ მაგალითში უსრული ასპექტის ფორმა წარმოადგენს ერთგვარ ბიძგს სიტუაციით მოტივირებული მოქმედების შესრულებისა, ხოლო ბრძანების შემთხვევაში, ამგვარი მოტივაცია მოსაუბრის სოციალური პრიორიტეტია.

მაგ.:

1. *წაართვი იარაღი!* (ბრძანება)

2. *დალიე!* (მოთხოვნა, თუმცა შესაძლებელია ბრძანებისა და მოთხოვნის წინადადებებში უსრული ასპექტიც, რაც წინადადებას ნაკლებოფიციალურ სახეს ანიჭებს. (*წერე!*.

მეორე კავშირებითის პირველი პირის მხოლობითის ფორმა ხშირად გვხვდება რეცეპტებში.

მაგ.:

ფაიფურის ფინჯანზე კარგად <u>ალესეთ</u> კვერცხის გული. თანდათანობით <u>დაასხით</u> მას ზეთი, <u>აურიეთ</u> და <u>ათქვიფეთ.'</u>

ზემომოყვანილი ზმნები: ალესეთ, დაასხით, აეთქვიფეთ – სრული ასპექტისაა და დროის ხაზზე ასე გამოიყურება:



ბრძანება, რომელიც შინაარსით აკრძალვას გამოხატავს, გადმოიცემა მეორე კავშირებითის ფორმით II პირში უარყოფით ნაწილაკთან ერთად: *"არ ისწავლო!"* ვფიქრობთ შესაძლებელია სრული ასპექტის გამომხატველი წინადადების დროის ხაზზე შემდეგნაირად გამოხატვა:



პირველი თურმეობითი გვიჩვენებს მოქმედებას, რომლის შედეგი სახეზეა. მაგ.:

"მშვენიერი ადგილი <u>ამოგირჩევიათ</u>". (შედეგი სახეზეა)

I თურმეობით შინაარსით პერფექტულია და დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს. მტკიცებითი ფორმა, წყვეტილით გამოხატული უარყოფითში ჩვეულებრივ თურმეობითში გადმოიცემა. მაგ.: დავწერე – არ დამიწერია. ამგვარი ჩანაცვლება კანონზომიერია, ვიანიდან წყვეტილი გამოხატავს რეალურად არსებულ, ნანახ მოქმედებას. ამიტომ იხმარება იგი მტკიცებითი წინადადების შემთხვევაში, ხოლო თურმეობითში შედეგზეა ყურადღება გამახვილებული, ამდენად, უარყოფა ლოგიკურია.

განსხვავებული სემანტიკის მქონეა უარყოფა გამოხატული წყვეტილით და უარყოფა გამოხატული I თურმეობითით. მაგ.: "არ წაიკითხა" – გამოხატავს სუბიექტის მიერ განზრახ არ შესრულებულ მოქმედებას, ხოლო I თურმეობით, "უბრალო უარყოფას", სადაც მხოლოდ შედეგია სახეზე. I თურმეობითი სრული ასპექტის ფორმაა. დროის ხაზზე იგი ათვლის რეტროსპექტულ წერტილს გულისხმობს,

დხომილება გაურკვეველ მონაკვეთშია წარსულში. მოქმედებას აწმყოსთან შედეგი აკავშირებს.



აღსანიშნავია, რომ მოქმედების შესრულების სიცხადე – ნახულობა და დაუნახაობა განასხვავებს I თურმეობითს წყვეტილისგან. სემანტიკურად ზმნა წყვეტილში გვიჩვენებს, რომ სუბიექტმა გაცნობიერებულად, განზრახ შეასრულა მოქმედება. წყვეტილის შემთხვევაში გვაქვს მოქმედება + შედეგი + სუბიექტი, ხოლო თურმეობითში – უხილავი მოქმედების შედეგი, რომლის შესახებ სუბიექტმა სხვისგან შეიტყო ან შედეგიდან გამომდინარე გახდა მისთვის ცნობილი.

მაგ.:

*ამ ფიქრში **ჩასძინებია**, თვალი რომ **გაუხილავს**, ოთახი დღის სინათლით ყოფილა გაჩახჩახებული. საათი **გაჩერებულა**, ამას მთლად **გადაურევია**, პერანგი **მოუცვამს** და ტალანში გამავალი კარი **გაულია** (რ. ჯაფარიძე)*

თუ საუბარია, თვით სუბიექტის მიერ განხორციელებულ მოქმედებაზე, მაშინ იგი გაუცნობიერებლად შესრულებული მოქმედებაა, რომლის მხოლოდ შედეგი მეტყველებს მის არსებობაზე. მაგ.: *დამიწერია, გამიკეთებია.*

I თურმეობითი აგრეთვე გამოხატავს მოქმედებას, რომელიც შინაარსით ჰგავს ინგლისურ აწმყო დასრულებულ დროს. მაგ. დაგიწერია წერილი? ამ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია ფაქტზე და არა ხდომლებაზე.

II თურმეობითი გამოხატავს გარკვეული მოქმედების წინამორბედ მოქმედებას. მაგ.: მეკითხა (წამეკითხა). ამასთანავე მას კავშირებითი

კილო აქვს და გამოხატავს სუბიექტის მიერ წარმოდგენილ, ნაგარაუდევ მოქმედებას. თუ ფორმა ზმნისწინიანია, ასპექტი სრულია, თუ უზმნისწინო, უსრული. მაგ.: *მეწერა – დამეწერა*. ეფიქრობთ ზემოაღნიშნულ მოქმედებას ათელის წერტილი წარსულში აქვს.

მესამე კავშირებითი წარსულ დროს გულისხმობს და ძირითადად თანამედროვე ქართულში სურვილის გამომხატველ წინადადებებში გვხვდება. მაგ.: დამეწეროს (მეწეროს). მწკრივი გვიჩვენებს როგორც პროცესს, განგრძობით მოქმედებას, რომელიც უსრული ასპექტისაა, ასევე ზმნისწინიან, შედეგობრივ მოქმედებას.

ქართულში, ისევე როგორც რუსულსა და ინგლისურში, რიგ ზმნებს არ მოეპოვებათ ასპექტური ოპოზიცია. მაგ.: ზმნები გავწერე/შევაწერე უსრული ასპექტის ფორმით არ გვხვდება, ანუ ისინი ასპექტნაკლი ზმნებია (perfective tantum). მეორეს მხრივ, გვხვდება ზმნები, რომელთაც მხოლოდ უსრული ასპექტის ფორმა აქვთ და არ მოეპოვებათ სრული ასპექტის ოპოზიცია (imperfective tantum) (არის, ზის, უყვარს, ცხარობს, სწერია, ჰყრია, ახატია). აღსანიშნავია, რომ რიგი ზმნებისა უზმნისწინოა, თუმცა სრული ასპექტის გაგება აქვთ. მაგ.: თქვა, ბრძანა, ჰკითხა, სთხოვა, უთხრა სტყორცნა, სტაცა, ესროლა, ეცა, ეძგერა, აკოცა, აწყინა.

ზმნათა ასპექტური თავისებურება ხშირ შემთხვევაში ლექსიკური თავისებურებითაა გამოწვეული. მაგალითად, მომენტობრივი ხასიათის და ლექსიკური შინაარსის მქონე ზმნა ვერ იგუებს მოქმედების განგრძობითი ფორმით წარმოდგენას, ან პირიქით, ზმნამ, რომელიც შინაარსით განგრძობითობას, დურატიულობას გამოხატავს, შესაძებელია განგრძობითი ფორმა ვერ მიიღოს.

ქართულ ასპექტოლოგიაში "აქციონარტს" **მოქმედების სახეს** უწოდებენ (ზ.ჭუმბურძე). ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ მოქმედების სახე არ უნდა გაეაიგივოთ ასპექტთან. "აქციონზარტისგან" განსხვავებით, ასპექტი წმინდა გრამატიკული მოელენაა. იგი ერთ ლექსიკურ მნიშვნელობაში ორ ასპექტურ ოპოზიციას გამოყოფს.

მოქმედების სახეები კი გამოიყოფა მხოლოდ ლექსიკური მსგავსების საფუძველზე. კვლევისას ინტერესს იწვევს თუ როგორ მიმართებაშია ზმნის მოქმედების სახე სრულ ან უსრულ ასპექტურ შინაარსთან. რამდენად შეთავსებადი შეიძლება იყოს ასპექტური (გრამატიკული) მნიშვნელობა ზმნის მოქმედების სახესთან, რამდენად შეიძლება გამოიწვიოს ასპექტური პარადიგმის ნაკლულობა (perfective tantum) (imperfective tantum) .

ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ: "მოქმედების სახე სემანტიკურად ახლოსაა ასპექტთან, რადგანაც ასახავს სხვაობას ზმნის მიერ აღნიშნული მოქმედების მიმდინარეობის წესში, მაგრამ ასპექტისგან განსხვავებით, იგი არ წარმოადგენს ცალკე გრამატიკულ კატეგორიას, ვერ ქმნის მკაფიო პარადიგმულ წყვილებს და ზმნათა შორის ლექსიკური სხვაობის სფეროში რჩება."

ქართულში, ისევე, როგორც ინგლისურში, გვხვდება გარკვეული სემანტიკური შეზღუდვები. ა. შანიძე გამოყოფს უასპექტო ზმნათა რიგს, რომლებიც არ დაირთავენ ზმნისწინს, ესენია:

1. გარდაუვალი ზმნები: არის უყვარს, ბავშვობს, ცხარობს, ცხილობს და სხვა.
2. სტატიკური ვნებითის ფორმები: სწერია, ჰყრია, ახატია, აფენია და სხვა.

ქართულში სემანტიკურად შეზღუდული ზმნები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა. ესენია:

1. აბსოლუტური სრული ზმნები, ანუ ისინი რომლებსაც არ აქვთ უსრული ასპექტური წყვილი

მაგ.: ჩაწერა, დაძინება, გაღვიძება, წასვლა

2. აბსოლუტური უსრული ზმნები, ანუ ისინი რომლებსაც არ მოეპოვებათ სრული ასპექტური ოპოზიცია. მაგ.: ქრის, რბის, გორავს, გრეხს. წინდებულის დამატებით აღნიშნულ ზმნებს ასპექტური ხასიათი არ ეცვლება. ქრის-დაქრის-შექრის-მოქის. რბის-მირბის, გორავს-დაგორავს.

ქართულში აბსოლუტური უსრული ასპექტის ზმნებია:

1. არსებობის, ყოფნის მნიშვნელობის. მაგ.: არის, არსებობს, მდებარეობს.
2. ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი ზმნები: წევს, სძინავს, დგას.

ვფიქრობთ არ იქნება გამართლებული თუ აღნიშნულ ზმნებს შესაბამისი სრული ასპექტის ზმნას მივუსადაგებთ. მაგ. ზის-დაჯდა/დაჯდება. სძინავს, დაიძინა/დაიძინებს, რადგან მართალია აღნიშნული ზმნები ერთი და იგივე ხასითის მოქმედებაზე მიუთითებენ, ისინი მოქმედების სხვადასხვა ფაზას გადმოსცემენ. გარდა ამისა, ზმნებს დაჯდა/დაჯდება, ადგა/ადგება საკუთარი ასპექტური წყვილები აქვთ.

მაგ.: დაჯდა/ჯდებოდა, ადგა/დგებოდა. დაიძინა/იძინებდა.

3. ქონების გამოხატველი: აქვს, ჰყავს, მოეპოვება.
4. სურვილის გამომხატველი – ეზიზღება, უნდა, მოწმონს, უყვარს.

ქართულში აბსოლუტური სრულ ასპექტის ზმნები მოქმედების საწყის ფაზაზე მიუთითებენ: დაიყვირა, წამოიყვირა, ალაპარაკდა შეიყვარა, ამღერდა, აფუსფუსდა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ზემომოყვანილი აბსოლუტური სრული ასპექტის ზმნები ვენდლერის ზმნათა კლასიფიკაციის I კლასს მიეკუთვნებიან, ხოლო აბსოლუტური სრული ზმნები – IV კლასს, რომელიც <u>ნახტომისებრი</u> მოქმედების გამომხატველ ზმნებს აერთიანებს, ანუ გამოხატავს სწარფ გადასვლას ერთი მდგომარეობიდან მეორეში. აღნიშნულ ზმნებს მხოლოდ წარსულისა და მომავლის ფორმები მოეპოვებათ. როგორც ცნობილია, სრული ასპექტი წარსულისა და მომავლის ფორმებში გვხვდება. მათ მიერ გამოხატული მოქმედება ათვლის რეტროსპექტულ ან პროსპექტულ წერტილს გულისხმობს.

ბესარიონ ჯორბენაძე უპირისპირებს ასპექტის კატგორიის გამოხატვის ლექსიკურ თავისებურებებს ქართულ და რუსულში. ამასთანავე იგი გამოყოფს დინამიკისა და სტატიკის გამომხატველ ზმნებს. მაგ. 'წუხდება' და 'წუხს', რაც რუსულში გადმოიცემა ზმნის 'беспокоиться'.

წუხდება/წუხს – беспокоиться'.

ქართულში რუსულისგან განსხვავებით, ერთი და იგივე სემანტიკის ფარგლებში გამოირჩევა მოქმედების საწყისის გამომხატველი და განგრძობითი, უწყვეტელი პროცესის ასპექტები, შესაბამისად, ზმნები – წუხდება და წუხს სხვადასხვა კონტექსტში რჩებიან. მაგ.:

*როცა მასთან მივდივარ, ძალიან **წუხს**.*

*როცა მასთან მივდივარ, ძალიან **წუხდება**.*

ზმნებს "წუხს" და "წუხდება" შორის ლექსიკური სხვაობა ნათელია: "წუხდება" აღნიშნავს, რომ "ჩემდამი პატივისცემის მიზნით არაფერს იშურებს", "წუხს" კი იმას ნიშნავს, რომ "ჩემი მისვლა მაინცდამაინც არ სიამოვნებს".

გრამატიკული თვალსაზრისით კი ამ ორ ფორმას შორის განსხვავება ასე წარმოგვიდგება:

წუხდება – "წუხილს, შეწუხებას იწყებს".

წუხს – "მწუხარეა, წუხილის გრძნობა ეუფლება." მსგავსი შედარება შესაძლებელია შემდეგ წინადადებებშიც მაგ.: *როცა მასთან მივდივარ, დუმდება. როცა მასთან მივდივარ, **დუმს**.* "დუმდება", ანუ ლაპარაკობდა და აღარ ლაპარაკობს, წყვეტს მოქმედებას, ლაპარაკს. "დუმს" – ხმას არ იღებს.

ამ შემთხვევაში გამოიყოფა ინქოატივი და პროცესი (განგრძობითი), რაც დინამიკასა და სტატიკას განაპირობებს. ქართული ენა ერთი და იგივე ფორმების სხვადასხვაგვარად გამოვლინების საშუალებას იძლევა, რაც მოსაუბრეს არჩევანის საშუალებას აძლევს შეაფასოს მოვლენა მისთვის სასურველი

თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ინქოატივი ზოგად შემთხვევაში მხოლოდ მყოფადსა და ნამყო სრულში იჩენს თავს. მაგ.:

X მღერის

ამღერდება – იმღერებს

ამღერდა – იმღერა

როგორც ეხედავთ, ინხოატივი აწმყოში შესაძლებელია რეალიზებულ იქნას, შესაძლებელია არა. მაგალითად: არასწორია გამონათქვამი: ტირდება, მღერდება, ფრიალდება, ღიღინდება და სხვ.

ამასთანავე არსებობს ისეთი ფორმები, როგორიცაა: ატირდება – ატირდა, ამღერდება – ამღერდა, აბიბინდება-აბიბინდა, აგიზგიზდება – აგიზგიზდა, აფრიალდება-აფრიალდა. იმავდროულად დასაშვებია ფორმები: წყდება, დუმდება, ტრიალდება და ა.შ.

ჯორბენაძე მიიჩნევს, რომ: "ინქოატივი შინაგანად გარკვეული მიზეზის პოვნიერებას ვარაუდობს წინამძღვრად":

ჩემი მოსვლისას ტირდება.

ჩემი მისვლისას ატირდება.

'ტირდება' ემთხვევა მისვლას. 'ატირდება' მისვლის შემდგომ ხდება, ისევე როგორც 'შეწუხდება' მაგალითში " ჩემი მისვლისას შეწუხდება', მოქმედების საწყის ეტაპს გამოხატავს.

ამრიგად, ასპექტური სემანტიკა თანამედროვე ქართულში შემდეგ თავისებურებებს ავლენს:

1. აწმყო დროის ფორმით შესაძლებელია გამოიხატოს მუდმივი მოვლენების გამომხატველი აწმყო. ამ შემთხვევაში ათვლის წერტილი აწმყო დროს გულისხმობს. ხდომილება მოიცავს დროის მთელ მონაკვეთს, წარსულს, აწმყოსა და მომავალს. სმნა აღნიშნული მნიშვნელობით ნულოვანი ასპექტის გამომხატველია.

2. აწმყოს მწკრივში სმნა აგრეთვე გეხვდება ჰაბიტუალური მნიშვნელობით. მრავალგზის მნიშვნელობის გამომხატველი სმნა უსრული ასპექტისაა. ათვლის წერტილი აწმყოშია, საუბრის დრო და ხდომილების წერტილიც აწმყო დროს მოიცავს.

3. ზმნა აწმყოს მწკრივში გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წარსულში გარკვეულ მონაკვეთში დაიწყო, შესაძლებელია მომავალშიც გაგრძელდეს. ამ შემთხვევაში ასპექტი უსრულია. საუბრის მომენტი, ხდომილება და ათვლის წერტილიც აწმყო დროს გულისხმობს.

4. მრავალგზის, მოქმედების გამოხატვა ქართულში ხშირად ადგილის გარემოების საშუალებით ხდება.

5. აწმყოს მწკრივში ზმნა დურატიული მოქმედების გამომხატველია. ქართულში დურატიულობის და მრავალგზისობის განმასხვავებელია კონტექსტი და ადგილის გარემოებები. დურატიული/განგრძობითი მნიშვნელობის ზმნა უსრული ასპექტის გამომხატველია. ამ შემთხვევაში ათვლის წერტილი, საუბრის დრო და ხდომილება თანადროულია.

6. ქართულში ხშირად გვხვდება ნარატიული აწმყოს მაგალითები როგორც წერით, ასევე სეპირ დისკურსში. ნარატიულ რეჟიმში მთხრობელი აწმყო დროს მიმართავს შტამბეჭდაობის გაზრდის მიზნით. ეიანიდან მოსაუბრე წარსულში მომხდარი ფაქტების კონსტატაციას ახდენს, ასპექტი ნარატიულ რეჟიმში სრულია.

7. აწმყო დროს ხშირად ვხვდებით ტელე-რადიო რეპორტაჟებში. ამ შემთხვევაში კომენტატორი აწმყო დროს მიმართავს ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე. მოვლენა წინ უსწრებს გამონათქვამს. ათვლის წერტილი და ხდომილების დრო წარსულშია, აქედან გამომდინარე, ასპექტი სრულია.

8. აწმყო დრო ფართოდ გამოიყენება საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში. აღსანიშნავია, რომ ზმნის ასპექტური ხასიათი ტექსტის დროსაა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ თავად სტატია წასრულ ან მომავალ დროშია, ზმნა სათაურში სრულია.

9. წარსულ ფორმათა შორის ვხვდებით ერთგზის და მრავალგზის მნიშვნელობის გამომხატველ ასპექტურ ფორმებს.

წარსულში ერთგზის მოქმედების გამომხატველი ზმნები სრული ასპექტისაა. საუბრის დრო და ხდომილება წარსულშია.

10. მრავალგზის, ჩვეულებითი მოქმედების გამომხატველი ფორმა ქართულში განგრძობითის ომონიმურია. წარსულში, ისევე როგორც აწმყოში, გზისობის განმსაზღვრელი ადგილის გარემოებები და შესაბამისი კონტექსტია. მრავალგზის ასპექტური ფორმა წარსულში, ისევე როგორც აწმყოში, უსრულია.

11. მყოფადის მწკრივში ზმნა ათვლის წერტილს და ხდომილებას მომავალში გულისხმობს. ზმნა სრული ასპექტის გამომხატველია

12. ქართულში ინგლისურისგან განსხვავებით, ბრძანებით კილოში ზმნას ასპექტის ყველა მახასიათებელი ახლავს. ბრძანებით წინადადებაში ზმნამ შესაძლებელია გამოხატოს ერთგზის, მრავალგზის, განგრძობითი ასპექტი.

სქემა 2

ზმნის დროით-ასპექტური სემანტიკა ძართულში



თავი III

ასპექტის კატეგორიის სემანტიკური მახასიათებლები თანამედროვე რუსულში

როგორც ცნობილია, რუსულში დროის კატეგორია პირდაპირ კავშირშია ასპექტის კატეგორიასთან. უსრული ასპექტის ზმნებს თხრობით კილოში სამი ფორმა აქვთ: აწმყო, წარსული და მომავალი რთული (строют, строили и будут строить). სრული ასპექტის ზმნებს ორი ფორმა აქვთ – წარსული და მომავალი (построили, построю). დროის მორფოლოგიური კატეგორია დაფუძნებულია შემდეგი ფორმების დაპირისპირებაზე:

1) აწმყო დროის ფორმები. აწმყო დროის ფორმების უმეტეს ნაწილს მხოლოდ უსრული ასპექტის გაგება აქვთ (веду, ведешь)
2) ნამყო დროის ფორმები
   ა. უსრული ასპექტის მაგ.: вела, вел, вело,вели
   ბ. სრული ასპექტის მაგ.: закрыли, закрыла, закрыло
3) მომავალი დროის ფორმები: მომავალი რთული, განგრძობითი, უსრული მოქმედების გამომხატველი (буду вести, будешь вести, будет вести) და მარტივი მომავალი, სრული ასპექტის გამომხატველი (закрою, закроешь).

ამგვარად, ზემოთ ჩამოთვლილ რიგებში გამოიყოფა:

1. აწმყო დროის ფორმები უსრული ასპექტის
2. ნამყო დროის ფორმები – სრული და უსრული ასპექტის გამომხატველი
3. რთული მომავლის ფორმები – უსრული ასპექტი
4. მარტივი მომავლის ფორმები – სრული ასპექტი

დროის ყველა ფორმას აქვს როგორც მისი საკუთარი მახასიათებლები, ასევე გამოხატვის სპეციფიკური საშუალებები. ასეთი საშუალებებია ფუძეთა ტიპები, რომლებსაც აფიქსები ერთვიან. რუსულში გამოყოფენ აწმყო დროის ორ ძირითად ტიპს: **კონკრეტული**

აწმყო დრო, მოქმედება, რომელიც საუბრის მომენტში მიმდინარეობს (настоящее актуальное) და **მუდმივი მოქმედების, მდგომარეობის** გამომხატველი აწმყო დრო.

განგრძობითი კონკრეტული აწმყო გადმოსცემს გრძლივ, დაუსრულებელ მოქმედებას, რომელიც მეტყველების დროის სინქრონულია: ხდომილებისა და მეტყველების დროის ერთდროულობა კონტექსტის დონეზე ფიქსირდება. მაგ.:

- *- Что это они там **делают**?*

  *- Они **разжигают** костер (განგრძობითობა)*
- *- Что **делают** туристы, чтобы приготовить пищу?*

  *- Они **разжигают** костер.* (მრავალგზისობა)

რუსული აქტუალური აწმყო სემანტიკურად ქართული აწმყოს მწკრივის და ინგლისური აწმყო განგრძობითის მიერ გამოხატული მოქმედების ეკვივალენტია. დროის ხაზზე აქტუალური აწმყოს ათვლის წერტილი საუბრის დროის თანხვედრია და ხდომილებაც მათი სინქრონულია.



აწმყო არააქტუალურის ძირითადი ტიპებია: მუდმივი მოქმედების აწმყო დრო და აბსტრაქტული აწმყო. მუდმივი მოქმდების გამომხატველი აწმყო გადმოსცემს დროით შეუზღუდავ მდგომარეობას, ან მოქმედებას. ამგვარი მნიშვნელობის მქონე ზმნები ატემპორალურია. მაგ.:

- *Церковь **стоит** на холме.*
- *Картина **изображает** зимний пейзаж.*
- *Надпись **гласит.***

ვფიქრობთ, ზემომოყვანილ მაგალითებში ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების ხდომილების ლოკალიზება დროის ხაზზე შეუძლებელია, ვინაიდან მას დროის გაგება არ აქვს, ათვლის

წერტილი აწმყოშია, რადგან მოსაუბრე გრძლივი მოქმედების განვითარების ან მდგომარეობის არსებობის ერთ-ერთ ეტაპზე მიუთითებს. აღნიშნული ეტაპი რომელიც საუბრის დროს ემთხვევა.



აწმყო აბსტრაქტული გამოხატავს მრავალგზის, განმეორებად მოქმედებას, რომელიც ერცელდება როგორც წარსულზე, ასევე – მომავალზე. მოქმედება უსრული ასპექტისაა. მაგ.:

- *Девушки часто **плачут** безпричинно. (И. В.Тургенев)*
- *Всё о чем **мечтаешь**, **приходит** или не тогда, когда надо, или не в том виде, как хочется.*

ისევე როგორც მუდმივი მოქმედების აწმყო, აწმყო აბსტრაქტული ატემპოალურია და არ მიუთითებს კონკრეტულ მონაკვეთზე.



აწმყო დროის ცენტრალური მნიშვნელობის გარდა გამოიყოფა პერიფერიული მნიშვნელობები, როგორც ზოგადი ჭეშმარიტების აწმყოს, ასევე – აბსტრაქტულის. ისინი აწმყო არააქტუალურის ფუნქციურ ნაირსახეობას წარმოადგენენ. ასეთი სახეობაა აღწერითი, წარმოსახვითი აწმყო დრო და კომენტარის შემთხვევაში ხმარებული აწმყო.

აღწერით აწმყოს ნარატიულ რეჟიმში ვხვდებით ძირითადად მხატერულ ლიტერატურაში. მთხრობელი ხატავს სცენას, რომელიც თვალწინ აქვს, თუმცა მოქმედებები უშუალოდ საუბრის მომენტთან არ არის დაკავშირებული. სურათი საუბრის დროისაგან

დამოუკიდებელია და ხდება ერთგვარი მხატვრული განზოგადება. მაგ.:

- *Поток спустился и **тускнеет**, и **прячется** под твердым льдом, и гаснет цвет и звук немеет в оцепененье леденом.*

აწმყო დრო აგრეთვე იხმარება სასცენო რემარკებში, სცენარებში. მოქმედება არა საუბრის დროის სინქრონულია, არამედ აღნიშნული სიტუაციის.



(სიტუაციის დრო)

მაგ.: *Все **сидят**, слышно только как тихо **бормочет** Фирс. (А П Чехов «Вишневый сад»)*

აწმყოს რუსულში, ისევე როგორც ქართულსა და ინგლისურში, აქვს გადატანითი მნიშვნელობით ხმარებული ფორმები. ასეთებია ისტორიული აწმყო და აწმყო, რომელიც მომავალ მოქმედებაზე მიუთითებს.

ისტორიული აწმყო, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნარატივში გამოყენებული აწმყოა. იგი თხრობას მეტ შტამბეჭდაობას ჰმატებს და მკითხველს უქმნის წარმოდგენას, თითქოს წარსულში მომხდარი მოქმედებები მის თვალწინ ვითარდება. აწმყო დრო შინაარსობრივად ამ შემთხვევაში კარგავს თავის პირველად მნიშვნელობას და წარსულისკენაა მიმართული.

მაგ.:

- *Вчера в два часа **иду** я по Кузнецкому... (Е. Падучева)*
- *После конца смены я **сижу** на лавочке и жду Валю...*

აწმყო აგრეთვე გადმოსცემს დაგეგმილ მოქმედებებს, რომლებიც მომავალში განხორციელებას გულისხმობენ. ამ შემთხვევაში სუბიექტი მზად არის ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად, ან დარწმუნებულია, რომ მოქმედება მომავალში მოხდება.

მაგ.:

- *Я будущей зимой **уезжаю** заграницу.*
- *Максим, я тебе за́втра пару **заказываю**. (А. П. Чехов)*

მოქმედების ათვლისა და ხდომილების წერტილი მომავალშია, საუბრის დრო – აწმყოში.



აწმყო დროით-ასპექტური ფორმა აგრეთვე იხმარება წარმოდგენილი მოქმედების გამოსახატავად. მოსაუბრე აღწერს მის თვალწინ მიმდინარე მომავალი მოქმედების სურათს.

მაგ.:

• *Вообразите же, что вы **встречаетесь** с ней там, через несколько времени, в высшем обществе; **встречаетесь** где нибудь на балу... она **танцует**. Около вас **льются** упоительные звуки Штрауса, **сыплется** остроумие высшего общества. (Ф.М Достоевский «Идиот»)*

ზემოაღნიშნული ფუნქცია დროის ხაზზე ათვლის წერტილს მომავალში გულისხმობს, ხდომილების წერტილიც მომავალშია, ასპექტი – უსრული.



რუსულში გამოიყოფა წარსული დროის ორი ძირითადი მნიშვნელობა: პერფექტული და აორისტული. პერფექტული ტიპი გადმოსცემს დასრულებულ, შედეგობრივ მოქმედებას. როგორც ცნობილია, რუსულში განასხვავებენ ორი ტიპის პერფექტულობას:

1. მოქმედება წარსულში მოხდა, შედეგი აწმყოშია;

მოქმედების ხდომილება წარსულშია, ხოლო შედეგი – აწმყოში.

მაგ.:

- *Ты **озяб**, ты в снегу был, хочешь чаю?*

აღნიშნული მოქმედების ათვლის წერტილი აწმყოშია, ვინაიდან შედეგი აწმყოშია, ხოლო ხდომილება კი – წარსულში.



2. მოქმედება მოხდა გარკვეულ მომენტამდე წარსულში, შედეგი წარსულშია.

მაგ.: *Только и **жила** бедная памятью о милом сердцу... **Истощала** вся.*

პერფექტული მოქმედების ორივე ტიპი სრულ ასპექტს გამოხატავს. მეორე შემთხვევაში ათვლის წერტილი წარსულშია, ვინაიდან წინამდებარე მოქმედების შედეგი ნამყო დროშია.

წარსული დროის ფორმები აგრეთვე იხმარება გადატანითი მნიშვნელობით მომავალი მოქმედების აღსანიშნავად. ამ შემთხვევაში



კონტექსტი მომავალ დროზე მიუთითებს, ფორმა კი – წარსულზე. მაგ.

- *Если он не вернется, мы **погибли** (мы пропали)*

ამ შემთხვევაში მოსაუბრე თითქოს დარწმუნებულია მოქმედების შედეგში. ამავე ფუნქციას მიეკუთვნება შეძახილები:

- *Так я и **поверил!***
- *Как же, **испугался!***

ამ შემთხვევაში მომავალი ფაქტი უარყოფილია მისი ირონიული აღიარებით. საუბარში აგრეთვე გვხვდება მომავლის მნიშვნელობით ხმარებული წარსული დრო. მაგ.:

- *Я **пошла.***
- *Мы **поехали.***

დროის ხაზზე ზემოაღნიშნული მოქმედება ათელის წერტილს და ხდომილების დროს მყოფადში გულისხმობს, ასპექტი სრულია.



წარსული დროის სრული ასპექტის ზმნის ფორმა აგრეთვე გამოიყენება აბსოლუტური აწმყოს კონტექსტში. წარსული დროის ფორმის სრული ასპექტის ზმნა ამ კონტექსტში იხმარება მრავალგზის მოქმედების დაკონკრეტების მიზნით. გამოხატავს ერთგზის ფაქტს, რომელიც წარმოდგენილია ისე, თითქოს უკვე მომხდარია, თუმცა კონტექსტი ერთგვარ განზოგადებაზე მიანიშნებს.

მაგ.:

- Из чужого табака всегда такие крутят: утром закурил - к вечеру вынул.

უსრული ასპექტის წარსულ დროს აქვს შემდეგი ფუნქციები:

1. მოქმედების პროცესი. მაგ.:

*Ольга Ивановна **сидела** за перегородкой на кровати и, перебирая пальцами свои прекрасные льняные волосы, **воображала** себя то в гостинной, то в спальне, то в кабинете мужа; воображение унасило её в театр, к портнихе и к знаменитым друзьям.*

(А.П. Чехов. «Попрыгунья»)

ეფიქრობთ, თავიანთი სემანტიკით წარსული დროის ზემომოყვანილი ფუნქცია ინგლისური წარსული-განგრძობითისა და ქართული ნამყო-უწყვეტელის ეკვივალენტია. გამოხატავს რა წარსულში განგრძობით, დაუსრულებელ მოქმედებას, დროის ხაზზე ხდომილება განგრძობითი მონაკვეთის სახით გამოიხატება, ათელის წერტილი წარსულშია.



განგრძობითი დროის ფორმით აგრეთვე გამოიხატება უსრული ასპექტის ზმნის ფორმა ზოგადფაქტობრივი, შედეგობრივი მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში მოქმედების ხასიათს არაფერი აქვს საერთო განგრძობითობასთან. იგი ერთგზის, ან მრავალგზის მოქმედებაზე მიუთითებს.

მაგ.:

- *Ты **показывал** ей это письмо?*
- *Ты **решил** задачу?*

თავისი მნიშვნელობით უსრული ასპექტის ზოგადფაქტობრივი, შედეგობრივი ზმნები უპირისპირდებიან სრული ასპექტის შედეგობრივ ფორმებს.

მაგ.:

- *Я **решал** задачу. Я **решил** задачу*

ორივე წინადადებაში მოქმედებამ მიაღწია გარკვეულ ზღვარს და დასრულდა. შედეგი სახეზეა.

უსრული ფორმის შემთხვევაში (Я читал это книгу)აქცენტი გადატანილია ფაქტზე, წარსულში ადგილი ჰქონდა ამა თუ იმ ფაქტსა თუ მოქმედებას. ამ შემთხვევაში შედეგობრივი მოქმედება არ არის შემორჩენილი არც საუბრის მომენტში, არც ნებისმიერ სხვა ათვლის წერტილში.

მაგ.:

- *Я **прочел** статью и теперь все знаю.*
- *Я **читал,** но ничего не помню.*

სმირნიცკი არ ეთანხმება ზოგად დებულებას, რომ სრული ასპექტი გარკვეული შედეგის მქონე დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს, ხოლო უსრული – დაუსრულებელს. მაგალითისათვის

მოჰყავს შემდეგი კონსტრუქციები:

*«Он **ездил** в Ленинград на прошлой неделе»*, სადაც უსრული ასპექტური ფორმის მქონე ზმნა *"ездил"* დასრულებულ მოქმედებაზე მიუთითებს – სუბიექტი გაემგზავრა და დაბრუნდა.

ამასთანავე იგი არ მიიჩნევს რაოდენობას ასპექტური განსხვავების მყარ კრიტერიუმად. იგი არ ეთანხმება ფაქტს, თითქოს რუსულში მრავალგზისობა უსრულ ასპექტს გადმოსცემს.

- *Он **показал** этот фокус десять раз.*
- *Он десять раз **показывал** этот фокус.*

პირველ წინადადებაში მრავალგზისობა სრული ასპექტის ფორმითაა გამოხატული.

გამოიყოფა ექვსი ძირითადი მახასიათებელი უსრული ასპექტის შედეგობრივი ხმარებისა:

1. ეგზისტენციური, კომუნიკაციური დანაწევრება *(the action did occur)*
2. შედეგობრიობა;
3. მოქმედების კავშირი საუბრის მომენტთან
4. გ'ისობა *(Я трижды читал эту книгу)*
5. დაუკონკრეტებელი დასრულების მომენტი;
6. ათვლის რეტროსპექტული წერტილი.

მაგ.:

- *Мой дядя **всходил** на Эверест.*
- *Ты когда-нибудь **разбивал** ценную вазу?*
- *Он не один раз **терял** паспорт. (Е.Падучева, 1996)*

აღნიშნული წინადადებები შეიცავენ ექვსივე მახასიათებელს. უსრული ასპექტის ზოგადფაქტობრივმა ფორმამ შეიძლება აგრეთვე კონკრეტულ მოქმედებაზე მიუთითოს, სადაც მახასიათებელი – გზისობა, გამოირიცხება.

- *А ты **открывал** окно? (сейчас оно закрыто)*
- *Я дарил тебе свою книгу.*

2. მყოფადი მარტივი მიუთითებს ერთგზის მოქმედებაზე მომავალში. მაგ.:

♦ *Сейчас хозяин **придет**, ужинать будем.(А.И. Куприн.)*

დროის ხაზზე ზმნით (придет) გამოხატული მოქმედება საუბრის დროს აწმყოში გულისხმობს, ათვლის წერტილს და ხდომილების მომენტს – მომავალში.



ზოგ შემთხვევაში სრული ასპექტი მომავალი დროის ფორმით გადმოიცემა, სადაც გამოყოფილია განმეორებითი მოქმედების ერთ-ერთი აქტი. მაგ.:

♦ *Бык он ведь всегда так: сначала **шагнет**, а потом **стоит** и **думает**. (М. А. Шолохов)*

აღნიშნულ შემთხვევაში ზმნა *шагнет* მომავალი ფორმისაა და სრული ასპექტის, თუმცა შინაარსით იგი ატემპორალურ, ზოგად მოქმედებას, ჩვევას გამოხატავს.

ამასთანავე აღსანიშნავია მომავალი დროის პერიფერიული ფუნქციები. ხშირად მომავალი დროის ფორმა რუსულში გარკვეულ აბსტრაქტულ მოქმედებაზე მიუთითებს, სადაც ზმნა სრული ასპექტისაა. მაგ.:

♦ *Если судьба **обрушится** раз на кого бедою, то ударам её и конца не бывает. (Ф.М.Достоевский «Идиот»)*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში ზმნით გამოხატული მოქმედება აბსტრაქტულია, კონკრეტული ხდომილების მონაკვეთი არ გააჩნია და ერთგვარ ზოგად წარმოდგენას, დამოკიდებულებას ან მოვლენას გადმოსცემს.

აგრეთვე სრული ასპექტისაა მომავალი დროის ფორმა, როდესაც იგი მიუთითებს საუბრის მომენტში მოქმედების განხორციელების შესაძლებლობაზე. მაგ.:

- Выходи поскорее...

- Сейчас... крылатки никак не найду. (А. П. Чехов)

მომავალი დროის ამგვარი გამოყენება სემანტიკით არ ემთხვევა აწმყო აქტუალურს, რადგან საუბრის მომენტს შეეხება არა მოქმედების მიმდინარეობა, არამედ მისი განხორციელების შესაძლებლობა. ამასთანავე კონტექსტი გვიჩვენებს, რომ მოქმედება შეეხება არა მხოლოდ საუბრის დროს, არამედ აწმყო დროის განუსაზღვრელ მონაკვეთზეა გადაჭიმული.

ამასთან მომავალი დროის ფორმა გამოხატავს მოქმედებას, რომლის ხდომილება და ათვლის წერტილი წარსულშია. კონტექსტი ზღუდავს მოქმედების დროს. მაგ.:

♦ *Денег даже **давал.***

ზემომოყვანილ მაგალითებში ზმნა სრული ასპექტისაა



აგრეთვე ხშირია ზმნის быть მომავალი დროის ფორმით აწმყოში ხმარდება, რაც ძირითადად კონტექსტის დონეზე ფიქსირდება. მაგ.:

♦ *Вы кто **будете**? Она сама-то кто **будет?***

აგრეთვე მომავალი დროის ფორმა აწმყოს გაგებით იხმარება ვარაუდის გამოხატველ წინადადებებში. მაგ.:

- Сколько ему лет?

*- Лет пятдесят, я думаю, **будет.***

მომავალი დროის ეს ფუნქცია ათვლის მომენტსა და ხდომილებას აწმყოში გულისხმობს.



ზმნა быть თავისი სემანტიკით უასპექტოა, შესაბამისად მისი ხდომილების მონაკვეთის განსაზღვრა დროის ხაზზე შეუძლებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომავალი რთული დრო უსრული ასპექტისაა, ისევე, როგორც მომავალ მარტივს, მომავალ რთულ დროს რუსულში ძირითადი და პერიფერიული, გადატანითი მნიშვნელობები აქვს:

გამოიყოფა მომავალი დრო აბსტრაქტული დროის კონტექსტში ხმარებული, რაც გამოხატავს ზოგად აზრზე, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მომავლის ვარაუდს. წინადადება ჰიპოტეთურია. მაგ.:

- *Я например в дороге спать не могу... Я одну, другую, третью ночь не* ***<u>буду спать</u>****, а все-таки не* ***<u>засну</u>****. (А К..Толстой.)*

მოქმედება, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის ეროგვარ ვარაუდს. მაგ.:

- *Вернувшись из далекого путешествия, обязательно* ***<u>будешь хвастаться,</u>*** *рассказывать диковинные вещи.*

ზემოაღნიშნული მოქმედება დროის ხაზზე ასე გამოისახება:



ათვლის წერტილი და ხდომილების დრო – მომავალშია, საუბრის მომენტი - აწმყოში. ზმნით გამოხატული მოქმედება უსრული ასპექტისაა და გამოხატავს ერთგზის ან მრავალგზის გრძლივობას.

მომავალი დროის ფორმა აგრეთვე იხმარება კონტექსტში, რომელიც თავისი სემანტიკით წარსულში მომხდარ მოვლენებს გადმოსცემს. ამ შემთხვევაში მომავალი დრო იგივე ფუნქციისაა, რაც აბსტრაქტული აწმყო. მაგ.:

♦ *В селе началась короткая, но энергичная пора... называлась она навозной. Тогда не* ***будешь различать*** *откуда наносит цветами, а откуда наносит пасекой, тогда всё заглушит и одолеет и один* ***будет господствовать*** *целую неделю иной по силе и крепости, иной по самой осанке своей аромат.*

ზმნით გამოხატული მოქმედება ამ შემთხვევაში ატემპორალურია, ვინაიდან გამოხატავს წარსულში არსებულ მრავალგზის მოვლენას. აღნიშნული მოქმედების ათვლის წერტილი და ხდომილების დრო წარსულშია.



როგორც ვხედავთ, რუსულში, ისევე როგორც ქართულსა და ინგლისურში, ზმნის ასპექტის კატეგორიის დადგენისთვის მნიშვნელოვანია დისკურსი, სიტუაცია, რომელშიც ზმნის ესა თუ ის ფორმა გვხვდება. ამასთანავე გამოიყოფა ასპექტური ფორმების ფუნქციები სპეციფიკური მხოლოდ რუსულისათვის. ასეთებია უსრული ასპექტის შედეგობრივი ფორმები, სადაც მოსაუბრე აკეთებს არჩევანს უსრულ შედეგობრივსა და სრულ ასპექტს შორის, იმის მიხედვით, თუ რაზე ამახვილებს იგი ყურადღებას, ფაქტის შედეგზე, მის არსებობაზე, თუ თვით მოქმედებაზე რუსულში დროის ფორმებს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობის გარდა აქვთ პერიფერიული ფუნქციები, სადაც ზმნა გარკვეული დროის ფორმაში გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი; ამის თვალსაჩინო მაგალითია აწმყო და მომავალი დროის მეორადი ფუნქციები.

სქემა 3

ზმნის დროით-ასპექტური სემანტიკა რუსულში



სქემა 4

დროით ასპექტური სემანტიკა
ზოგადი სქემა





თავი IV

ასპექტის ზოგიერთი პრაგმატიკული თავისებურება

ნაშრომში შევეცადეთ გამოგვეკვლინა ასპექტის ზოგიერთი პრაგმატიკული თავისებურება, კერძოდ თუ რა ილოკუციური ძალა შეიძლება ჰქონდეს კონკრეტულ ასპექტურ ფორმას სხვადასხვა ტიპის დისკურსში. ამისთვის ერთი მხრივ, განვიხილეთ ასპექტის კატეგორია სოციოლინგვისტურ ჭრილში – "სახის" ცნებასთან მიმართებაში და მეორე მხრივ, შევეცადეთ გამოგვეკვლინა ასპექტის ზოგიერთი ფუნქცია დისკურსში.

§1. სოციოლინგვისტური ტერმინი "სახე" და ასპექტის კატეგორია

როგორც ცნობილია, ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად კომუნიკანტთა სოციალური ურთიერთობა მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, ყოველი სამეტყველო სიტუაცია სოციალურია, ანუ გულისხმობს ისეთი ფაქტორების არსებობას, როგორიცაა: კომუნიკანტთა ასაკი, სქესი სოციალური სტატუსი და მათ შორის სოციალური მანძილი. აღნიშნული ფაქტორების ჩამოყალიბება წინ უსწრებს სამეტყველო სიტუაციას და გარეგან ფაქტორებს წარმოადგენს. სამეტყველო სიტუაციის გარეგანი ფაქტორები სოციალურ ღირებულებებს ეფუძნება. მეორე მხრივ, რიგი ფაქტორებისა სწორედ საუბრის პროცესში ყალიბდება. საუბრისას მათი ხარისხი შესაძლოა შემცირდეს ან გაიზარდოს.

მოსაუბრეთა შორის დადებითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი თავაზიანობას ენიჭება. თავაზიანობას საუბარში "სახის" ცნება განსაზღვრავს. ტერმინს "სახე" ლინგვისტურ ლიტერატურაში განსაზღვრავენ როგორც ურთიერთშეთანხმების შედეგად მიღებულ საზოგადოებრივი ქცევის ტიპს. (Brown & Levinson. 1996) აქედან გამომდინარე, "სახე"

შეიძლება მოსაუბრის შეხედულებების, ფასეულობებისა და რწმენის გამოხატულებად მივიჩნიოთ. თავაზიანობის ფაქტორი საუბარში ადრესატის სახის ცოდნითა და გათვალისწინებით განისაზღვრება. ე. გოფმანი, რომელმაც სოციოლოგიასა და სოციოლინგვისტიკაში შემოიტანა "სახის" ცნება, იყენებს ტერმინს "face works", რაც მოიცავს იმ მცდელობებსა და ხერხებს, რასაც ადრესანტი მიმართავს რათა დაიცვას საკუთარი და ადრესატის "სახე". აღსანიშნავია, რომ სახის ფასეულობაბები პირობითია ერთი მხრივ, მათ განსაზღვრავს კონკრეტული ექსტრალინგვისტური სიტუაცია, მეორე მხრივ ის გარემო, რომელშიც მოსაუბრე იმყოფება, ყოფითი და კულტურული ფონი. ამ შემთხვევაში "სახის" ფასეულობანი გამოღინარეობს გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ადათ-წესებიდან, ცალკეულ საზოგადოებაში მიღებული ნორმებიდან. აღნიშნული ფაქტორები ქმნიან სახის ფასეულობებს კონკრეტული ინდივიდისთვის და მათი დარღვევა, გამიზნული თუ ქვეცნობიერი, იწვევს "სახის" დაკარგვას (face loss). ვერბალური თუ არავერბალური მოქმედება, რომელსაც ინდივიდი სხვადასხვა სიტუაციაში მიმართავს, შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს საუბრის მონაწილეთა "სახეს". აღნიშნული ფაქტი სოციოლოგიასა და სოციოლინგვისტიკაში ცნობილია, როგორც face threatening fact, ანუ მოქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის კომუნიკანტის "სახეს". ამის საპირისპიროდ, მოსაუბრის მცდელობას დაიცვას მსმენლისა და საკუთარი სახე, უწოდებენ face saving act – სახის შემანარჩუნებელ ქმედებას.

სპეციალურ ლიტერატურაში თავაზიანობის ხარისხის განმსაზღვრელი სამი ძირითადი ფაქტორი გამოიყოფა:

1. მოსაუბრის შედარებითი ძალაუფლება (P) მსმენელზე (H) (power);
2. სოციალური დისტანცია (D) მოსაუბრესა და მსმენელს შორის (Distance).
3. ზემოქმედების ხარისხი (I) (Rank of imposition).

ზემოთქმულის საფუძველზე გამოიყოფა სახის ორი ტიპი ე.წ. დადებითი და უარყოფითი სახე. (Brown & Levinson 1996), აგრეთვე ცნობილი, როგორც "დამოუკიდებლობა" და "ჩაბმა" (R. Scollon, S. Scollon. 1997). მოსაუბრის უარყოფითი სახე გამოხატავს მისი თავისუფლად მოქმედებისა და დამოუკიდებლობის სურვილს. უარყოფითი სახე ხასიათდება მაქსიმალური სოციალური დისტანციით > D და ჩაბმის მინიმალური ხარისხით. ამის საპირისპიროდ, დადებითი სახე ისეთ სამეტყველო სიტუაციებს გულისხმობს, როდესაც მოსაუბრეები აქტიურად არიან ჩართული საუბარში. ამ შემთხვევაში ისინი მოქმდებენ, როგორც ერთი წრის წარმომადგენლები და საფრთხე სახის დაკარგვისა, მინიმალურია. დადებითი და უარყოფითი სახის პრალელურად, არსებობს დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის ცნება. ორივე შემთხვევაში კომუნიკანტები იყენებენ სტრატეგიებს, რომლებიც მათ საკომუნიკაციო გამიზნულობას ემსახურება.

დადებითი სახის შემთხვევაში მოსაუბრესა და მსმენელს შორის ჩამოყალიბებული ახლო, ნაკლებოფიციალური ურთიერთობა მიიღწევა ე.წ. "სოლიდარობის სტრატეგიით" (solidarity strategy). უარყოფითი სახის შემთხვევაში ინდივიდის სურვილი დაიცვას მაქსიმალური დისტანცია საუბრის წევრების მიმართ, გამოიხატება "თავდაცვის სტრატეგიით" (defence strategy). აღნიშნულ სიტუაციაში მოსაუბრე მიმართავს თავაზიანი საუბრისთვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებს.

დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის ცნებასთან კავშირში ინტერესს იწვევს აგრეთვე მოსაუბრის მიერ შერჩეული ინფორმაციის გადაცემის ფორმა. მან იფორმაცია შესაძლებელია გადმოსცეს პირდაპირ, გამოიყენოს დადებითი "სახის" სტრატეგია (bald on record), ან მიმართოს გარკვეულ ენობრივ ხერხებს და ქარაგმულად, არაპირდაპირ გამოხატოს საკუთარი განზრახვა (bald off record).

"სახის" ცნება მჭიდრო კავშირშია რეგისტრის ცნებასთან. როგორც სახის ტიპების განსაზღვრებიდან ჩანს, უარყოფითი სახე დამახასიათებელია ოფიციალური რეგისტრისთვის, ხოლო დადებითი, არაოფიციალურ სტილში გეხედება. დაკვირვებამ დაგვანახა, რომ განსხვავებული ასპექტური ფორმები შეიცავენ გარკვეული ხარისხის ემოციურ დატვირთვას. ასპექტურ ფორმათა ცვალებადობა ხშირად განსაზღვრავს სიახლოვისა და დისტანციის ხარისხს, ოფიციალურობასა და არაოფიციალურობას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დადებით და უარყოფით სახეს.

კვლევის შედეგად "სახესთან" მიმართებაში გამოვყავით შემდეგი ასპექტური დაპირისპირება:

განგრძობითი – არაგნგრძობითი

სრული – უსრული

ინგლისურში ინტერესს იწვევს განგრძობითი და არაგანგრძობითი ფორმების სხვადასხვა კონტექსტში ხმარება. კონკრეტულ სიტუაციებში მარტივი ფორმა, ანუ არაგანგრძობითი ასპექტი შესაძლებელია ნაკლებოფიციალური ან თავაზიანი იყოს მის შესაბამის განგრძობით ფორმასთან შედარებით. ამის მაგალითია ინგლისურში სემანტიკურად შეზღუდული ზმნების *hope want* განგრძობით ფორმაში ხმარება განსაკუთრებული პატივისცემისა და ტაქტის ნიშნად.

ქვემომოყვანილ დიალოგში მოსაუბრეების საუბარს წყვეტს მიმტანის შეკითხვა, რომელიც განსაკუთრებული თავაზიანობის გამოხატვის მიზნით განგრძობით დროს იყენებს. მაგ.:

A: So this year we thought we would go somewhere really original for our holiday, somewhere no one else goes, so we're going to Iceland.

B: Are you? What a coincidence! That's where we went last year.

C: <u>Were you wanting</u> any of this ice-cream or not?

A: Yes, we do. (Tapescript. Headway Upper-intermediate)

ზმნათა hope და want მსგავსი გამოყენება აგრეთვე ხშირად გვხვდება წერით დისკურსში, კეძოდ, ოფიციალურ კორესპონდენციებში. მაგ.:

*I am pleased that you found our article informative and we **are hoping** that you will continue to read our publication.*
Should you have any comments or questions in the future,
please do not hesitate to write to this office.
Dear
*You deserve an explanation for what went wrong in our accounting department, and **I am hoping** that this letter will serve to resolve our recent difficulties.*

ამ შემთხვევაში განგრძობით და არაგანგრძობით ფორმათა დისტრიბუცია მსგავსია, მაგრამ "სახის" ცნებიდან გამომდიარე მათ განსხვავებული სტრატეგიული დატვირთვა აქვთ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს ფუნქციას ზმნის სემანტიკა განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში განგრძობითი ფორმა მარკირებულია, ვინაიდან ზმნები *hope* და *want* სემანტიკურად შეზღუდულია და მათი განგრძობით ფორმაში ხმარება განსხვავებულ კონოტაციას წარმოშობს.

ქვემომოყვანილ მაგალითში 12 წლის ტომი ასე მიმართავს უმცროს ძმას:

Mike: Look outside it's snowing!

*Tom: **Do you want** me to land you my new skis?*

მაგალითში მოსაუბრე იყენებს მარტივ ასპექტურ ფორმას ნეიტრალურ ან არაოფიციალურ რეგისტრში, რაც დადებით "სახეს" ქმნის.

ინგლისურში წერით დისკურსში არანგრძობითი ასპექტი გარკვეულ ფრაზებში უფრო ოფიციალურია და განსაკუთრებული ტაქტის/თავაზიანობის გამომხატველი.

- *Your counter proposal on the above referenced project has been reviewed and is acceptable in its entirety. We **are enclosing** an executed copy of the agreement along with two copies for your files.*
- *We **are enthusiastically looking forward** to this project and are pleased about having the opportunity to work together.*

აღსანიშნავია, რომ მოყვანილი მაგალითი ნაკლებ ოფიციალურია შესაბამის არაგანგრძობით ფორმასთან შედარებით.

მაგ.:

*I **enclose** my CV and the cover letter.*

*We **look forward** to hearing from you in the near future.*

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ განხილული 50 ბიზნეს წერილიდან 30 წერილში განგრძობით ფორმას (we are looking forward) შევხვდით წერილის დასრულებისას.

დადებითი "სახის" შექმნას ემსახურება აგრეთვე აწმყო დროში ასპექტური ფორმების ხმარება თხრობისას. უნდა აღინიშნოს, რომ ნარატიულ რეჟიმში უსრული ასპექტის ხმარება ნაკლებ ოფიციალურობის მაჩვენებელია. სამივე ენაში ვხვდებით უსრული ასპექტის ხმარებას ნარატიულ რეჟიმში. მხატვრულ ლიტერატურაში, ზღაპრებში, ზეპირმეტყველებით დისკურსში, კერძოდ ანეკდოტებში.

ქვემოთმოყვანილ მაგალითში ქართული ზღაპრიდან მთხრობელი თითქოს ცდილობს დაარღვიოს დისტანცია მასსა და მკითხველს/მსმენელს შორის და უფრო დაუახლოვდეს მას, რათა ამბავი უფრო შტამბეჭდავი გახადოს.

მაგ.:

*ამ დროს დეეებთან დატოვებული ბურთი სისხლის წვეთას **დაიწყებს**. 'უხეიროს უჭირსო' – **თქვეს** დეეებმა. მაშინვე **წავიდნენ** უხეიროს საძებნელად, **მოსდევენ** მის ნავალზე გაშლილ ვარდს და მოელენ ამ კოშკთან. **გადავლენ** და **ნახავენ**, რომ მკედარი უხეირო*

ყელთაქვე ჩაიდებულია ქვეერში. შემოიკრეს თავ-პირში, მაგრამ ტირილით რას არგებდნენ? ბოლოს თქვეს: უნდა შევიტყოთ, ის თმები სად არის, ვის ხელშია.... ('ხლაპარი უხეიროსი')

მოყვანილ მაგალითში გვაქვს სრული და უსრული ასპექტის მონაცვლეობა. დისტანციის შემცირების მიზნით მოსაუბრე მიმართავს არა მხოლოდ აწმყო დროით გამოხატულ უსრული ასპექტის ფორმას, არამედ მომავალი დროის ფორმით გადმოცემულ სრულ ასპექტსაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უსრულ ასპექტს ხშირად ვხვდებით ანეკდოტებში.

მაგ.:

*Парень **стоит** и **разглядывает** какую-то фотографию. **Подходит** девушка...*

ანეკდოტი თავისი ჟანრობრივი თავისებურებიდან გამომდინარე შინაურულ და არაოფიციალურ სტილს გულისხმობს, ამიტომ მოყვანილ მაგალითში უსრული ასპექტური ფორმები *"стоит", "разглядывает", "подходит"* აღნიშნული სტილის მარკერებადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ინტერესს იწვევს აგრეთვე აწმყო და წარსული დროების ასპექტური ფორმების დაპირისპირება. საყურადღებოა, რომ ოფიციალური რეგისტრისთვის დამახასიათებელი წარსული დროის ფორმა გამონათქვამს უდრო მეტ თავაზიანობას ანიჭებს. ადრესანტი წარსული დროის ხმარებით მომავალი და აწმყო დროის კონტექსტში ხაზს უსვამს ადრესატისადმი ოფიციალურ დამოკიდებულებას. ამ შემთხვევაში მოსაუბრე იყენებს წარსულს, როგორც უარყოფითი სახის სტრატეგიას და მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს მსმენელს.

- *A: **Did you know** anywhere where I could get the local currency quicker?*

*B: There is bureau de exchange across the road, you **could** try there.*

- წიგნის აღება **მინდოდა.**

აღსანიშნავია, რომ იდენტური აზრის აწმყო დროის ფორმით გამოხატვა კომუნიკანტთა შორის ნაკლებოფიციალურ მიმართებას გულისხმობს. ამასთანავე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოყვანილ მაგალითში თავაზიანობას წინადადების კითხვითი ფორმაც აძლიერებს.

აწმყო დროის ასპექტური ფორმის საპირისპიროდ მომავალი დროის ხმარება გარკვეულ კონტექსტში შესაძლებელია თავაზიანობის მარკერად მივიჩნიოთ, რაც უარყოფითი "სახის" ჩამოყალიბებისკენაა მიმართული.

მაგ.: ***Will you tell** him I won't be arriving in Melbourne until quite late this Saturday?*

შეკითხვის დასმისას მომავალი განგრძობითი დროის ფორმის ხმარებით ადრესანტი ხაზგასმულად თავაზიანია, მაშინ, როდესაც მარტივი დროის გამოყენება ადრესანტის მხრიდან ზეწოლაზე მიუთითებს.

*A: Your bill for room 603, madam. **How will you be paying?** – cash or credit card?*

B:Credit card please. (Tapesctipt. Headway Upper-intermediate)

მოყვანილ მაგალითში სასტუმროს თანამშრომელი ცდილობს თავაზიანად მომართოს სტუმარს, ამიტომ იგი მიმართავს განგრძობით ასპექტურ ფორმას მარტივის საპირისპიროდ.

სრული ასპექტური ფორმა რუსულში შესაძლებელია არაოფიციალურობის მარკერად შეგვხვდეს. ქვემომყვანილ მაგალითში ჩეხოვის მოთხრობიდან შვილი მიმართავს დედას შინაურული, კნინობითი ფორმით.

მაგ.:

Пришлешь мне чай сюда мамочка. (А.П. Чехов. Живой товар)

მოყვანილ მაგალითში მოსაუბრე მომავალი დროით გამოხატული სრული ასპექტის ფორმით თითქოს მეტისმეტად კატეგორიულიცაა და მისი ტონი ბრძანებლურს წააგავს.

უსრული ასპექტის ფორმა ქვემომოყვანილ მაგალითში უფრო დისტანციურია და ცივი, ვიდრე იდენტურ კონტექსტში გამოყენებული სრული ასპექტური ვარიანტი.

მაგ.:

Ты терпи, мужайся, борись! (А.П. Чехов. Цветы запоздалые)

ასე მიმართავს ექიმი პაციენტს, რათა გაამხნეოს იგი. უნდა აღინიშნოს, რომ მისი შესატყვისი სემელფაქტური ფორმა *потерпи* უფრო მეტ სითბოსა და ნაკლებ დისტანციურობას გამოხატავს.

სრული ასპექტის ფორმით გამოხატული მნიშვნელობა უფრო თავაზიანია მის შესატყვის უსრულ ასპექტთან შედარებით ქვემომოყვანილ მაგალითში. ასე მიმართავს ჩეხოვის რომანის პერსონაჟი ექიმს.

მაგ.:

Извольте *посмотреть.* (А.П. Чехов. Цветы запоздалые)

უნდა აღინიშნოს, რომ მისი შესატყვისი განგრძობითი/ უსრული ასპექტური ფორმა ირონიული ელფერის მქონეა.

Извольте смотреть.*

განგრძობითი ფორმის ხმარება ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია მოსაუბრის დომინანტურ მდგომარეობაზე მიუთითებდეს. ასე მიმართავს ნაწარმოების პერსონაჟი – ექიმი გაკოტრებული მთავადების ოჯახის წევრებს:

მაგ.:

Несите его в зал! (А.П. Чехов. Цветы запоздалые)

ბრძანებით წინადადებაში განგრძობითი ასპექტი შესაძლებელია უფრო მეტ თავაზიანობას გამოხატავდეს, ვიდრე მისი შესატყვისი სრული ასპექტი ოპოზიტი.

მაგ.:

Садитесь пожалуйста! (А.П. Чехов. Цветы запоздалые)

მოყვანილ მაგალითში ზმნის садитесь საპირისპიროდ ფორმა сядте უფრო კატეგორიულია და ნაკლებთავაზიანი.

როგორც წესი, არასრული ასპექტური ფორმები ქართულსა და რუსულში ბრძანებით წინადადებებში ადრესანტის დომინანტურ სტატუსზე მიუთითებს და დამახასიათებელია არაოფიციალური რეგისტრისთვის.

მაგ.: ***წერე!*** *ნუ* ***კარგავ*** *დროს!*

Скорее ***пиши*** *ответ на заявлене.*

შეატყვისი სრული ასპექტური ფორმა კი მეტ თავაზიანობასა და მოსაუბრეთა ურთიერთპატივისცემას გამოხატავს.

მაგ.:

დაწერე, ნუ **დაკარგავ** დროს.

Скорее ***напиши*** ответ на заявлене.

ინგლისურში აკადემიურ ნაწერში ხშირად ვხვდებით მარტივი აწმყოს მაგალითებს. ამ შემთხვევაში მოქმედების ფოკუსი სცილდება აწმყო დროის ფარგლებს. მოქმედება ამ შემთხვევაში უნივერსალურია; წარულს, აწმყოსა და მომავალსაც მოიცავს.

მაგ.:

- *fault tree analysis* ***reveals*** *the logical connection existing between an undesired events in a technical system...*
- *სადისერტაციო ნაშრომი* ***ეძღვნება*** *მხატვრული ტექსტის ერთ ერთი მნიშვნელოვანი და ლინგვისტური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ერთეულის – ავტორისეული წიაღსვლის –პრაგმატული თავისებურებების ანლიზს.*
- *В реферируемой диссертации* ***рассматриваются*** *структурно семантические и прагматические особенности.*

აღსანიშნავია, რომ უსრული ასპექტური ფორმა აწმყო დროით გადმოცემული ხშირად გვხვდება ოფიციალურ რეგისტრში, კერძოდ წერილებში. მაგ.:

- ***მოგახსენებთ,*** *რომ აღნიშნული დეპარტამენტის ცენტრალურ*

აპარატში 7 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა მოხელეთა ატესტაცია. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ თქვენს მითითებებს, რათა ჩატარდეს მოხელეთა ატესტაცია გასაუბრების გზით.

- *შესათანხმებლად გიგზავნით ბრძანების პროექტს.*
- *საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გთხოვთ, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები და წინადადებები.*

ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც აკადემიურ ნაწერში ზოგადად, აწმყო დრო გამოხატავს მოქმედებას, რომელიც გულისხმობს, რომ პროპოზიცია ჭეშმარიტია, მიუხედავად დროისა. ამ შემთხვევაში აწმყო მარკირებული ფორმაა და რეგისტრის ხაზგასმის მიზნით იხმარება.

ამრიგად, ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, რომ ასპექტის კატეგორია მჭიდრო კავშირშია სოციოლინგვისტურ ცნებასთან "სახე". "სახესთან" მიმართებაში გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები:

1. სამივე ენაში გვხვდება შემდეგი ასპექტური დაპირისპირება:

(ა)

წარსული (სრული ან უსრული) ასპექტური ფორმები – აწმყო (უსრული ასპექტური ფორმები)

(ბ)

განგრძობითი (უსრული) – არაგანგრძობითი (სრული ან უსრული) ასპექტური ფორმები.

განგრძობითი და არაგანგრძობითი ასპექტური ოპოზიცია ხშირ შემთხვევაში ოფიციალურობა/არაოფიციალურობას განაპირობებს.

2. მარტივი ფორმა, ანუ არაგანგრძობითი ასპექტი შესაძლებელია ნაკლებოფიციალური ან თავაზიანი იყოს მის შესაბამის განგრძობით ფორმასთან შედარებით. ამ შემთხვევაში

ასპექტური ფორმები პროპოზიციულად მსგავსია, მაგრამ "სახის" ცნებიდან გამომდინარე, მათ განსხვავებული სტრატეგიული დატვირთვა აქვთ.

3. განგრძობითი ასპექტური ფორმა შესაძლებელია მოსაუბრის გაღიზიანების გამომხატველი იყოს და ადრესატის ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატოს მოქმედების მიმართ.

4. სრული და უსრული ასპექტური ფორმების დაპირისპირებისას წარსული დროით გადმოცემული ზმნები ოფიციალურობისა და ტაქტის გამოხატვის მიზნით იხმარება.

5. მომავლის მნიშვნელობის გამომხატველი უსრული განგრძობითი ასპექტური ფორმები უარყოფითი "სახის" ჩამოყალიბებას ემსახურება.

6. ქართულში ბრძანებით წინადადებებში უსრული ასპქტური ფორმა ადრესანტის დომინანტურ სტატუსზე მიუთითებს და არაოფიციალური რეგისტრისთვისაა დამახასიათებელი.

§2. ასპექტის ფუნქციები დისკურსში

ენობრივი ელემენტების კომუნიკაციური ფუნქცია განიხილება, როგორც წარმოქმნილი იმ ფუნქციისგან, რომელიც მოცემულ ელემენტს გამონათქვამისგან დამოუკიდებლად აქვს. ამის თვალნათელ მაგალითს ზმნის ასპექტის კატეგორია წარმოადგენს. დისკურსში სწორედ ასპექტი გამოხატავს მოვლენათა ურთიერთმიმართებას; ერთდროულობას, თანმიმდევრობას, ფუნქციებს, რომლებიც ცალკე აღებულ ასპექტურ ფორმებს არ გააჩნიათ. ასპექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დისკურსში.

ასპექტური სემანტიკისა და პრაგმატიკის კვლევისასა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს გამონათქვამის დისკურსული მახასიათებლები. ის, თუ რა კომუნიკაციური დატვირთვა აქვს გამონათქვამს, რა ჟანრის წერით დისკურსში გვხვდება მოცემული

ასპექტური ფორმა, რა კომუნიკაციური თუ ემოციური დატვირთვა აქვს გამიზნული მოსაუბრეს მიანიჭოს გამონათქვამს.

როგორც ცნობილია, ძირითადი ასპექტური დაპირისპირება მოქმედების დასრულება/დაუსრულებლობაში მდგომარეობს. აღნიშნული მნიშვნელობები ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა და ასპექტური ფორმების ვარიაცია კონტექსტში ხშირად განსხვავებულ ასპექტურ მნიშვნელობას იძლევა.

ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ასპექტის კვლევისას მნშვნელოვანია გამონათქვამის დისკურსული მახასიათებლების გათვალისწინება. როგორც ცნობილია, წინადადებას აქვს ილოკუციური პოტენციალი, გამონათქვამს ილოკუციური ფუნქცია, თუმცა აღნიშნული ფუნქციის გამოვლენისათვის საჭიროა დისკურსული ფონი. სწორედ დისკურსში ვლინდება ასპექტის ისეთი მნშვნელობები, როგორიცაა თანადროულობა და წინსწრება.

ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვყავით შემდეგი ფუნქციები.

(ა) ემფაზა (მნიშვნელოვანი ინფორნაციის გამოყოფა)

(ბ) შენელებული კადრის ეფექტი (კომენტატორი, მოსაუბრე გამოყოფს გარკვეულ ინფორმაციას უკეთესი ვიზუალური ეფექტის შესაქმნელად)

(გ) ახლო ხედის ეფექტი (მოსაუბრე/მთხრობელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოქმედების გარკვეულ ფაზაზე)

(დ) ჩაბმის სტრატეგია/ თანაგანცდის ეფექტი. (მოსაუბრე ცდილობს ადრესატზე ემოციური ზეგავლენის მოხდენას გამონათქვამის შთამბეჭდაობის გაზრდის მიზნით).

შეიძლება ითქვას, რომ, ასპექტი 'ego'-ზე ორიენტირებული კატეგორიაა. იგი ხდომილებას მოსაუბრის თვალთახედვით წარმოგვიდგენს. დაკვირვებამ დამანახა, რომ მოსაუბრის ინტენცია

შესაძლებელია ზემომოყვანილ ფუნქციათაგან რამდენიმეს მოიცავდეს, თუმცა მათ შორის ერთ-ერთ დომინანტურია.

განვიხილოთ თითოეული ფუნქცია ცალ-ცალკე:

1. ემფაზა

დაკვირვებამ დამანახა, რომ სამივე ენაში საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სათაურებში ეხედებით უსრული ასპექტის ფორმებს, რომლებიც გადმოსცემენ ან წარსულში მომხდარ მოვლენებს, ან მოვლენებს, რომლებიც მომავალში უნდა განხორციელდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურში არაგანგრძობითი ასპექტური ფორმის ხმარება უფრო ეკონომიურია, თუმცა სამივე ენაში აწმყო დროიგადმოცემული ეუსრული ასპექტური ფორმების გამოყენება საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სათაურებში, მნიშვნელოვანი ინფორმაციიხ გამოკვეთის საშუალებაა.

მაგ.:

(სტატიის სათაური) - *ერაყში სადამ ჰუსეინის ადვოკატს <u>კლავენ</u> საადუმ დულაიმი, რომელიც გუშინ ტერორისტებმა <u>გაიტაცეს</u>, ბაღდადში მოკლული იპოვეს. დამწაშავეთა ვინაობა უცნობია. დღესვე ერაყელმა პარტიზანებმა ტყვეობიდან ირლანდიელი ჟურნალისტი რორი ქეროლი <u>გაათავისუფლეს</u>, რომელმაც პატიმრობაში 36 საათი <u>გაატარა</u>. ინციდენტის მიუხედავად, "გარდიანის" კორესპონდენტი ერაყიდან გამგზავრებას არ აპირებს და ბაღდადში ჟურნალისტური მოღვაწეობის გაგრძელებას გეგმავს.*

მაგალითში უსრული ასპექტის გამოყენებით ჟურნალისტი თითქოს უფრო თვალშისაცემს ხდის მოქმედებას. უსრული ასპექტური ფორმა ხმნის 'კლავენ' უფრო ეფექტურია, მისი სრული ასპეტის ოპოზიციასთან შედარებით. მაგ.:

- *(სტატიის სათაური) - В космосе <u>теряется</u> российский спутник*

*На российском спутнике «Можаец-5», запущенном накануне с Плесецка, **возникла** нештатная ситуация – космический аппарат не **отделился** от третьей ступени ракеты-носителя. Об этом ИТАР-ТАСС сообщили сегодня на северном космодроме. «По последним данным телеметрии, «Можаец» не **отделился** от третьей ступени «Космоса-3М» и сейчас вращается вместе с ней на околоземной орбите. Сигналы со спутника не поступают», - сказал собеседник агентства.*

- *Блэру **наносят** двойной удар*

*В понедельник главной новостью в Лондоне **стало** громкое заявление медиков, которые сомневаются, что Дэвид Келли, раскрывший подтасовки в «иракском досье», **покончил** жизнь самоубийством.*

მოყვანილ მაგალითებში უსრული ასპექტური ფორმა თითქოს უფრო მომზიდველს ხდის სტატიას. ჟურნალისტი იყენებს უსრულ ასპექტურ ფორმებს რათა მკითხველში ინტერესი გააღვივოს განხილული თემისა. პირველ მაგალითში აწმყო დროის ხმარება გამსაკუთრებით ემფატურია. მოვლენის განგრძობითობაა ფოკუსში. მაგ.:

*(სტატიის სათაური) - Silent march **follows** Paris riots*

(ნაწყვეტი სტატიიდან) - *Hundreds of people **have taken** part in a silent march through a suburb of Paris in memory of two teenage boys whose deaths **sparked** two nights of violence.*

*(ნაწყვეტი სტატიიდან) Iraq car bomb **kills** at least 30*

*At least 30 people **have been killed** in a car bombing in a Shia village north of Baghdad, Iraqi police have said. The vehicle **exploded** on a busy street in Howaider, about 60km (35 miles) from the capital, near a mosque and market. More than 30 people **were wounded in** the blast, hospital officials said, which came at dusk as people **prepared** to break the day-long Ramadan fast.*

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, უსრული ასპექტური ფორმის გამოყენება ჩაბმის სტრატეგიას ემსახურება. ამ შემთხვევაში გვაქვს აწმყო, უსრული ასპექტის დაპირისპირება

(სათაურში) და პერფექტის/სრული ასპექტის (სტატიაში).

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი ახალი ამბების გადმოსაცემად ინგლისურში მარტივი აწმყოს პარალელურად სრულ აწმყო დროსაც ეხვდებით.

მაგ.: *Izraeli 'spy' **has been released.***

ზემომოყვანილ მაგალითში პერფექტის გამოყენებით ჟურნალისტი აქცენტს აკეთებს მოქმედების შედეგზე და სწორედ შედეგობითობის, დასრულებულობის მნიშვნელობის გამოხატვით აღწევს ემფატურობას, ვინაიდან მოქმედების შედეგზე ამახვილებს ყურადგებას.

ემფაზის მიღწევის მიზნით მიმართავს ჟურნალისტი ისტორიულ აწმყოს ლიდშიც.

მაგ.: *Egypt **frees** an Arab-Israeli man jailed on spying charges in a prisoner swap which may herald better relations. (www.cnn.com)*

ვინაიდან ლიდი ზოგად წარმოდგენას აძლევს მკითხველს სტატიაზე, აქაც ემფაზა მნიშვნელოვანია, რათა მკითხველი მოწოდებული ინფორმაციით დაინტერესდეს.

ინგლისურში საგაზეთო სტატიების სათაურებში მარტივი აწმყო, განგრძობითის პარალელურად, გვხვდება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სტატიაში ტემპორალური მოქმედებაა ნაჩვენები. ასპექტი უსრულია.

*(სტატიის სათაური) Red Planet **comes** close to Earth*

*(ნაწყვეტი სტატიიდან) **Mars is approaching** the Earth to within 69.4 million km (43.1 million miles).*

მოყვანილ სათაურში აწმყო დროის ფორმით გამოხატულია ტემპორალური მოქმედება, რომელსაც დიალოგურ რეჟიმში აწმყო განგრძობითი შეცვლიდა. ამ შემთხვევაში კონტექსტი, ისევე, როგორც სმნის ფორმა, გვიჩვენებს, რომ ზმნა მოცემულ სათაურში უსრული ასპექტისაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული

ასპექტური მნიშვნელობის დადგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მას დისკურსის კუთხით განვიხილავთ.

როგორც უკვე აღინიშნა, მარტივი აწმყო საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში იხმარება არა მხოლოდ წარსულში მომხდარი მოვლენის გადმოსაცემად, არამედ მომავლის მნიშვნელობითაც.

მაგ.: (სტატიის სათაური) ***Bush nominates*** *health secretary.*

(ნაწყვეტი სტატიიდან) President Bush ***will nominate*** *EPA Administrator replace Tommy Thompson as Health and Human Services secretary.(www.bbc.co.uk)*

აღსანიშნავია, რომ საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში წარსული და მომავლის მნიშვნელობით ხმარებული აწმყო დროის ფორმები სრული ასპექტისაა.

ხშირად ნარატიულ რეჟიმში დროით-ასპექტური ფორმების მონაცვლეობა ემფაზის განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

მაგ.:

- *Mrs. Tabitha Twitchit* ***is expecting*** *friends for tea so she watches her kittens and* ***dresses*** *them in their best clothes. (Beatrix Potter.Little hide-and-seek books)*
- *ბევრი იარა, გაიდა მეორე სახელმწიფოში. დაულამდა. მიდის და ერთი ბუმბული* ***ანათებს*** *მთვარეზე მეტად. აფრინდება ეს ბუმბული, რაში რომ* ***მიდის*** *და* ***იძახის****...*
- *ეს ბიჭი, ხელმწიფის შვილი, დაღონებულია, არ* ***იცის*** *სად ნახოს ისეთი ადგილი, რომ მიწა მუიტანოს და მით მოარჩინოს მამა. ბოლოს, დიდი ფიქრის შემდეგ, ის ბუმბული* ***გაახსენდა****, ამოიღო, შუქზე გაესინჯაო, მაგრამ ისე* ***გაანათა****, რომ მეფის სასახლის შუქიც კი სიბნელედ ეჩვენებოდა... ბიჭი* ***მივიდა*** *დილით, ნახა, რომ ქალს პირი მზისკენ* ***აქვს*** *და* ***სძინავს****, გადახტა ბიჭი, დაუჭირა თმები. იწიელა, იკიელა, იფიცა, მაგრამ ამ ბიჭმა ხელი არ გაუშვა სანამ ის ფრინველი არ დაიფიცა.(ქართული ზღაპრები)*

- *Уселся кот в углу и стали мыши одна за другой проходить мимо него **Проходят** и **кланятся** ему. А кот **сидит** смирно. Бедно **жили** они. Не поймает старик ничего, так и вовсе **голодают.** Отпустил старик рыбу в реку, сам домой пошел. Только, когда пришел, узнать ничего **не может**; **стоит** вместо шалаша из веток дом из крепких бревен, а в доме том **есть** просторные лавки; чтобы гостей усадить, и **стоят** там целые блюда белого риса, чтобы досыта поесть... **Говорит** старик своей жене..(Сказки народов мира)*

პირველ ნაწყვეტში ინგლისური ზღაპრიდან მოქმედი პირის უჩვეულო ქმედებაზე ყურადღების გასამახვილებლად, ავტორი აწმყო განგრძობითი დროიდან მარტივ აწმყოზე გადადის, ანუ სრულიდან უსრულ ასპექტზე.

ქართულსა და რუსულში კი აწმყო და წარსული დროის მონაცვლება გვაქვს.

2. შენელებული კადრის ეფექტი

შენელებული კადრის ეფექტს ქმნის ინგლისურ ენაში კომუნიკანტი მარტივი აწმყოს ფორმის ხმარებისას ექსპერიმენტის ჩატარების დროს, ან ფოკუსის დემონსტრირებისას.

მაგ.:

*The magician **cuts** the deck into three piles, **takes** the top two cards from the middle pile and **puts** them onto The magician **cuts** the deck into three piles, **takes** the top two cards from the middle pile and **puts** them onto the other two piles and **shows** the third card to the spectator and **tells** them this is your card. The magician than **puts** the piles together and **allows** the spectator to shuffle as many times as they want in any way they want. The magician is then able to find the other two piles and shows the third card to the spectator and tells them this is your card. The magician than **puts** the piles together and allows the spectator to shuffle as many times as they want in any way they want. The magician is then able to find the card.*

ადრესანტი მის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე

ყურადღების მისაბყრობად მიმართავს მარტივ აწმყოს, თუმცა ანალოგიურ ლინგვისტურ კონტექსტში როგორც ცნობილია, უფრო ბუნებრივი იქნებოდა აწმყო განგრძობითის გამოყენება. ამრიგად, განგრძობითი ფორმა შეიძლება მივიჩნიოთ არამარკირებულად, მარტივი კი მარკირებულად.

მაგ.:

*I now **spread** the cards in my hands and **ask** a spectator to select a card. Spectator memorizes the card, and gives it back to me, I **put** it in the deck at a random place. I **count** off cards from the bottom and then stops. I hold up a card: the spectator's!*

*First I **go** through the deck and **pull out** three red cards and three black cards. Place all three red cards under all three black cards. I hold the stack of cards face-up in the palm of your hand with my fingers wrapping around the edge. I **turn** your cards face down and keeping the bottom card face down **pull** it out from the bottom. I **place** it face down on the table and say "Red". Then I **do** a move called the glide in which you **slide** the bottom card back a little bit with your fingers that were wrapped around the edge.www.conjuringcabaret.com.)*

სამივე ენაში შენელებული კადრის ეფექტს ვხვდებით ტელე-რადიო სპორტულ რეპორტაჟებში. ინგლისურ ენაში განგრძობითი ფორმის ნაცვლად მარტივი აწმყოს ხმარება შენელებული კადრის ეფექტს ქმნის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქაც მარტივი აწმყოს ხმარება ეკონომიის პრინციპის გამოვლენაა. ქართულსა და რუსულში აწმყო დროის ფორმა ენაცვლება წარსულისას. ამ შემთხვევაში გვაქვს ახლო ხედისა და შენელებული კადრის ეფექტი. მოცემული ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რადიორეპორტაჟებში, სადაც კომენტატორი ეროვნული ვიზუალური ეფექტის შექმნასაც ცდილობს. ამ შემთხვევაში საუბარი ნარატიულ რეჟიმში მიმდინარეობს. ერთი შეხედვით მოსაუბრე სინქრონულად ახდენს მოვლენების კონსტატაციას, თუმცა რეალურად, იგი უკვე

შესრულებული მოქედების გახმოვანებას ახდენს. ამგვარი ასპექტური სემანტიკა მხოლოდ ზეპირმეტყველებით დისკურსში გვხვდება:

ტელერეპორტაჟი სპორტული კომენტარი – მაგ.:

- *He **kicks** the ball and **passes** to the opposition.*

*Jimenez **wins** by one shot in Hong Kong.*

- *თამაშის 86-ე წუთია და "ლივერპული" მოწინააღმდეგეს 2-1 **უგებს**, მაგრამ ეს ჯგუფიდან გასასვლელად საკმარისი არ **არის**, ბურთი მარცხენა ფრთიდან მაღალი ტრაექტორიით საჯარიმოს მისადგომებთან **ეშვება**, საიდანაც მერსისაიდული გუნდის ფეხბურთელი მას კარიდან დაახლოებით 25 მეტრის მანძილზე **აბრუნებს**, "ლივერპულის" დიდი კაპიტანი სტივ ჯერარდი კი წარმოუდგენელი დარტყმით კარის დაბალ კუთხეში **ათავსებს** და "ენფილდი" **"ფეთქდება"**.*

*3. Вратарь **забивает** гол в свои ворота; Судья **назначает** одиннадцатиметровую.*

3. ჩაბმის სტრატეგია/ახლო ხედის ეფექტი

ახლო ხედის ეფექტის შექმნა აქვს გამიზნული მთხრობელს, როდესაც იგი წარსულში მომხდარი ამბის გადმოცემისას ახლანდელ დროს იყენებს. აწმყო დროის ფორმების ამგვარი ფუნქციები ხშირად გვხვდება როგორც წერით, ასევე ზეპირმეტყველებით დისკურსში. ისტორიული აწმყოს ხმარებისას ქვემომოყვანილ მაგალითში მოსაუბრე თითქოს ცდილობს ბავშვობის მოგონებები და მასთან დაკავშირებული ემოციები ცოცხლად გადმოსცეს.

მაგ.:

*Hithcliff **glances** at me a glance that kept me from interfering for a moment. Catherine is too intenton his fingers to notice his face. He **opens** them and suddenly **resigns** the object of dispute.But She is well secured. He **seizes** her with a hand and **falls.** (E. Bronte. Wuthering Heights)*

აწმყო დროის ფორმების გამოყენებით ახლო ხედის ეფექტი მიიღწევა ქვემომოყვანილ მაგალითში. მთხრობელს თითქოს სურს

დაიბრუნოს წარსული და ადრესატში თანაგანცდა გამოიწვიოს.

მაგ.:

უცხო კაცი შეიძრა. შორიდან – ცხენების თქარათქური, უცხო კაცი ხედავს: ცხენოსანთა გუნდი მოჰქრის ქალაქისკენ. წინ მოხუცი: სამოცდაათ წელზე მეტი. ცოცხალი თვალები და ალმასიივით მჭრელი აზრი. მოლურჯო მოსასხამი გრძელი, რომელიც ჭენების დროს ფრთებად იშლება. თავზე – თეთრი ჩალმა....

მთვარის ნათელში კორტეჟი ფეერიულ ჩვენებად იფინება. (გ. რობაქიძე)

ქვემომოყვანილ რუსული ენის მაგალითში რამდენიმე ასპექტური ფორმის მონაცვლეობა რამდენიმე ფუნქციას გამოხატავს. ამ შემთხვევაში წარსული და აწმყო დროების კონტრასტი ემფაზას და ახლო ხედის ეფექტს გამოხატავს. მაგ.:

*Он **вошел** в гостинную повеселевший, бодрый, почти торжествующий. Глаза его **встречаются** с глазами Нины, и в ее долгом взоре он прочел нежный ответ, на свои мысли. (Куприн)*

ახლო ხედის ეფექტის შექმნისა და მკითხველის ჩაბმის მიზნით გამოიყენება აწმყო დრო წიგნისა და ფილმის რეცენზიებში.

მაგ.:

ნაწყვეტი ფილმიდან:

- *The film **follows** the young king as he **leads** his forces on a bloody empirical conquest across the known world, taking large parts of Asia and the Middle East to amass a giant empire, all by the time he turned 25. (BBC TV Guide) .*
- *ნაწყვეტი წიგნის რეცენზიიდან:*

*This celebrated novel **tells** the story of Catherine Sloper, the docile and affectionate daughter of a well-to-do physician who **appears** destined for a lifetime of spinsterhood with only the companionship of her sardonic father and fatuous aunt...*

- *Действие фильма **начинается** в 1894 году. Учитель кикбоксинга*

передает свое искусство сыну Арсену, но урок прерывает отряд полиции, который пытается арестовать Люпена-старшего по обвинению в воровстве. Применив искусство борьбы, бандит скрывается, но ночью он является к сыну и убеждает его, что, как Робин Гуд, воровал только у богатеев и притеснителей.(Rumbler mass media)

განგრძობითი ასპექტური ფორმა ხშირად გეხვდება მოქმედებათა ფონის აღსაწერად. ქვემომოყვანილ მაგალითში განგრძობით მოქმედებას მარტივ აწმყოთი გამოხატული მოქმედება კვეთს. მაგ.:

They were listening to music when we entered the room.

აღსანიშნავია, რომ წიგნისა და ფილმის რეცენზიებში ისტორიულ აწმყოს ეხვდებით როგორც სიუჟეტის გადმოცემისას, ასევე, ზოგადად ფილმზე მუშაობის პროცესის აღწერისას. უსრული ასპექტის ფორმები დისკურსის მოცემულ ჟანრში დასრულებული მნიშვნელობის გამომხატველია და შინაარსობრივად წარსული ასპექტური ფორმების ეკვივალენტურია.

აღსანიშნავია, რომ მარტივი აწმყო აგრეთვე ხშირად გეხვდება სასცენო რემარკებში. არტივი აწმყოს ხმარებისას მოქმედება თითქოს უფრო თვალნათელი ხდება. მკითხველისთვის სცენის ვიუალიზაციის საშუალებაა.

მაგ.:

Mrs. Erlynne: Oh you're on the brink of ruin, you are on the brink of hideous precipice… you must come with me and drive straight home.

Lady Windermere throws off her cloak and flings it on the sofa…

Lord Windermere: Silence! I'm here to save you, if I can. But I fear it is too late! There! *points to the curtain across the wind…*

Mrs. Erlynne: To bid good-bye my dear daughter, of course.

(Lord Windermere bites his under lip in anger. Mrs Erlynne looks at him, and her voice an manner become serious. In her accent as she talks there is a note of deep tragedy. For a moment she reveals herself.)(O. Wild. LadyWindermere's fan)

როგორც ვხედავთ, მარტივი აწმყო დრო ზემომოყვანილ მაგალითებში ფუნქციონალურად ტელე-რადიო კომენტარისა და ავტოკომენტარის მსგავსია.

ამრიგად, ზმნის ასპექტის კატეგორიის სემანტიკისა და პრაგმატიკის შესწავლისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ ასპექტური ფორმა არა როგორც ცალკე აღებული ერთეული, არამედ როგორც დისკურსის განუყოფელი კომპონენტი. ასპექტი წარმოადგენს რა ეგოცენტრულ კატეგორიას, მისი სემანტიკის დადგენისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს ისეთი ფაქტორი, როგორიცაა მოსაუბრის/მთხრობელის საკომუნიკაციო გამიზნულობა. როგორც ცნობილია, განსხვავებულ კონტექსტში გამონათქვამი განსხვავებულ საკომუნიკაციო ინტენციას გამოხატავს, რაც ასპექტური ფორმების საკომუნიკაციო მნიშვნელობის ცვალებადობაშიც აისახება.

ამრიგად, ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ასპექტის პრაგმატიკის კვლევისას მნიშვნელოვანია გამონათქვამის დისკურსული მახასიათებლების გათვალისწინება. დისკურსის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ასპექტური ფორმების საშუალებით შესაძლებელია გადმოიცეს ისეთი დისკურსული მახასიათებლები, როგორიცაა: ემფაზა, შენელებული კადრის ეფექტი, ახლო ხედის ეფექტი, **ჩაბმის სტრატეგია/ თანაგანცდის ეფექტი**. როგორც მაგალითებიდან ვნახეთ, ასპექტური ფორმა შესაძლებელია ერთზე მეტ ფუნქციას გამოხატავდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ ფუნქციათაგან ერთ-ერთი დომინანტურია. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები:

1. სამიევე ენაში საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სათურებსა და ლიდში უსრული ასპექტის ფორმით გადმოიცემა დასრულებული მოქმედება. ამგვარი ასპექტური გამოყენება ემფატურობის გამოხატვას ემსახურება და ამსთანავე უფრო ეკონომიურია.

2. არაგანგრძობით (განგრძობითის საპირისპიროდ) ასპექტურ

ფორმას მიმართავს სუბიექტი ემფატურობის მიღწევის მიზნით ექსპერიმენტის ჩატარებისას.

3. ჩაბმის ტრატეგიას, ახლო ხედისა და შენელებული კადრის ეფექტს ვხვდებით აგრეთვე ტელე-რადიო რეპორტაჟებში. კომენტატორი მარტივ/არაგანგრძობით ფორმას მიმართავს (ა) ვიზუალური ეფექტის შესაქმნელად. (ბ) ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე.

4. ნარატიულ რეჟიმში გვხვდება დროთა მონაცვლეობა, როგორც ემფაზის განხორციელების ერთ-ერთი საშუალება. ამ შემთხვევაში სრულ და უსრულ ასპექტურ ფორმათა კონტრასტია მოცემული.

5. ახლო ხედის ეფექტი გადმოიცემა აგრეთვე უსრული ასპექტური ფორმით (თუმცა სრული ასპექტური შინაარსით), ნარატიულ რეჟიმში. სუბიექტის ინტენციას ამ შემთხვევაში წარსულში მომხდარი მოვლენების/ემოციების/განცდების ცოცხლად გადმოცემა წარმოადგენს.

6. ჩაბმის სტრატეგია აგრეთვე გამოიყენება არაგანგრძობითი აწმყო დროის ფორმით გადმოცემული ასპექტური ფორმების საშუალებით რემარკებში, როგორც მკითხველისთვის სცენის ვიზუალიზაციის ერთ-ერთი საშუალება.

დასკვნა

ზმნის დროით-ასპექტური სემანტიკის ანალიზმა ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე ცხადყო, რომ მიუხედავად განსხვავებული ენობრივი სტრუქტურისა და ასპექტის წარმოების მკვეთრად განსხვავებული სპეციფიკის, შესაძლებელია აღნიშნული კატეგორიის უნივერსალური მახასიათებლების გამოვლენა. ჩატარებულმა ანალიზმა ერთის მხრივ ზმნის დროით ასპექტური სემანტიკის, და მეორეს მხრივ, ზმნის ლექსიკური სემანტიკისა და პრაგმატიკის საფუძველზე, გამოაელინა გარკვეული თანხვედრები და განსხვავებანი; როგორც დროით ასპექტურ, ასევე სემანტიკურ/პრაგმატიკულ ჭრილში.

სამივე ენაში ასპექტის კვლევისას უნდა აღინიშნოს დისკურსის გადამწყვეტი როლი. როგორც ვნახეთ, ცვალებადობამ კონტექსტში შესაძლებელია ასპექტური მნიშვნელობების ცვლილება გამოიწვიოს.

ინგლისურში ასპექტის სემანტიკის კვლევამ დაგვანახა, რომ აღნიშნული კატეგორია შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

ინგლისურში მხოლოდ დისკურსის დონეზეა შესაძლებელი დროით ასპექტური ფორმების ფუნქციათა განსაზღვრა. კვლევამ დაგვანახა, რომ ერთი და იგივე ზმნამ განსხვავებულ კონტექსტში შესაძლებელია განსხვავებული სემანტიკა გამოხატოს.

ზ. ვენდლერის ზმნათა კასიფიკაციის ანალიზისას ვნახეთ, რომ ერთი და იგივე ზმნა შესაძლებელია რამდენიმე კლასში გერთიანდეს, იმის მიხედვით თუ რა ლინგვისტურ გარემოცვაშია მოცემული ზმნა და რა ტიპის დისკურსში გვხვდება იგი.

ჰ. რაიჰენბახის ანალიზი მხოლოდ ერთ სქემას მოიცავს თითოეული დროით-ასპექტური ფორმისთვის. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ერთი და იგივე დროით-ასპექტური ფუნქციის ცვალებადობამ, შესაძლებელია ხდომილების და ათვლის მომენტის ცვალებადობა გამოიწვიოს, რაც ასპექტური განსხვავების ძირითადი

განმსაზღვრელი ფაქტორია. ამის თვალნათელი მაგალითია მარტივი აწმყო დრო, რომელიც პირველადი მნიშვნელობით ათვლის წერტილს აწმყოში გულისხმობს, თუმცა ნარატიულ რეჟიმში მისი გამოყენებისას, ე.წ. ისტორიული აწმყოს შემთხვევაში, ხდომილებისა და ათვლის მომენტი წარსულშია. ამასთანავე წარსული განგრძობითი ჰ. რაიხენბახის სქემაზე ათვლის რეტროსპექტულ წერტილს გულისხმობს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ წარსული განგრძობითი თავაზიანობის მარკერად გვევლინება, ათვლის წერტილი მომავალშია. აწმყო განგრძობითის შემთხვევაშიც ათვლის წერტილი მომავალში გადადის, თუ იგი წარსულში დაგეგმილ, მომავალში განსახორციელებელ მოქმედებებზე მიუთითებს.

ასპექტური სემანტიკა თანამედროვე ქართულში შემდეგ თავისებურებებს ავლენს:

აწმყო დროის ფორმით შესაძლებელია გამოიხატოს მუდმივი მოვლენების გამომხატველი აწმყო. ამ შემთხვევაში ათვლის წერტილი აწმყო დროს გულისხმობს. ხდომილება მოიცავს დროის მთელ მონაკვეთს, წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ზმნა აღნიშნული მნიშვნელობით ნულოვანი ასპექტის გამომხატველია.

აწმყოს მწკრივში ზმნა აგრეთვე გვხვდება ჰაბიტუალური მნიშვნელობით. მრავალგზის მნიშვნელობის გამომხატველი ზმნა უსრული ასპექტისაა. ათვლის წერტილი აწმყოშია, საუბრის დრო და ხდომილების წერტილიც აწმყო დროს მოიცავს.

ზმნა აწმყოს მწკრივში გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წარსულში გარკვეულ მონაკვეთში დაიწყო, შესაძლებელია მომავალშიც გაგრძელდეს. ამ შემთხვევაში ასპექტი უსრულია. საუბრის მომენტი, ხდომილება და ათვლის წერტილიც აწმყო დროს გულისხმობს.

მრავალგზის, მოქმედების გამოხატვა ქართულში ხშირად ადგილის გარემოების საშუალებით ხდება.

აწმყოს მწკრივში ზმნა დურატიული მოქმედების

გამომხატველია. ქართულში დურატიულობის და მრავალგზისობის განმასხვავებელია კონტექსტი და ადგილის გარემოებები. დურატიული/განგრძობითი მნიშვნელობის ზმნა უსრული ასპექტისაა. ამ შემთხვევაში ათვლის წერტილი, საუბრის დრო და ხდომილება თანადროულია.

ქართულში ხშირად გეხვდება ნარატული აწმყოს მაგალითები როგორც წერით, ასევე ზეპირ დისკურსში. ნარატულ რეჟიმში მთხრობელი აწმყო დროს მიმართავს შთამბეჭდაობის გაზრდის მიზნით. ვიანიდან მოსაუბრე წარსულში მომხდარი ფაქტების კონსტატაციას ახდენს, ასპექტი ნარატულ რეჟიმში სრულია.

აწმყო დროს ხშირად ვხვდებით ტელე-რადიო რეპორტაჟებში. ამ შემთხვევაში კომენტატორი აწმყო დროს მიმართავს ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე. მოვლენა წინ უსწრებს გამონათქვამს, ათვლის წერტილი და ხდომილების დრო წარსულშია, აქედან გამომდინარე, ასპექტი სრულია.

აწმყო დრო ფართოდ გამოიყენება საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში. აღსანიშნავია, რომ ზმნის ასპექტური ხასიათი ტექსტის დროსაა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ თავად სტატია წასრულ ან მომავალ დროშია, ზმნა სათაურში სრულია.

წარსულ ფორმათა შორის ვხვდებით ერთგზის და მრავალგზის მნიშვნელობის გამომხატველ ასპექტურ ფორმებს. წარსულში ერთგზის მოქმედების გამომხატველი ზმნები სრული ასპექტისაა. საუბრის დრო და ხდომილება წარსულშია.

მრავალგზის, ჩვეულებითი მოქმედების გამომხატველი ფორმა ქართულში განგრძობითის ომონიმურია. წარსულში, ისევე როგორც აწმყოში, გზისობის განმსაზღვრელი ადგილის გარემოებები და შესაბამისი კონტექსტია. მრავალგზის ასპექტური ფორმა წარსულში, ისევე როგორც აწმყოში, უსრულია. მყოფადის მწკრივში ზმნა ათვლის წერტილს და ხდომილებას მომავალში გულისხმობს. ზმნა სრული ასპექტის გამომხატველია. ქართულში ინგლისურისგან

განსხვავებით, ბრძანებით კილოში ზმნას ასპექტის ყველა მახასიათებელი ახლავს. ბრძანებით წინადადებაში ზმნამ შესაძლებელია გამოხატოს ერთგზის, მრავალგზის და განგრძობითი ასპექტი.

რუსულში ასპექტის კატეგორიის კვლევისას მნიშვნელოვანია განისაზღეროს ზმნის არა მხოლოდ გრამატიკული მახასიათებლები, არამედ – მისი სემანტიკა და დისკურსი. ხშირად ზმნის სენამტიკა და დისკურსის ტიპი განაპირობებს მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობას. აგრეთვე ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ სხვადასხვა ასპექტის ზმნები სხვადასხვა ლექსემებია და არა ერთი ლექსემის სიტყვათფორმები. მაგალითად ზმნა писать. მისი ასპექტური წყვილებია: писал-написал, напишу. როგორც ვხედავთ, ზმნის писал ასპექტური ოპოზიციებია написал წარსული დროის ფორმა, წარმოებული ზმნისწინით და напишу მომავალი დროის ფორმა, ასევე წარმოებული ზმნისწინით. ვფიქრობთ ზმნები писал, написал, напишу მართალია ერთიდაიგივე მოქმედებაზე მიუთითებენ, თითოეული მათგანი მოქმედების განსხვავებულ ფაზას გადმოსცემს. ზმნებში писал/напишу/буду писать გამოხატულია მოქმედების მიმდინარეობა, დურატიულობა, ან მრავალგზისობა (Я вчера писал письмо. Я писал ей письма), ხოლო ზმნები написал/напишу შეიცავენ ერთგვარ შედეგობრივ მდგომარეობას, ფოკუსშია ზმნების писал/пишу/буду писать ფინალური ეტაპი და არა მოქმედების ინტენსიური პროცესი. რუსული ზმნების სემანტიკისათვის აგრეთვე დამახასიათებელია ზმნის ფორმები, რომლებიც მოქმედების დასრულების ფაზაზე მიუთითებენ. მაგ.: доделать, достроить, досмотреть. აღნიშნული ზმნები აგრეთვე · აწარმოებენ უსრული ასპექტის ოპოზიციებს, რომლებიც მოქმედების დასრულების პროცესს გადმოსცემენ. მაგ.: доделать-доделывать, допить-допивать. თუმცა აღნიშნული ზმნები იგივე ხასიათის მოქმედებას გამოხატავენ, რაც делать. არ იქნება სწორი,

თუ ზმნებს делать-доделать მივიჩნევთ ოპოზიციურად, რადგან მათ საკუთარი ასპექტური ოპოზიციები აქვთ, რომლებიც ტრივიალურ წყვილებს ქმნიან. მაგ.: делать-сделать, доделать-доделывать.

ასპექტის პტაგმატიკის კვლევისას მნიშვნელოვანია გამონათქვამის დისკურსული მახასიათებლების გათვალისწინება. დისკურსის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ასპექტური ფორმების საშუალებით შესაძლებელია გადმოიცეს ისეთი დისკურსული მახასიათებლები, როგორიცაა:

(ა) ემფაზა

(ბ) შენელებული კადრის ეფექტი

(გ) ახლო ხედის ეფექტი

(დ) ჩაბმის სტრატეგია/ თანაგანცდის ეფექტი.

როგორც მაგალითებიდან ვნახეთ, ასპექტური ფორმა შესაძლებელია ერთზე მეტ ფუნქციას გამოხატავდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ ფუნქციათაგან ერთ-ერთი დომინანტურია. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები: სამივე ენაში საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სათურებსა და ლიდში უსრული ასპექტის ფორმით გადმოიცემა დასრულებული მოქმედება. ამგვარი ასპექტური გამოყენება ემფატურობის გამოხატვას ემსახურება და ამსთანავე უფრო ეკონომიურია. არაგანგრძობით (განგრძობითის საპირისპიროდ) ასპექტურ ფორმას მიმართავს სუბიექტი ემფატურობის მიღწევის მიზნით ექსპერიმენტის ჩატარებისას. ჩაბმის სტრატეგიას, ახლო ხედისა და შენელებული კადრის ეფექტს ეხვდებით აგრეთვე ტელე-რადიო რეპორტაჟებში. კომენტატორი მარტივ/არაგანგრძობით ფორმას მიმართავს (ა) ვიზუალური ეფექტის შესაქმნელად. (ბ) ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე. ნარატულ რეჟიმში გვხვდება დროთა მონაცვლეობა, როგორც ემფაზის განხორციელების ერთ-ერთი საშუალება. ამ შემთხვევაში სრულ და უსრულ ასპექტურ ფორმათა კონტრასტია მოცემული. ახლო ხედის ეფექტი გადმოიცემა

აგრეთვე უსრული ასპექტური ფორმით ნარატიულ რეჟიმში. სუბიექტის ინტენციას ამ შემთხვევაში წარსულში მომხდარი მოვლენების/

ემოციების/განცდების ცოცხლად გადმოცემა წარმოადგენს. ჩაბმის სტრატეგია აგრეთვე გამოიყენება არაგანგრძობითი აწმყო დროის ფორმით გადმოცემული ასპექტური ფორმების საშუალებით რემარკებში, როგორც მკითხველისთვის სცენის ვიზუალიზაციის ერთ-ერთი საშუალება.

სოციოლინგვისტურ ცნება "სახესთან" მიმართებაში კი გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები: სამივე ენაში გვხვდება შემდეგი ასპექტური დაპირისპირება:

წარსული – აწმყო ასპექტური ფორმები

განგრძობითი – არაგანგრძობითი ასპექტური ფორმები.

აღნიშნული ასპექტური ოპოზიციები ხშირ შემთხვევაში ოფიციალურობა/არაოფიციალურობას განაპირობებს. მარტივი ფორმა, ანუ არაგანგრძობითი ასპექტი შესაძლებელია ნაკლებოფიციალური ან თავაზიანი იყოს მის შესაბამის განგრძობით ფორმასთან შედარებით. ამ შემთხვევაში ასპექტური ფორმები პროპოზიციულად მსგავსია, მაგრამ სახის ცნებიდან გამომდინარე, მათ განსხვავებული სტრატეგიული დატვირთვა აქვთ.

განგრძობითი ასპექტური ფორმა შესაძლებელია მოსაუბრის გაღიზიანების გამომხატველი იყოს და ადრესატის ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატოს მოქმედების მიმართ. სრული და უსრული ასპექტური ფორმების დაპირისპირებისას წარსული დროით გადმოცემულ სმნები ოფიციალურობისა და ტაქტის გამოხატვის მიზნით იხმარება.ზოგ შემთხვევაში, კერძოდ მომავლის მნიშვნელობის გამომხატველი უსრული განგრძობითი ასპექტური ფორმები უარყოფითი "სახის" ჩამოყალიბებას ემსახურება.

ქართულში ბრძანებით წინადადებებში უსრული ასპექტური ფორმა ადრესანტის დომინანტურ სტატუსზე მიუთითებს და არაოფიციალური რეგისტრისთვისაა დამახასიათებალი.

ბიბლიოგრაფია

1. ა. არაბული, ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის (თხრობითი კილოს ნაკვეთები) "ქართული ზმნის უღლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი", თბილისი, 1984.
2. თ. გამყრელიძე, ეტ. ალ. თეორიული ენათმცნიერების კურსი 'თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა' თბილისი 2003
3. ქ. გოჩიტაშვილი, ზმნის მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიების ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში. საენათმეცნიერო ძიებანი. გამომცემლობა "ქართული ენა" თბილისი 2004.
4. გ. ლებანიძე, ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. 'ენა და კულტურა' თბილისი 1998.
5. გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში. "მიმომხილველი", 6-9, თბილისი, 1972.
6. მ. მეგრელიშვილი, I თურმეობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ქართულში და მისი შესატყვისები, მაცნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ენისა და ლიტერატურის სერია. 1. 1986.
7. მ.მეგრელიშვილი ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში, თბილისი, 1986.
8. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა გამომცემლობა "ლოგოს პრესი", თბილისი 2001.
9. დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ- თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1999.
10. დ. ფხაკაძე, ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებისა და I თურმეობითის ურთიერთობის ზოგადი საკითხისათვის ქართულში, მაცნე საქართველოს მეცნიერებათა

აკადემია, ენისა და ლიტერატურის სერია. I. 1987.

11. ი. ქავთარაძე, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები II. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1961.
12. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. ტომი I. მორფოლოგია. თბილისი; 1953.
13. ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში I ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით. 1961.
14. ა. ჩიქობავა ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი. 1998.
15. ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა. თბილისი; 1997.
16. ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი 1980.
17. ზ. ჭუმბურიძე, ასპექტისა და სახის მიმართებისათვის ქართულში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1967.
18. C. Barber, The English Language. A historical Introduction. Cambridge University Press; 1997.
19. D. Biber et. al., Longman Grammar of spoken and Written English, Longman; 1999.
20. L.J. Brinton, Verb Particles in English: Aspect or Actionsart? Studia Linguistika, 1985.
21. K. Browm J. Miller, Concise Encyclopedia of Grammatical categories. EL scientce LTD 1999.
22. P. Brown, S. L. Levinson, Politeness. Some universals in Language Usage. Cambridge University Press;1996.
23. M. Cecle-Murcia D. Larsen freeman, The Grammar Book Heinle Publishers

Division of Wadsworth, Inc. Boston, massachuisetts, 1983.

24. B. Comrie, Aspect. Cambridge, UK, Cambridge University Press.
25. B.Comrie, Tense. Cambridge, UK. Cambridge University press, 1985.
26. D. Crystal, The Cambridge Enciclopedia of the English Language. Cambridge University Press; 1995.
27. D.Dowty, Towards a semantic Analisys of verb aspect and the English 'imperfective progressive'. Linguistics and Philosophy 1977.
28. J. Eastwood, Oxford Guide to English Grammar. Oxford University press; 1996.
29. F. Eanes-Walton, The Pedagogical Description of Verb-Morphological Aspect in English; working papers in English and applied Linguistics. Volume 2, 1995 Research Centre for English and Applied Linguistis. University of Cambridge.
30. E. Gelden, Structures of Tense and Aspect. Arizona State University 2002.
31. R. Harrison, Verb Aspect. 24th addition of Journal of Planned Languages copyright, 1996.
32. L. Jeshall, What Particle Verbs have to do with Grammatical aspect in early child English. University of Leipzig. ZAS papers in Linguistics 29, 2003.
33. O. Jespersen, A modern English Grammar on Historical principle, Part IV. Heidelberg, 1931, Part V. Copenhagen, 1940.
34. O. Jespersen, Essentials of English Grammar. London, 1933.
35. G. Leech, Swartvik J. A Communicative Grammar of English, Moscow. Prosveshcheniye, 1983.
36. J.L. Lemke, Analysing Data: principles, Methods, and Problems International handbook of science education 1989
37. M. Lewis, The English verb. An exploration of structure and meaning. LTP Publications; 1991.
38. S.C:Levinson , "Pragmatics", Cambridge, 1997.
39. S.L. Mc Kay, Hornberger Nancy H Sociolinguistics and Language Teaching. Cambridge University Press, 1996.

40. H. Palmer, Grammar Of Spoken English, Cambridge University Press, 1976.
41. M.Parrot, Grammar for English Language Teachers. Cambridge University Press. 2000.
42. P. Portner, The Progressive in Modal Semantics. Georgetown University. Language, Volume 74, Number4 1998.
43. R. Quirk, et. al.A comprehensive Grammar of English; Cambridge University Press; 1985.
44. R. Quirk, Greenbaum S. Leech G. Svartvik J. A University Grammar of English. M, Vyssaja skola, 1982.
45. M. Rappaport Hovav, Beth Levin, An event Structure Account of English Resultatives, Language, Volume 77, Number4, 2001.
46. T.A. Rastargueva, A history of English. Moskow 'Vysshaja shkola', 1983.
47. H. Reihenbach, Elements of Symbolic Logic, Lindon UK;Macmillan.
48. S. Romane, Language in Society. An Introduction to Sociolinguistics. Oxford University Press, 1994.
49. Ferdinand de Saussure, Course in General Linguistics, trans. Roy Harris. London. Duckworth.
50. R. Scollon, S.W. Scollon, Intercultural communivation, Blackwell Publishr Ltd., 1997.
51. C. S. Smith, A Theory of Aspectual Choice – Language, vol.. 59, N.3, 1983.
52. C. S. Smith, The Parameter of Aspect. Kluger Academic Publishers, 1991.
53. C. S. Smith, Tense and Aspect, University of Texas, Austin, Texas, USA 1992.
54. B. Spolsky, Sociolinguistics. Oxford University Press 1992.
55. J.M. Swales, Genre Analysis. English in Academic and research settings. Cambridge University Press 1990.
56. H. Sweet, A New English Grammar, Logical and Historical Part 1. oxford, 1892.
57. B. Taylor, Tense and Continuity. Linguistics and Philosophy. 1977.
58. E.Van Gelderen, Structures of Tense and Aspect, Arizona State University 1999.

59. R. D. Van Valin, R. J. Lpolla, Syntax. Structure, meaning and function, Cambridge University Press, 1997.
60. Z. Vendler, Linguistics in Philosophy Cornell University Press, Ithaca, New York 1967.
61. H. J. Verkuyl, On the compositional nature of the aspects. A theory of Aspectuality. Cambridge University Press, 1993.
62. L.R. Waugh, S. Rudy, Issues in Linguistic theory, 49 new Vistas in Grammatical Invariance and Variation, John Benjamins Publishing Company. Amsterdam/Philadelphia 1991.
63. E. Weiner Chalkers, Oxford Dictionary of English Grammar Oxford University Press; 1998.
64. J. Lyons Introduction to Theoretical Linguistics. Cambridge University Press; 1995.
65. G.Yule, Pragmatics; Oxford University Press 1997.
66. Апресян Ю.Д. Глаголы моментального действия и перформативы в русском языке. Москва 1988.
67. Бондарко А. В. Вид и время русского глагола М Просвещение 1971.
68. Бондарко А.В. Теория грамматического значения и аспектологические исследования, Ленинград «Наука», Ленинградское отделение, 1984.
69. Бруннер К. История Английского языка Том Издательство Иностранной литературы. Москва, 1956.
70. Булыгина Т.В. Шмелев Ф.Д. Ментальные Предикаты в Аспекте Аспектологии. Москваю Наука. 1989.
71. Вежбицка А. - Речевые акты, «Новое в зарубежной лингвистике», выпуск 16-й, Москва, «Прогресс» 1985.
72. Вендлер З. – Иллокутивное самоубийство, «Новое в зарубежной лингвистике», выпуск 16-й, Москва, «Прогресс» 1985.
73. Виноградов В. В. Русский Язык М. Л. Учредгиз 1947.

74. Голанов И. Г. Морфология современного русского языка М. Высшая школа 1965.

75. Грайс Г.П. – Логика и речевое общение, «Новое в зарубежной лингвистике», выпуск 16-й, Москва, «Прогресс» 1985.

76. Иванова И. П. Бурлакова В.В. Почепцов Г. Г. Теоретическая грамматика современного английского языка. Издательство «Высшая Школа» Москва 1975.

77. Ильиш Б. А. История Английского Языка Издательство «Высшая Школа» Москва 1968.

78. Князев Ю.П. Результатив, пассив и перфект в русском языке, «Типология результативных кнструкций», Ленинград «Наука», Ленинградское отделение, 1983.

79. Кошмидер Э. Очерк науки о видах польского глагола. Вопросы глагольного вида. Москва. «Издательство иностранной литературы» 1962.

80. Масслов Ю.С. Результатив, перфект и глагольный вид, «Типология результативных кнструкций», Ленинград «Наука», Ленинградское отделение, 1983.

81. Мейе А. Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, «Государственное социально-экономическое иэдательство», Москва 1938.

82. Падучева Е. В. Семантика времени и вида в русском языке. Семантика нарратива. Школа Язык Русской Культуры Москва 1996.

83. Прокопович Е.Н. Глагол в предложении, Семантика и стилистика видо-временных форм, издательство «Наука», Москва 1982.

84. Русская Грамматика. Том II, Издательство наука Москва 1980.

85. Сильницкий Г.Г. Структура глагольного значения и результатив, «Типология результативных кнструкций», Ленинград «Наука», Ленинградское отделение, 1983.

86. Смирницкий А. И. Морфология Английского языка 'Издательство литературы на иностранных языках Москва 1959.

87. Степанов Ю. С. Основы Общего Языкознания. Москва «Просвещение» 1975.

88. Якобсон Р. – Избранные работы, Москва «Прогресс» 1985.

89. Ярцева В. Н. Историческая Морфология Английского Языка. Москва. 1961.

საილუსტრაციო მასალა

1. გოთუა ლ. უგზო ქარავანი (მოთხრობები), თბილისი 'მერანი' 1987
2. გოთუა ლ. გმირთა ქარავანი, გამომცემლობა 'საქართველო', თბილისი, 1998
3. კლდიაშვილი დ. მოთხრობები; ტომი I გამომც. 'საქართველო', თბილისი, 1995
4. რობაქიძე გ. მოთხრობები 'მერანი', თბილისი, 1988
5. ხალხური სიბრძნე, ქართული ზღაპრები. საბავშვო და ახალგაზრდების სახელმწიფო გამომცემლობა 'ნაკადული', 1963
6. ქიაჩელი ლ. გვადი ბიგვა. თბილისი გამომცემლობა 'განათლება' 1977
7. ტაბიძე გ. პოემები, პროზაული ნაწერები. გამომცემლობა 'საბჭოთა საქართველო" თბილისი, 1989
8. ჯაფარიძე რ. მოთხრობები. გამომცემლობა 'საბჭოთა საქართველო' თბილისი 1987
9. ანდაზები

10. Dickens C. Davis Copperfield; Penguin Books, 1994
11. Potter B. Little Hide- and-seek books. Tom Kitten. Penguin Books Ltd, Harmondsworth. 1994.
12. Wilde O. Plays. Foreign Languages publishing House. Moscow, 1961
13. Austin J. Emma Penguin Books, 1994
14. Bronte E. Wuthering Heights, Oxford University Press, 1995
15. Hardy T. The Mayor of Casterbridge. Penguin books, 1994
16. Headway Upper-intermediate. Longman, 2002
17. Cutting-edge upper-intermediate. Cambridge university press, 2003
18. Достоевский Ф. М. Повести и рассказы Москва, изд. «Правда» 1982
19. Куприн А.И. Рассказы Москва Изд. «Правда» 1982
19. Куприн А.И. Повести и Рассказы, Собрание сочинений в двенадцати томах. том I, Москва Издательство "Правда" 1982

20. Сказки Народов Мира. Библиотека Мировой Литературы для Детей. Москва "Детская Литература" 1985.
21. Тургенев И. В. Повести и рассказы. Москва «Детская литература» 1981
22. Чехов А.П. Рассказы Москва Изд. «Правда» 1994
23. www.rambler.ru
24. www.cnn.com
25. www.bbc.co.uk
26. www.civil.ge
27. www.conjuringcabaret.com